პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ოსმალეთის პრესა საბჭ. კავშირთან ურთიერთობის შესახებ.
- კომუნისტების დევნა ლატვიაში.
- თავდასხმა იტალიის კონსულზე პარიზში.
- ამხ. მარტი გადაიყვანეს პოლიტიკურ პატიმართა რეჟიმზე.
- უცხოელ მოქალაქეთა გადასახლება პარიზიდან.
- ჩინეთში დაბრუნდა ჩინეთის უჩფ. [illegible] ქვათეველი დუან-ცზიჩუი.
- მიწისძვრა ოდესაში.—მიწის ქვეშა ბიძგები ზღვაში.
- გემ „ინკერმან"-ის ჩაბარება.

ოთხშაბათი, 14 სექტემბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 208 (1953)

ოთხშაბათს, ა. წ. სექტემბრის 14, საღამოს 7 საათზე შესდგება

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
ს. ს. ცაკის მდივანი შ. მათიკაშვილი.

პასუხი სოციალ-იმპერიალისტებს

საკავშირო პროფსაბჭოს მიმართვა ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მუშებისადმი არის ღირსეული და საჯარო სილის გარტყმა გენსაბჭოს ბელადების, ინგლისის იმპერიალიზმის ამ ლაქიების სახეში. ჩვენ ვიცით, რომ ამ გარტყმული სილის ხმას გაიგონებს ინგლისის პროლეტარიატი და რომ მისი ალი აუწვავს ლოყებს ხიკსებს და პერსელებს.

როდესაც მუშათა მასები მემარცხენდებოდენ ინგლისის კაპიტალიზმის „მშვიდობიანი", ომის შემდეგ დროინდელი „გაჯანსაღების" პირობებში, რომელი „გაჯანსაღებაც" ხდებოდა ევროპის დაუესიზაციის, გერმანიის და მისი კოლონიების ხარჯზე, მაშინ ინგლისის პროფკავშირების ბურჟუაზიული „გვარდიის" ეს ვაჟბატონები თავს იწონებდენ „მემარცხენეობით" და უხვად აბნევდენ „მემარცხენე" ფრაზებს საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლისა და კაპიტალის იერიშისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ხოლო როდესაც საქმე დატრიალდა და მასებმა მოთხოვეს სკარბოროს კონგრესზე და 1925 წელში საბჭოთა კავშირის პროფკავშირებთან შეთანხმების დადების დროს მოცემული დაპირებების შესრულება, მაშინ კი ამ „რაინდებმა" უკან დაიხიეს.

მათ გასცეს საყოველთაო და სამთამაღნო მუშათა გაფიცვა. ასე შეასრულეს მათ თავისი დაპირება კაპიტალის შეტევასთან ბრძოლის შესახებ.

მათ გასცეს ჩინეთის რევოლიუცია და კრინტიც კი არ დასძრეს ინგლისის სამხედრო გემებიდან ნანკინისათვის ყუმბარების დაშენის წინააღმდეგ.

დღესაც, როდესაც ინგლისის იმპერიალიზმი ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მათ გასცეს საბჭოთა კავშირის მუშები, დემონსტრატიულად გასწყვიტეს კავშირი საკავშირო პროფსაბჭოსთან და შემდეგ, ჩემბერლენის მსგავსად,—დიპლომატიური ურთიერთობაც საბჭოთა კავშირთან.

ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის ჩაშლით მათ დაამტკიცეს, რომ ისინი არიან საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის საქმის მოღალატენი, რომ ისინი სასიკვდილოთ შეუშინდენ ინგლის-რუსეთის კომიტეტში მათ კრიტიკას საბჭოთა კავშირის მუშების წარმომადგენლების მხრით. ეს კრიტიკა მათ ცეცხლზე და შხამზე უფრო მეტად აშინებს, ვინაიდან ის თვალებს უხელს ინგლისის მუშებს ნამდვილ ჭეშმარიტებაზე, თუ რა არის გენსაბჭო და ვინ არიან მისი ბელადები. ინგლისის ყველა ჯურის რეფორმისტ - ბიუროკრატები სულ მარჯვნივ და მარჯვნივ მიდიან მაშინ, როდესაც ინგლისის იმპერიალიზმის საერთაშორისო მდგომარეობა სულ უფრო კრიტიკული და მერყევი ხდება, მაშინ, როდესაც ეს „მშობლიური" იმპერიალიზმი თანდათან უფრო მეტად იხრება საერთაშორისო სამხედრო ავანტიურისაკენ, როგორც თავის გადასარჩენ ერთად-ერთ საშუალებისაკენ.

ყოფილ „მემარცხენე" ტრედიუნიონისტთა ყველაზე მემარცხენე ფრთამაც კი—სამთა-მადნო მუშათა ბელადებმა—აშკარად დაარღვიეს სამთა-მადნო მუშათა მასების ნებისყოფა, შედრკენ და იმის მაგიერ, რომ ხმა მიეცათ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის წინააღმდეგ (როგორც რკინისგზელები მოიქცენ), ლაჩრულად თავი შეიკავეს ხმის მიცემისაგან.

ინგლისის ბურჟუაზია „კეთილსინდისიერად" უსწორებს პოლიტიკურ ანგარიშს ხიკსებს და ბევინებს, და ყოველნაირ ქება-დიდებას ასხამს მათ.

„ტაიმსი"—ინგლისის ფინანსიური ბურჟუაზიის ეს პატივცემული ორგანო—ედინბურგის ყრილობას აფასებს „ახალი ხანის" დაწყებად საერთოდ ინგლისისათვის და განსაკუთრებით ინგლისის მუშათა მოძრაობისათვის. „დეილი ტელეგრაფი", ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან უშუალოდ დაკავშირებული ორგანო, წინასწარმეტყველებს, რომ ედინბურგის ყრილობა „ჯანსაღ ცვლილებას შეიტანს მოძრაობის მიმართულებასა და საქმიანობაში", და რომ კონგრესი „ახალ და ნათელ ფურცელს გადაშლის დარაზმული შრომის ისტორიაში". უფრო პირდაპირ და გულახდილად გამოსთქვამს თავის აზრს თავხედი—ფაშისტური გაზეთი „დეილი მეილ", რომელიც აღნიშნავს, რომ ყრილობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა ზუბრების მთავრობის პოლიტიკას პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს მიმართ.

ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლით გენსაბჭომ პირდაპირ გაუმაგრა ზურგი ბოლდუინისა და ჯონსონ ხიკსის რეაქციონურ მთავრობას; აი, ეს არის ინგლისის მტაცებლების და მათი პრესის უსაზღვრო სიხარულისა და ზეიმის მიზეზი.

ედინბურგის კონგრესი და მისი ქება-ქება წარმოადგენენ ინგლის-რუსეთის კომიტეტის მიმართ ჩვენს მიერ აღებული პოზიციის სისწორის ისტორიულ შემოწმებას. ჯერ კიდევ დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტიის ოპოზიცია სცდილობდა ჩვენს დარწმუნებას იმაში, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტი წარმოადგენს ლოდს საბჭოთა კავშირის მუშების კისერზე. და აი, გამოდის, რომ ინგლისის მთელმა ბურჟუაზიამ, ტომასმა, ბევინმა, „ტაიმსმა" და „დეილი მეილმა" თავისუფლად ამოისუნთქეს იმის შემდეგ, რაც „საბჭოთა კავშირის მუშების კისერს" მოშორდა ეს ლოდი.

მაშ ამის შემდეგ, ინგლის - რუსეთის კომიტეტი, თავის უმოქმედობის, სხდომების „გადადების" და გენსაბჭოელების საბოტაჟის პირობებში, როდის იყო ნამდვილად „კისერზე დაწოლილი ლოდი"?

ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ ინგლისის ბურჟუაზია და მისი ლაქიები „სუნთქავენ თავისუფლად" და ეძლევიან ზეიმს, გეგონებათ კისრიდან ნამდვილად მოეგდოთ მძიმე ლოდი! მაგრამ ფუჭეა მათი ზეიმი: ინგლის-რუსეთის კომიტეტს გარდა, მათ კისერზე კიდევ საკმაო ლოდები რჩება, რომ ჩაიძირონ ისტორიის ფსკერზე.

ინგლისის პროფკავშირების უკანასკნელი კონგრესები (ბორნემუტის და ედინბურგის) თამამად შეგვიძლია შევადაროთ იმ რეაქციონურ კონგრესებს, რომლებიც ხდებოდა „შავი პარასკევის" შემდეგ. ამ კონგრესებში განსაკუთრებით გაირჩევა პლიმუტის კონგრესი (1923 წ.), რომლის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ ხმის მიცემამ მოაქცია ოპოზიციის რიგებში სწორედ ის ეგრედ წოდებული „მემარცხენე" ლიდერები პერსელი, ხიკსის და სუელსის ჯგუფიდან, რომლებიც ეხლა სინიდის დაწმენდილნი შეუერთდენ ტომასს და მაკდონალდს.

ბურჟუაზიას ეხლა უხარია, რომ ეგრედ წოდებულ „მემარცხენე" ლიდერების ამ ჯგუფმა აღუთქვა მას ერთგული სამსახური, რაშიც გადააჭარბებს ტომასისა და კლაინსის სკოლის ძველ რეაქციონერებს. მაგრამ აქ ბურჟუაზიას ანგარიში ეშლება ზოგიერთ „წვრილმან" ფაქტებში, რომლებსაც აქვთ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. „შავი პარასკევის" შემდეგ წლებში ოპოზიციას, ბნელეთის გულახდილ მოციქულთა და გამცემელთა ნაცვლად, სათავეში ედგა პროფმოძრაობის „ლიბერალურ ბიუროკრატების" ჯგუფი, რომლის უმრავლესობასაც შეადგენდენ რენეგატები, ინტრიგანები და კარიერისტები. ხოლო ეხლა კი ინგლისის მუშათა მემარცხენე მოძრაობას, რომელიც განთავისუფლდა ზემოაღნიშნულ ყაიდის „ბელადებისაგან", სათავეში უდგას უმცირესობის მოძრაობა. ამ მოძრაობის ძირითად ნაწილს შეადგენენ პატიოსანი უბრალო პროლეტარები, რომელნიც კომუნისტურ პარტიასთან ერთად გამოდიან კაპიტალიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში. კომუნისტური პარტია იზრდება, მტკიცდება და კაჟდება ინგლისის იმ „დემოკრატიულ" ფაშისტების მათრახ ქვეშ, რომლებიც მუშაობენ როგორც მუშათა მოძრაობის გარეთ, ისე მის შიგნით. ეს ახალი მოძრაობა ისეთ ნაყოფს გამოუტანს ინგლისის ბურჟუაზიას, რომ ბოლდუინსა და მაკდონალდს სიხარული ცრემლებათ შეეცვლებათ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ედინბურგის კონგრესს მოჰყვება ახალი რეპრესიები კომუნისტებისა და უმცირესობის მოძრაობის წინააღმდეგ. მაგრამ კონსერვატორების მთავრობისა და გამცემელ გენსაბჭოს სამღვთო ბლოკი ვერ გაუმკლავდება ინგლისის პროლეტარულ მასების რევოლიუციონური მოძრაობას.

ამ მოძრაობას ღრმად აქვს გადგმული ფესვები. ის დღითი დღე და ყოველ საათობით იზრდება და მტკიცდება.

ინგლისის რეაქციონერების გაერთიანებული ფრონტი მაინც ვერ შესძლებს ჩინური კედლის აღმართვას საბჭოთა კავშირის მუშებსა და ინგლისის მუშებს შორის. ინგლისის ახალგაზრდა პროლეტარებში ჩვენ ვამჩნევთ ცოცხალ მოძრაობას, რომელსაც მიზნად აქვს დასახული დიადი ოქტომბრის მეათე წლისთავის აღნიშვნა. კიდევ უფრო დამახასიათებელია ის, რომ „თვით" ჯორჯ ხიკსი, რომელიც გადაიქცა ინგლისის ბირჟის საყვარელ კაცად, და ბენ-ტილეტი, იმპერიალიზმის ყოფილი აგენტი და მოციქული მსოფლიო ომის დროს, ედინბურგის ყრილობაზე ჯალათური ომის მომხრე ჩინეთის წინააღმდეგ, ტყავიდან ძვრებიან იმ მიზნით, რომ მიეკედლონ ოქტომბრის წლისთავთან დაკავშირებულ მოძრაობას. ჯორჯ ხიკსს ეყო იმდენი თავხედობა და ცინიზმი, რომ ედინბურგის კონგრესის გახსნის დროს თქმული თავისი გაიძვერული სიტყვა შეალამაზა მწარე-ტკბილი სიტყვებით შრომის პირველი რესპუბლიკის დამსახურების შესახებ. ეს გაიძვერული სიტყვები მოწმობენ იმას, რომ ედინბურგში „გამარჯვებულნი" თავს არც ისე მაგრად გრძნობენ.

ტყუილად არ იჩქარეს კონგრესის დელეგატებმა, რათა „ერთსულოვნად" ეყარათ კენჭი მექვაბეთა რეზოლიუციისათვის, რომელიც „გმობდა" თავდასხმას არკოსზე და დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტას საბჭოთა კავშირთან. ამით მათ უნდოდათ მასების თვალში ნაწილობრივ მაინც ჩამოერეცხათ სირცხვილი ყველა ჩადენილ დანაშაულისათვის.

ტრედიუნიონიზმის ბიუროკრატები გრძნობენ, რომ ფეხიდან ეცლებათ ნიადაგი. „შეუცვლელი" მოხელეები ხედავენ, რომ ბოლო ეღება მათ შეუცვლელობას.

მაგრამ ისინი მაინც ვერ გაექცევიან პასუხს, რომელიც უნდა აგონ ინგლისის მუშათა კლასის წინაშე, ვერ გაექცევიან ამ უკანასკნელის სამსჯავროს, სადაც ის მოღალატეებს, ინგლის - რუსეთის კომიტეტის ჩამშლელთ, წაუყენებს ბრალდებას ნამდვილი მონაწილეობის შესახებ ინგლისის იმპერიალიზმის მიერ ახალი ომის მზადების საქმეში.

ამ სამსჯავროს და ამ ბრალდებას ვერსად ვერ გაექცევიან სოციალ-იმპერიალისტები.

„პრავდა", 13 სექტემბერი.

ჩემბერლენის აშკარა უკაძლური პოზიცია ერთა ლიგის სესიაზე

ინგლისი ცდილობს გამოიყენოს ერთა ლიგა ამერიკისა და საბჭ. კავშირის წინააღმდეგ

ლიგის წრეებში უკმაყოფილო არიან ინგლისის საბოტაჟით. ჟენევაში აცხადებენ, რომ თუ მოხერხდა ინგლისის კონსერვატორების მთავრობის დამხობა, ლიგა შესძლებს თანამშრომლობას საბჭ. კავშირთან და ამერიკასთან

იაპონია მანჯურიის ოკუპაციით ემუქრება ჩინეთს.—იოშიზავას პროტესტი

ხან-კოუში მოელიან გადატრიალებას.—გენ. ხო-ლუნის რევოლიუციონური ჯარების წინსვლა

ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრი საბჭ. კავშირთან ურთიერთობის შესახებ

უკმაყოფილება ინგლისის პოზიციით ერთა ლიგის სესიაზე

ჩემბერლენის აშკარა უკაძლური პოზიცია ჟენევაში

ჟენევა, 12 სექტემბერი. დებატები უშიშროების გარანტიების შესახებ ერთა ლიგის პლენუმზე დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. **ინგლისმა დაიჭირა საფრანგეთის თვალსაზრისის აშკარად საწინააღმდეგო პოზიცია. ინგლისი გადაჭრით უარჰყოფს ყოველგვარი საერთო ხასიათის ვალდებულებებს არბიტრაჟის დარგში და საერთოდ ყოველგვარ ვალდებულებებს, რომლებიც ერთა ლიგის წესდებითა და ლოკარნოს შეთანხმებით არაა გათვალისწინებული.** თვით ერთა ლიგისადმი დამოკიდებულებაშიაც ინგლისის მთავრობას თავდაჭერილი პოზიცია უკავია და ცდილობს ერთა ლიგა გამოიყენოს, **როგორც თავისი პოლიტიკის იარაღი, განსაკუთრებით კი, როგორც საბჭოთა კავშირის გარემოცვის საშუალება.** ინგლისი ამავე დროს ცდილობს არ შეიბორკოს ხელფეხი ერთა ლიგით და საერთოდ ეწინააღმდეგება ერთა ლიგის ყოველგვარ ისეთ მოღვაწეობას, რომელიც იმ მიზნების ფარგლებს სცილდება, რომლებსაც ინგლისის მთავრობა ისახავს. სხვადასხვა დელეგაციების წრეებში და აგრეთვე თვით ერთა ლიგის აპარატის წრეებშიც კარგად ესმით, რომ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა ერთა ლიგაში ხედავს მხოლოდ იარაღს თავისი მანევრების განსახორციელებლად საბჭოთა კავშირისა და ამერიკის წინააღმდეგ. **ამიტომ ჟენევის წრეებში გარკვეულად იქმნება ჩემბერლენისა და მისი პოლიტიკისათვის არა სასარგებლო განწყობილება.** იმ დროს, როცა დიდი სახელმწიფოების სხვა წარმომადგენლები, კერძოდ კი **ბრიანი,** დიდი პოპულიარობით სარგებლობენ ჟენევაში,—ჩემბერლენის შესახებ მეტწილად გამოსთქვამენ მეტად არა საქებ აზრებს. კრიზისი ერთა ლიგაში, რომელიც ინგლისის აღნიშნული მოქმედებითაა გამოწვეული, განსაკუთრებით გაძლიერდა **რობერტ სესილის** გადადგომის შემდეგ. ერთა ლიგის მომხრეების უმრავლესობა უკანასკნელ იმედებს ამყარებენ ახალ არჩევნებზე ინგლისში. ერთა ლიგის წრეებში ამბობენ, რომ ამ ზამთარში ინგლისში ბოლდუინის მთავრობის წინააღმდეგ რობერტ სესილის მეთაურობით დაიწყება მუშათა პარტიისა და ერთა ლიგის მომხრე ლიბერალების „გაერთიანებული კამპანია", საერთაშორისო არბიტრაჟისა და ერთა ლიგის პრინციპების დაცვის ლოზუნგებით. ჟენევის წრეები დიდ იმედებს ამყარებენ ამ კამპანიაზე. ამავე წრეებში გამოსთქვამენ აზრს, რომ ერთა ლიგის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებისადმი შეიძლებოდა გაუმჯობესებულიყო, ყოველ შემთხვევაში ტექნიკურ საკითხებში თანამშრომლობის მხრით, რომ ინგლისში კაბინეტის შეცვლა მოხდებოდეს. (ადს).

ლატვია-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

ცელენსი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ

ჟენევა, 12 სექტემბერი. ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრმა **ცელენსმა** პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა:

„ლატვიის საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანას შეადგენს პოლიტიკური და ეკონომიურ ურთიერთობათა მოწესრიგება საბჭოთა კავშირთან".

ცელენსმა აღნიშნა ლატვია-საბჭოთა საგარანტიო ხელშეკრულების მთავარი მუხლები და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ **აღნიშნული ხელშეკრულება უკრძალავს ორივე მხარეს დახმარების გაწევას მესამე სახელმწიფოსათვის, რომელიც თავს დაესხმება ერთ-ერთ მათგანს. არც ერთ მხარეს აგრეთვე არ შეუძლია სახელმწიფოთა ისეთ კოალიციაში მონაწილეობის მიღება, რომელიც მიმართულია ერთ-ერთ მხარის პოლიტიკურ დამოუკიდებლობისა და ტერიტორიალურ მთლიანობის წინააღმდეგ.** ამასთან ერთად ცელენსმა განაცხადა, რომ ლატვია არ მიიღებს თავზე ისეთ ვალდებულებას, რომელიც ეწინააღმდეგება ერთა ლიგის პრინციპებს. შემდეგ ცელენსი შეეხო ორივე სახელმწიფოს შორის წარმოებულ ყოველგვარ კონფლიქტების მშვიდობიანობის გზით მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებას და განაცხადა, რომ ამ ხელშეკრულების დადებით უშიშროების საქმე მაინც არ იქნება უზრუნველყოფილი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს აგრეთვე—სთქვა მან—ბალტიის ლოკარნო. შემდეგ ცელენსი შეეხო ლატვიის საგარეო ეკონომიურ პოლიტიკას და საბჭოთა-ლატვიის სავაჭრო ხელშეკრულებას და აღნიშნა, რომ ლატვია ცდილობს უფრო მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი გააბას ესტონეთთან და ლიტვასთან. რაც შეეხება ფინეთთან ურთიერთობას, მისი გეოგრაფიული მდგომარეობა, ცელენსის აზრით, განირჩევა სხვა ბალტიის სახელმწიფოების მდგომარეობიდან, ამიტომ ფინეთთან ისეთივე მჭიდრო თანამშრომლობის დამყარების საკითხი, როგორიც განზრახულია ესტონეთთან და ლატვიასთან, ჯერ-ჯერობით არ სდგას დღის წესრიგში. (ადს).

იაპონია ემუქრება ჩინეთს

იოშიზავა სერიოზული შედეგებით იმუქრება

პეკინი, 12 სექტემბერი. „ფარ ისტერნ ტაიმს"-ის ცნობით იაპონიის ელჩმა პეკინში **იოშიზავამ განუცხადა ჩან-ცზო-ლინს პროტესტი და მიუთითა სერიოზულ შედეგების შესაძლებლობაზე იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთის ხელისუფლება კიდევ დაუშვებს მუკდენში ანტი-იაპონურ მოძრაობის შემდგომ განვითარებას.** იოშიზავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ **ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია იაპონიის ჯარების დამატებით გაგზავნა იაპონიის ინტერესების დასაცავად სამხრეთ-მანჯურიაში.** (ადს).

ანტი-იაპონური ბოიკოტის ჩაშლა

შანხაი, 12 სექტემბერი. გუანდუნის პროვინციალურმა მთავრობამ გამოსცა ბრძანება ანტი-იაპონური ბოიკოტის გამტარებელი კომიტეტის დაშლის შესახებ კანტონში. (ადს).

ხანკოუში გადატრიალებას მოელიან

შანხაი, 12 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ **ჩინეთის ხელისუფლებამ ხანკოუში, შეიარაღებული აჯანყების შიშის გამო, 10 სექტემბერს სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა ქალაქში.** ჩინეთის ხელისუფლებამ საფრანგეთის კონცესიის ხელისუფლებას მიმართა თხოვნით დახუროს ჩინური ქალაქიდან გასავალი ადგილები კონცესიის ტერიტორიაზე და მიიღოს „სხვა გამაფრთხილებელი ზომები კონცესიის ტერიტორიაზე არასასურველი პირების შესვლის წინააღმდეგ".

როგორც სააგენტო იუწყება, **შეიარაღებული ფრანგი მეზღვაურები ამჟამად იცავენ ყველა გასავალ ადგილებს საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე ხანკოუში.** ღამით **10 სექტემბერს,** ნათქვამია რეიტერის სააგენტოს ცნობაში, **ხანკოუში მოელოდენ ჯარის ზოგიერთი ნაწილების აჯანყებას. გარდა ამისა ხანკოუში მოელოდენ კომუნისტურ აჯანყებასაც, როგორც ფიქრობდენ. უნდა შეერთებოდა ხანკოუში მყოფი ჯარის ზოგიერთი ნაწილები.** 11 სექტემბრის წინა ღამე მშვიდობიანად ჩატარდა, მაგრამ დილით, 11 სექტემბერს, ხანკოუს ჩინურ ნაწილში, მთავრობის შენობების წინ დააყენეს ჯარის გაძლიერებული ნაწილები. (ადს).

ჩინეთი და ჩეხო-სლოვაკია

პეკინი, 12 სექტემბერი. ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელმა პეკინში ინახულა გარეშე საქმეთა სამინისტრო და განაცხადა, რომ **ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა მზად არის დასდოს ჩინეთთან ხელშეკრულება თანასწორ უფლებათა საფუძველზე.** (ადს)

ტან-შენ-ჩის ღალატი

შანხაი, 12 სექტემბერი. ტან-შენ-ჩიმ გადასწყვიტა აღარ გაემგზავროს ნანკინში და ხანკოუში დაბრუნდა.

ხმების მიხედვით, ტან-შენ-ჩი მოლაპარაკებას აწარმოებს ჩრდილოელებთან.

სვატოუ ლი-ტი-სინის ხელშია

პეკინი, 12 სექტემბერი. როგორც იუწყებიან, სვატოუში ჩავიდენ ლი-ტი-სინის ჯარების ახალი ნაწილები, რომლებმაც ხელი შეუშალეს ი-ე-ტინის რევოლიუციონურ ჯარებს დაეკავებიათ სვატოუ. (ადს).

პარტიზანული მოძრაობა უხანში

შანხაი, 12 სექტემბერი. იაპონიის სააგენტოს ცნობით, ხო-ლუნის არმიის ზოგიერთი ნაწილები, რომლებიც ნანჩანში (ცზიანსის პროვინცია) დამარცხდენ და უკან დაიხიეს ხუნანის პროვინციაში, გამოჩნდენ იჩჟოუდან ჩანშაში მიმავალ გზაზე 4.000 კაცისაგან შემდგარ გლეხების რაზმებთან ერთად და დაანგრიეს კანტონ-ხანკოუს რკინის გზის ერთი ნაწილი. (ადს).

ი-ე-ტინი ხეიჩუანს უახლოვდება

შანხაი, 12 სექტემბერი. **შანხაის ჩინური პრესა აღიარებს ი-ე-ტინის რევოლიუციონური ჯარების გამარჯვებას და იუწყება, რომ ამ ჯარებმა წაიწიეს წინ სილილიდან ჩედზის მაზრამდე.** გაზეთების სიტყვით, **ი-ე-ტინის ჯარები 84 კილომეტრის მანძილზე იმყოფებიან ხეიჩუანიდან.** ი-ე-ტინმა გზაში წინსვლის დროს შეაგროვა ჯარის გაფანტული ნაწილები 20—30 ათასი კაცის რაოდენობით.

სანინის დაკავების გამო ცზიაოჯოუში პანიკა დაიწყო; მოხელეების უმრავლესობა გაიქცა. სვატოუში დაიწყო დაპატიმრებანი და ჩხრეკა. აპატიმრებენ და ჩხრეკენ პროფესიონალურ მოღვაწეებს, კომუნისტებს და მუშებს. ორი დაპატიმრებული დახვრიტეს. (ადს).

„რევოლიუციონური კავშირის" დევნა

შანხაი, 12 სექტემბერი. გომინდანის შანხაის კომიტეტის სამდივნომ შანხაის თავდაცვის შტაბის კომისარს წინადადება მისცა დაშალოს „რევოლიუციონურ ამხანაგთა კავშირი", როგორც ორგანიზაცია, რომელიც დამტკიცებული არ არის გომინდანის მიერ. (ადს).

არავითარი ვადის გაგრძელება

პეკინი, 12 სექტემბერი. ინგლისის ელჩმა პეკინში მიმართა პეკინის მთავრობის გარეშე საქმეთა სამინისტროს ნოტით, რომელშიაც მოითხოვს ინგლ. მიღებული სესხი დაუყოვნებლივ გადახდას. ეს სესხი მიღებული იყო შანხაი-პეკინის რკინის გზის გამოსასყიდად. საფინანსო დაბრკოლებათა გამო ჩინეთის ხელისუფლებამ წინადადება მისცა ინგლისის საელჩოს, რომ საკითხი მოგვარებულიყო ფინანსების „გამჯანსაღებელ" კომისიაში. ინგლისის ელჩმა მეორე ნოტით უარჰყო ეს წინადადება და აცნობა პეკინის მთავრობას, რომ ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს მორიგ ვალის ანგარიშში დააკავოს რკინის გზის ფონდები, რომლებიც არის ლონდონში. ელჩი მოითხოვს ვალის დარჩენილ ნაწილის დაუყოვნებლივ გადახდას (ადს).

ისევ უ-პეი-ფუ

შანხაი, 12 სექტემბერი ხმებია, რომ სიჩუანის პროვინციაში უ-პეი-ფუს ყოფნამ გამოიწვია განხეთქილება სიჩუანელ გენერლებს შორის, რომლებმაც გამართეს ომი ურთიერთშორის. სიჩუანიდან ჩამოსულნი იტყობინებიან, რომ ჩჟან-ცზო-ლინმა უცხოეთის ერთ-ერთ საკონსულოს საშუალებით უ-პეი ფუს გადაუგზავნა 100.000 დოლარი (ადს).

საფრანგეთის პრესა ამხ. რაკოვსკის შესახებ

საუბარი დე-მონზისთან

პარიზი, 12 სექტემბერი. სენატორმა დე-მონზიმ გაზეთ „ავენირ"-ის თანამშრომელთან საუბარში რაკოვსკის გარშემო მომხდარ ინცინდენტის შესახებ განაცხადა:

„პრობლემა იმაში კი არ მდგომარეობს, დარჩება რაკოვსკი ელჩად, თუ არა, არამედ იმაში—მიიღებს თუ არა საფრანგეთი საბჭოთა ელჩს. ლაპარაკია ურთიერთობის გაწყვეტაზე. მე არ მინდა შევაფასო მთავრობის ზრახვები, ვსთვლი რა ჩემს თავს მოვალედ დავიცვა აბსოლუტური თავდაჭერილობა, როგორც საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარემ, მაგრამ **უნდა აღვნიშნო, რომ კომუნისტური საფრთხე საბჭოთა კავშირის საელჩოში კი არ იმალება, არამედ საფრანგეთის მმართველობის სისტემაში. რაც შეეხება რაკოვსკის—მე ვერ ვხედავ უკეთესს მოსკოვის დიპლომატებს შორის.** მრავალი თვეების განმავლობაში წარმოებულ მოლაპარაკების დროს **მე არასოდეს არ შემეძლო გამომეთქვა საყვედური მისი მხრით რაიმე შეუფერებელი მოქმედების გამო,** ის მუდამ ლოიალური იყო საფრანგეთის მთავრობის მიმართ და პატივს სცემდა საფრანგეთს. რაც შეეხება ჩიჩერინის განცხადებას, ის იდენტიურია რაკოვსკის 5 სექტემბრის განცხადებისა. პირველი ჰკიცხავს მოსკოვში იმას, რასაც მეორე—პარიზში.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ წარსულ თვეში, რაკოვსკიმ განაცხადა, რომ მას აქვს რწმუნება წინადადება მისცეს საფრანგეთის მთავრობას დასდოს ხელშეკრულება ჩაურევლობის შესახებ. მან მაცნობა მე ამის შესახებ, თუმცა კარგად იცოდა, რომ ჩემი თვალსაზრისით შეუძლებელია რაიმე სერიოზული საბოლოო შეთანხმება საბჭოებსა და საფრანგეთს შორის, სანამ საფრანგეთს არ ექნება გარანტიები, რომლებიც დაიცავენ მას ყოველგვარი ჩაურევლობისაგან. იმ შეთანხმების წინადადებასთან ერთად, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობიანობის უზრუნველყოფას, რაკოვსკი რომ ჩვენ შინაურ მშვიდობიანობას ემუქრებოდეს, მაშინ რაკოვსკი ღირსი იქნებოდა არა გადასახლების, არამედ დატყვევების.

ვიმეორებ, საქმე ეხება არა ელჩს, არამედ საელჩოს. უნდა მოვიგერიოთ კომუნიზმი ქვეყნის შიგნით და საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების დროს მიღწეული შედეგებს მსჯავრი უნდა დასდონ საზოგადოებრივმა აზრმა და ამომრჩევლებმა. ფაშისტურ იტალიას არ განუცხადებია პროტესტი იმ რეზოლიუციის წინააღმდეგ, რომელსაც ხელი მოაწერა აგრეთვე რომში მყოფმა ელჩმა **კამენევმა,** ხოლო რომი კი, როგორც ვიცით, მტრულადაა განწყობილი კომუნიზმისადმი. საქმე იმაშია, რომ მუსოლინს თავისი თავის იმედი აქვს".

საფრანგეთის პრესა რაკოვსკის გარშემო ამტყდარ განგაშის შესახებ

მემარცხენე პრესა საფრანგეთის მთავრობის მოქმედებას მიაწერს რეაქციონური გაზეთების კამპანიის გავლენას.

კომუნისტური პარტიის ორგანო „იუმანიტე" ფიქრობს, რომ **რაკოვსკის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიის ზურგს უკან იმალება ნავთის კომპანიების ინტერესები. „ზოგიერთი ფრანგული გაზეთები,—სწერს „იუმანიტე", გამოდის ინგლისის ნავთის ტრესტის „როიალ დეტჩ შელლის" ხარჯზე. ამ გაზეთების კამპანია მიზნად ისახავს წაიყვანოს საფრანგეთის მთავრობა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტაზე, რაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის წინამორბედი გახდება".**

პარიზი, 12 სექტ. ანტისაბჭოთა კამპანიის მეთაური, დეტერდინგთან დაახლოებული „მატენ"-ი აცხადებს, რომ რაკოვსკის განმარტება გაზეთს არ აკმაყოფილებს. „მატენ"-ი კითხულობს,—„კიდევ დიდხანს დარჩება რაკოვსკი საფრანგეთში?" მთელი რიგი მემარჯვენე მიმართულების გაზეთები **იცავენ „მატენ"-ის თვალსაზრისს, აზვიადებენ კამპანიას და სარგებლობენ შემთხვევით, რომ წარმოადგინონ მოთხოვნილებები რაკოვსკის გაძევებისა და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ.**

მემარცხენე პრესის ორგანოები ამჟღავნებენ მთელ ამ კამპანიის შინაარსს. სოციალისტური „პოპიულერ"-ი აცხადებს:

„განგაში რაკოვსკის ხელმოწერის გარშემო წარმოადგენს მხოლოდ იმის საბაბს, რომ გააძლიერონ მსოფლიო რეაქციონური მოძრაობა". ამავე აზრს ადგია მემარცხენე რადიკალური „ვოლონტე".

მემარცხენე პრესის მთელი რიგი სხვა ორგანოები ფიქრობენ, რომ რაკოვსკის ინცინდენტი გაზვიადებულია უმთავრესად საარჩევნო კამპანიის მიზნით. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მემარჯვენეები ანტისაბჭოთა კამპანიას შეუდგენ იმ ამბების შემდეგ, რომლებიც მოხდა პარიზში 23 აგვისტოს (შეტაკება საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო დემონსტრაციის დროს). მემარცხენე პრესა იგონებს აგრეთვე ზოგიერთ ორგანოების კავშირს დეტერდინგთან და საერთოდ ნავთის მრეწველთა ანტისაბჭოთა წრეებთან. (ადს).

გერმანიის პრესის გამოძახილი

ბერლინი, 12 სექტემბერი. უკეთებს რა კომენტარიებს საფრანგეთის მემარჯვენე პრესის კამპანიას რაკოვსკის წინააღმდეგ, **გერმანიის პრესა ხედავს ამაში ინგლისის გავლენას.** „დოიტჩე ალგემაინე ცაიტუნგ"-ს მიაჩნია, რომ **„კულისებს უკან მოქმედებს ჩემბერლენი".** მთელი რიგი სხვა გაზეთებიც აღნიშნავენ, რომ **ამ კამპანიაზე უთუოდ იქონიეს ზეგავლენა ნავთისმრეწველებმა.** გაზეთები გამოსთქვამენ იმ მოსაზრებასაც, რომ საფრანგეთის პრესის კამპანია ატარებს საარჩევნო მანევრის ხასიათს. (ადს).

ლატვია-საბჭოთა კონვენცია

რიგა, 12 სექტემბერი. გაზეთები იუწყებიან, რომ ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის სელის კონვენციის ირგვლივ წამოჭრილ ყველა სადაო საკითხებში სრული თანხმობაა მიღწეული. ამ კონვენციაზე ხელის მოწერას უკავშირებენ ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციას. (ადს).

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა ურყევია

ანგორა, 12 სექტემბერი. ოფიციოზური „ხაკიმიეთ მილიე" ათავსებს წერილს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ.

„კაპიტალისტების სიძულვილი,—სწერს გაზეთი,—მიმართულია მთლიანი ფრონტით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ევროპის გაზეთები ამტკიცებენ, ვითომ საბჭოთა კავშირის ბელადები განგებ ავრცელებდენ ხმებს ომის საშიშროების შესახებ და ამით ომში ითრევენ საბჭოთა კავშირს. ჩვენ არაფერი ვიცით ჩვენი მეზობლის განსაკუთრებულ საომარ მზადების შესახებ. მაგრამ **არანორმალური იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირი არ ღებულობდეს საჭირო ზომებს უშიშროების უზრუნველსაყოფად.** ერთ-ერთი ამ დღეებში გავრცელებული ჭორი ამბობს, რომ თითქოს სამეგობრო ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო საბჭოთა კავშირმა წინადადება მისცა ოსმალეთს ამ ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ, მაგრამ თითქოს ანგორა ამაზე არ დათანხმდა. საჭირო არ არის შეჩერება ამ თავიდან ბოლომდე მოჭორილ ცნობაზე. **ჩვენი მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან გადასინჯვას არ საჭიროებს".** (ადს).

ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის შემდეგ

ხიკსი ბოლდუინის ენით ლაპარაკობს

ლონდონი, 12 სექტემბერი. „დეილი ჰერალდ"-ის თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა იყო მიზეზი ედინბურგის ყრილობის დადგენილებისა ინგლის-საბჭოთა კომიტეტის შესახებ, პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ **ჯორჯ ხიკსმა** განაცხადა:

„ყრილობის გადაწყვეტილება ინგლის-რუსეთის კომიტეტის გარშემო წარმოებულ მოლაპარაკების შეჩერების შესახებ, **არ მოასწავებს იმას, რომ რუსებთან შემდგომ შეხვედრათა გზა დახშულია.** მეგობრულ შეთანხმების გზა ძველებურად ღიაა, თუ მხოლოდ რუსი ამხანაგები გაიგებენ, რომ ტრედიუნიონების კონგრესი და გენსაბჭო წარმოადგენენ ინგლისის პროფმოძრაობის პასუხისმგებელ ხელმძღვანელ ინსტანციებს. რუსებმა აუტანელი მდგომარეობა შეჰქმნეს იმით, რომ მუდამ სცდილობდნენ გვერდი აეხვიათ გენსაბჭოსათვის. ედინბურგის ყრილობის დადგენილება მოწმობს იმას, რომ ინგლისის პროფმოძრაობამ მტკიცედ გადასწყვიტა აიძულოს რუსები, რათა მათ სცნონ გენსაბჭო ერთად-ერთ ინსტანციად, რომელიც უფლებამოსილია იმოქმედოს ინგლისის პროფკავშირების სახელით". **მემარცხენე მუშათა წრეების აზრით, ხიკსის განცხადება მოწმობს, რომ გენსაბჭო ერთხელ კიდევ დაადგა ისეთ თვალსაზრისს, რომელიც ანალოგიურია კონსერვატიულ მთავრობის პოზიციისა.** ისევე, როგორც ჩემბერლენი სცდილობს იმით გაამართლოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა, რომ საბჭოთა მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე წინადადებები მოლაპარაკების დასაწყებად, გენსაბჭოც თავს იმართლებს იმის მტკიცებით, თითქოს მოლაპარაკება ინგლის-რუსეთის კომიტეტის გარშემო შეწყვეტილი კი არ არის, არამედ „დროებით შეჩერებულია". (ადს).

პარტიიდან გამორიცხვის მოლოდინში

ლონდონი, 12 სექტემბერი. მუშათა პარტიის კელვინგროვის (გლაზგო) სარაიონო ორგანიზაციამ დამატებით მუნიციპალურ არჩევნებში კანდიდატათ წამოაყენა კომუნისტი **ფერგიუსონი,** მექვაბეთა პროფკავშირის წევრი. მუშათა წრეებში მეტად დაინტერესებული არიან,—თუ როგორ შეხედავს ინგლისის მუშათა პარტიის აღმასკომი კომუნისტის კანდიდატურის წამოყენებას არჩევნებში. ფიქრობენ, რომ ვინგროვის ორგანიზაცია გამორიცხული იქნება მუშათა პარტიიდან. (ადს).

საფრანგეთის პოლიცია პროვოკაციას ამზადებს

პარიზი, 12 სექ. კომპარტიის პარიზის ორგანიზაციამ კიდევ მისცა წინადადება სენის დეპარტამენტის სოციალისტურ ორგანიზაციას, მოეწყოს მთლიანი ფრონტი 19 სექტემბრის გამოსვლებისათვის პარიზში ამერიკის ლეგიონის ჩამოსვლის გამო. პოლიციის პრეფექტი შეეკითხა საკოსა და ვანცეტის დაცვის კომიტეტს, ხომ არ ფიქრობს უკანასკნელი მანიფესტაციის მოწყობას 19 სექტემბერს. კომიტეტმა განაცხადა, რომ ამერიკის ლეგიონის მსვლელობის მოწყობა მას მიაჩნია მკვლელობის ისეთივე პროვოკაციად, როგორიც იყო საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯა. რაც შეეხება კომიტეტის განზრახვებს, ის იმუშავებს თავის მოქმედების გეგმას მუშათა ორგანიზაციებთან ერთად. კომუნისტურ პარტიის პარიზის ორგანიზაცია აცხადებს, რომ ის ხმები, რომლების მიღებასაც აპირებს პოლიცია 19 სექტემბერს, იძლევიან საფუძველს ვიფიქროთ, რომ **მთავრობა ამზადებს „ნამდვილ პოლიციურ მახეს მუშებისათვის".**

რა აფერხებს მუშათა გამომგონებლობას

ჩვენს პრაქტიკულ საკითხს ამჟამად წარმოადგენს წარმოების უფრო მაღალ ტექნიკურ საფუძველზე აწევა. ამ მხრივ გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. ზოგიერთ წარმოებებში უკვე საგრძნობი შედეგებიც გვაქვს. მაგრამ, ცხადია, ჯერ კიდევ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ამ დარგში ჩატარებულ მუშაობით. საჭიროა ტექნიკის გაუმჯობესების მუშაობის ფართოთ გაშლა და ყველა იმის ამოწურვა, რასაც არსებული პირობებში შესაძლებელს ხდიან.

ტექნიკის გაუმჯობესების მუშაობაში ერთ მნიშვნელოვან საკითხად უნდა ჩაითვალოს მუშათა გამომგონებლობა. მას შეუძლია მოიტანოს ფრიად საგრძნობი შედეგები. სამეურნეო ორგანოების მხრივ მუშათა გამოგონების საკითხი მოითხოვს დიდ ყურადღებას.

ზოგი მუშათა გამომგონებლობის მნიშვნელობას ვერ აფასებს, არ სჯერა, რომ თეორიულად მოუმზადებელ პირს შეუძლია რაიმე ცვლილება შეიტანოს არსებულ ტექნიკურ მოწყობილებაში. აქედან გამომდინარეობს მუშათა გამომგონებლისადმი უყურადღებობა, რომელსაც ამჟამად ზოგიერთ სამეურნეო ორგანოებში ადგილი აქვს. ამ საკითხში ზოგან თავმოყვარეობაც იჩენს თავს, როცა თეორიულად მოუმზადებელი და ზოგიერთ შემთხვევაში წერა-კითხვის ნაკლებათ მცოდნე მუშა გამოგონების პროექტს ადგენს, ეს უარყოფითად მოქმედებს ტექნიკურ პერსონალზე, მათ თვით მოყვარეობას ეხება. ამიტომ ხშირად ტექნიკური პერსონალი ალმაცერად უყურებს მუშების წინადადებებს და წუნს სდებს მათ. ტექნიკურ პერსონალის ასეთ მიდგომას ადგილი ჰქონდა ჩვენში. გამოგონების მითვისების შემთხვევაც (თამბაქოს ტრესტში). მუშა იძულებული გახდა თავის გამოგონება გაეყო ინჟინერისათვის.

შეუძლია თუ არა თეორეტიულად მოუმზადებელ მუშას ტექნიკური გამოგონებების შედგენა? გამოცდილებამ ეს საკითხი დადებითად გადასჭრა. კერძო კაპიტალი ბურჟუაზიულ ქვეყნებში ახლაც სარგებლობს მუშათა გამოგონებებით. საბჭოთა რესპუბლიკებში მუშათა გამომგონებლობა ამჟამად ფართოდ მიმდინარეობს. გაზეთების ფურცლებზე ხშირად შეხვდებით ცნობებს მუშების ღირსშესანიშნავ გამოგონებების შესახებ.

მუშათა გამოგონება არ წარმოადგენს რაღაც არაჩვეულებრივ მოვლენას. გამოგონების საქმის გაძნელებულად წარმოდგენა შეაფერხებს მის გავრცელებას. ბევრს ჰგონია, რომ გამომგონებლად შეიძლება იყვენ დიდი ნიჭის და უნარის მქონენი, არაჩვეულებრივი პირები. ეს შეცდომაა. **გამომგონებლად შეიძლება გახდეს თვითეული დაკვირებული მუშა.** ამისათვის არც არაჩვეულებრივი ნიჭი არის საჭირო და არც სხვა რამე. მთავარი რაც საჭიროა გამომგონებლისათვის, ეს არის წარმოებითი გამოცდილება.

დაზგის მუშა გამოგონების მხრივ უფრო უკეთეს პირობებში არის, ვიდრე ტექნიკური პერსონალი. ამ უკანასკნელებს უხდებათ ზედამხედველობა, მუშას კი ერთ და იმავე პროცესისაკენ აქვს მიქცეული თვალყური, რაც ამ დარგში მას მეტ გამოცდილებას აძლევს. ამიტომ წარმოებაში ტექნიკური შესწორებების შეტანის აუცილებლობას მუშა უფრო ადვილად ხედავს. დეფექტების გამოსწორება და წარმოებით პროცესში ცვლილების შეტანის საკითხებში ყველა მუშას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს.

თუ გამოგონებათა საკითხს სალათ მიუდგებით და მივიღებთ იმ უდავო აზრს, რომ თვითეული მუშა თავის წარმოებითი გამოცდილებით შეიძლება იქნეს გამომგონებელი, პრაქტიკულად ამ საკითხის გატარება გაადვილდებოდა. სამეურნეო ორგანოების და პროფ. მუშაკების მთავარი დანიშნულება იქნება მუშებისადმი ხელის შეწყობა, რომ მათ ფართოთ გამოააშკარაონ თავის წარმოებითი გამოცდილება.

მუშათა ინიციატივის გამომგონებლობის საქმეში ხელის შეწყობა შეიძლება მიმდინარეობდეს რამოდენიმე მიმართულებით. სამეურნეო ორგანოები და პროფესიონალური კავშირები უნდა ეცადონ შექმნან ამ ინიციატივის გამომჟღავნების სათანადო პირობები, როგორც მაგალითად მუშების წარმოებითი აღზრდა და მათი აქტიურად ჩაბმა წარმოების საკითხებში. დიდი მნიშვნელობა ექნება პოპულიარული ტექნიკური ლიტერატურის გამოცემას, და იმ ტექნიკურ მიღწევების გაშუქებას, რომელთაც სხვაგან აქვთ ადგილი.

წარმოებებში მუშა-გამომგონებელთა დასახმარებლად უნდა იქნეს მოწყობილი სპეციალური ტექნიკური კონსულტაციები. ამის შესახებ არის გამოცემული საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს დირექტივა. ამ დირექტივის თანახმად მიმდინარე წლის მაისის პირველამდე ყველა დიდ წარმოებებში უნდა მოწყობილიყო ტექნიკური კონსულტაცია. ჩვენში ამ დირექტივის პრაქტიკული გატარება ძალიან სუსტად მიმდინარეობს. დირექტივის თანახმად უნდა მოეწყოს კონსულტაცია სამეცნიერო-ტექნიკურ პირებისაგან. განსაზღვრულ ადგილას და განსაზღვრულ დროს უნდა ხდებოდეს მუშების მიღება და რჩევის მიცემა. კონსულტანტებათ ისეთი პირები უნდა იყვენ დანიშნული, რომ მათ ამხანაგური მოქცევით და ყურადღებით მისცენ მუშას ამომწურავი და საქმიანი რჩევა. ტექნიკური კონსულტაცია უნდა სწარმოებდეს სამეურნეო ორგანოების ხარჯზე. ზოგ წარმოებაში შეიძლება მოეწყოს საწარმოო კუთხეები. ხსენებული დირექტივა ავალდებულებს სამეურნეო ორგანოებს მისცენ მუშას დაზგებით და ქარხნის სხვა მოწყობილობით უფასო სარგებლობის საშუალება გამოგონების განსახორციელებლად. ასეთი საშუალება უნდა მიეცეს არა მარტო ამ წარმოების მუშას, არამედ სხვა წარმოებისასაც, თუ გამოგონების ტექნიკურად შესრულება ამას მოითხოვს.

დახმარება უნდა გაეწიოს მუშებს ტექნიკურად პროექტების ჩამოყალიბებაში. უმეტეს ნაწილათ მუშას თავის გამოგონების განხორციელება უჭირს მხოლოდ იმიტომ, რომ პროექტის ქაღალდზე დახაზვა არ შეუძლია. ამისათვის სპეციალური ცოდნა არის საჭირო. სამეურნეო ორგანოებმა და კავშირებმა ამ მხრივ დახმარება უნდა გაუწიონ მუშებს.

როცა გამოგონების ტექნიკურად ჩამოყალიბება მოითხოვს ხარჯებს, საჭიროა აქაც ამ მატერიალური დახმარების გაწევა, როგორც ფულით, ისე მასალებით და ხელსაწყოს შეძენით.

დიდი მნიშვნელობა აქვს გამოგონებათა და გაუმჯობესებათა მატერიალურ დაჯილდოვებას. არც ერთი გამოგონება, არ ერთი მუშის წინადადება, რომელიც გაუმჯობესებას იძლევა, არ უნდა დარჩეს დაუჯილდოვებელი. მომჭირნეობა ამ მხრივ ნიშნავს მფლანგველობას, ვინაიდან გამოგონების დაუჯილდოების გამო კვდება ინიციატივა, ხალისი და გამოგონებები მცირდება. უნდა ითქვას, რომ ჩვენ სამეურნეო ორგანოებში და ზოგიერთ კავშირების ორგანოებშიაც ამ საკითხში არ არსებობს სალი შეხედულება. ამის შესახებ უკვე გამოქვეყნებული იყო რამოდენიმე [illegible]

ბევრს ჰგონია, რომ უნდა ხდებოდეს მხოლოდ ისეთი გამოგონებათა დაჯილდოება, რომელიც დიდ რამეს წარმოადგენს. ესეც შემცდარი და მავნე აზრია. საკავშ. სახ. მეურნეობის უმაღლ. სამეურნეო საბჭოს დირექტივაში ამის შესახებ პირდაპირ არის ნათქვამი: „დაჯილდოებული უნდა იქნეს ყოველი კონკრეტული წინადადება, რომლის გატარებაც შეუძლია მოგვცეს: ა) ნაყოფიერების გადიდება; ბ) ნაწარმოების თვითღირებულების შემცირება; გ) ნაწარმოების ღირსების გაუმჯობესება; დ) მუშაობის მავნებლობის და საშიშროების შემცირება და შრომის პირობების შემსუბუქება". ეს დირექტივა ძლიერ გარკვეულად ამბობს, რომ დაჯილდოვება უნდა ხდებოდეს არა მარტო გამოგონების, არამედ ყოველგვარი წინადადებისათვის, რომელიც სარგებლობას აძლევს წარმოებას, ან აუმჯობესებს შრომის პირობებს. ამ დირექტივის გამოცემის შემდეგ არ უნდა ჰქონოდა ადგილი მუშათა გამოგონებათა და საქმიან წინადადებათა დაჯილდოვების საკითხში ისეთ სიძუნწეს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ წარმოებებში. ეს არა სალი მიდგომა უნდა მოისპოს და დაჯილდოვების საშუალებით უნდა შეიქმნას მუშათა წარმოებითი გამოცდილების ფართოდ გამოყენების პირობები.

დაჯილდოვების ფართოდ გატარებისათვის, საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ გამოცემულია დადგენილება, რათა ყოველ წარმოებასთან შეიქმნეს განსაკუთრებული მტკიცე ფონდები. ზოგან ეს ფონდები ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი. აქ მხრივაც უნდა იქნეს მიღებული ზომები, და ეს ფონდები ყველგან უნდა მოეწყოს.

მრეწველობის განვითარებაში მუშათა გამომგონებლებს შეუძლია ითამაშოს დიდი როლი. რაციონალიზაციის საქმის წარმატებითი მსვლელობა ბევრათ დამოკიდებულია მუშების მონდომება-აქტივობაზე. ამ აქტივობის გამოსამჟღავნებლად საჭიროა სათანადო პირობები და ფორმები. მაქსიმალური ყურადღება, ყოველმხრივი დახმარება, რჩევა და მატერიალური წახალისება. თვითეულმა მუშამ უნდა იგრძნოს, რომ მის საქმიან წინადადებებს შეხვდებიან დიდი სიამოვნებით. ეს ფრთას შეასხამს მუშების შემოქმედებას და დააჩქარებს სოციალისტური მშენებლობის ტემპს.

ს. ბოდაბრელიძე.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამის ცნობები

მიწის ძვრა

ოდესა, 13 სექტემბერი. 12 სექტემბერს დილის 5 საათზე ოდესაში ირყეოდა მიწა; რყევა გაგრძელდა რამდენიმე წამს. (ადს).

მიწისძვრაში ბიძგები ზღვაში

ოდესა, 13 სექტემბერი. იალტიდან მოვიდა გემი „ილიჩი". იალტაში გემი იყო მიწისძვრის დროს. გემი იძულებული გახდა შეეხიზნა 1.300 მგზავრი, რომლებმაც პირდაპირ იერიში მიიტანეს გემზე. გემის კაპიტანი აღნიშნავს, რომ 18 მილის მოშორებით ანაპიდან იალტისაკენ გემმა ღია ზღვაში იგრძნო ბიძგები. იალტასთან მიახლოვებისას გემმა იგრძნო მეორე ბიძგი. (ადს).

ფრონტებზე სიწყნარეა

შანხაი, 13 სექტემბერი. ჩინურ გაზეთების ცნობით, უკანასკნელ სამ დღეს ფრონტებზე სიწყნარეა, სამხრეთელებმა ცზიან-სუს პროვინციაში დაიკავეს ქალაქი ბაონი. ინგლისური გაზეთების ცნობით, სუნ-ჩუან-ფანისა და ჩან-ძუ-ჩანის ჯარებში ხოლერა მძვინვარობს. შანხაის უცხოეთის გაზეთები ამტკიცებენ, რომ თითქოს ჩრდილოელებმა აიღეს ხენანის პროვინციის მთავარი ქალაქი კაიფინი.

ჩან-კაი-ში სასწავლებლად მიდის

შანხაი, 13 სექტემბერი. ჩინური გაზეთების წარმომადგენლებთან გამართულ საუბარში ჩან-კაი-შიმ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს 5 წლით საზღვარგარეთ გამგზავრება პოლიტიკურ და სამხედრო საკითხების შესასწავლად.

კერძო თათბირი

ჟენევა, 12 სექტემბერი. უკანასკნელ დღეებში ჟენევაში შესდგა რამდენიმე კერძო თათბირი ერთა ლიგის პლენუმის დელეგატებს შორის. უდიდეს ინტერესს იწვევს ბრიანის, ჩემბერლენის და სამხრეთსლავიის გარეშე საქმეთა მინისტრის მარინკოვიჩის თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა ბალკანეთის ლოკარნოს საკითხი.

სამხრეთ-სლავიის დელეგაციის წრეებში ფიქრობენ, რომ თათბირი მოახწევს ინგლისის და სამხრეთ-სლავიის დაახლოვებას.

გაიმართა აგრეთვე მარინკოვიჩის თათბირი ბულგარეთის დელეგაციასთან.

კირილოველთა მონარქისტული ორგანიზაცია

რიგა, 12 სექტემბერი. „იუნაკას ზინაისის" ცნობით, რიგაში აღმოაჩინეს კირილოველთა მონარქისტული ორგანიზაცია. დაპატიმრებულია ათი კაცი, რომლებსაც აღმოაჩნდათ მამხილებელი მიწერ-მოწერა და მონარქისტული ლიტერატურა.

პრემიერ-მინისტრმა სკუიენიემ განაცხადა, რომ ზოგიერთი დაპატიმრებული მინისტრები გაძევებული იქნებიან (ადს).

ჩინეთი და საფრანგეთ-საბჭოთა დამოკიდებულება

პეკინი, 13 სექტემბერი. ჩინეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ჩინეთის პარიზელ ელჩს დაევალა გაიგოს, როგორი ხასიათი აქვს საფრანგეთის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ და როგორ გეზის აღებას ფიქრობს საფრანგეთის მთავრობა კომუნისტების მიმართ.

ამასთან ერთად პეკინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაავალა თავის საქმეების რწმუნებულს მოსკოვში შეკრიბოს სათანადო მასალები საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ (ადს).

დუან-ძი ჟუის დაბრუნება

პეკინი, 13 სექტემბერი. ჩინური გაზეთების ცნობით, ტიანძინში დაბრუნდა ჩინეთის ყოფილი დროებითი მმართველი და იაპონოფილური პარტიის ბელადი დუან-ძი-ჟუი, რომელიც დიდი ხანია, რაც წასული იყო ჩინეთიდან. უკანასკნელად დუან-ძი-ჟუი დაირენში იმყოფებოდა (ადს).

ლიგის მესამე კომისიის სხდომა

ჟენევა, 12 სექტემბერი. ჟენევაში ბენეშის თავმჯდომარეობით გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს მესამე კომისიის სხდომა, რომელიც იხილავს უშიშროებისა და განიარაღების საკითხს. ბენეშმა განაცხადა, რომ კომისია პირველ რიგში განიხილავს განიარაღების კონფერენციის მომამზადებელი კომისიის მუშაობას და მეორე რიგში—პოლონეთის და ჰოლანდიის წინადადებებს (ადს).

კომუნისტების დევნა

პრაღა, 12 სექტემბერი. ჩეხო-სლოვაკიაში გრძელდება კომუნისტების დევნა. თითქმის ყოველდღე ხდება „რუდე პრავოსი" და დანარჩენ კომუნისტურ გაზეთების კონფისკაცია. პრაღაში კომპარტიას აკრძალული აქვს ყოველგვარი მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვა. როგორც გაზ. „რუდე პრავო" აღნიშნავს, პარტია არსებითად გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაზე.

ბურჟუაზიული პრესა გააფთრებულ კამპანიას აწარმოებს კომუნისტების წინააღმდეგ, და მოითხოვს კომპარტიის დაშლას და კომუნისტების დათხოვას სახელმწიფო სამსახურიდან.

ახალი პოლიტიკური მანევრი

ბერლინი, 12 სექტემბერი. მეორე ინტერნაციონალის ბიურომ ბრიუსელის სხდომის უკანასკნელ სხდომაზე გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც წინააღმდეგია ერთიანი ფრონტის შექმნისა კოლონიალურ ერთა ჩაგვრასა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ლიგასთან. მეორე ინტერნაციონალის ბიუროს დადგენილებაში ლიგასთან შეთანხმებული მუშაობის იდეა შეფასებულია როგორც „ახალი კომუნისტური მანევრი". (ადს).

თავდასხმა

იტალიის კონსულზე პარიზში

პარიზი, 12 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ უცნობმა იტალიელმა იტალიის საკონსულოში ვიცე-კონსულ გრაფ ნარდინის ესროლა რამდენჯერმე და მძიმედ დასჭრა ის. თავდამსხმელი დაპატიმრებულია. (ადს).

უცხოელთა გაძევება

საფრანგეთიდან

პარიზი, 12 სექტემბერი. გუშინ დაპატიმრებული რამოდენიმე ათეული უცხოელი—უნგრელები, რუმინელები, იტალიელები, პორტუგალიელები და ესპანელები, და აგრეთვე საბჭოთა მოქალაქენი, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი საფრანგეთში სცხოვრობდენ სრულიად ლეგალურად, იგზავნებიან საფრანგეთიდან 24 საათში. პოლიცია უარს ამბობს აღნიშნოს გაძევების საბუთები და იმოწმებს შინაგან საქმეთა მინისტრ სარო-ს განკარგულებას. მაგრამ, ამავე დროს, პოლიცია აცხადებს, რომ ეს ზომა მიღებულია „გამონაკლისის სახით". (ადს).

ამხ. მარტი გადაიყვანეს პოლიტიკურთა რეჟიმზე

პარიზი, 12 სექტემბერი. „ლიუმანიტე"-ს ცნობით, იმის შემდეგ, რაც მინისტრთა საბჭომ განიხილა მარტის პროტესტი სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეჟიმის გადაყვანის გამო, იუსტიციის მინისტრმა გასცა განკარგულება, რომ მარტი ისევ გადაიყვანონ პოლიტიკურ პატიმრების რეჟიმზე. (ადს).

შენიშვნა: მარტი გადაყვანილი იყო სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეჟიმზე, მარშალ ფოშისათვის გაგზავნილ წერილის გამო.

მუშათა დელეგაციები საბჭოთა კავშირში

ლონდონი, 12 სექტემბერი ცენტრალურმა კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს მუშათა დელეგაციების საბჭოთა კავშირში გაგზავნის მოწყობა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, გადაწყვიტა გამართოს მთელი რიგი კონფერენციები დელეგატების არჩევის მიზნით. კონფერენციები გაიმართება ლონდონში, კარდიფში, ლიდსში, მანჩესტერში, კარლეილში, ნიუ-ორკში და გლაზგოში.

„სისხლის სამართლის დანაშაული"

ნიუ-იორკი, 12 სექტემბერი. ჯორჯიას შტატში გამოქვეყნებულია ახალი კანონი შერეული ქორწინების შესახებ თეთრებსა და „ზანგთა შთამომავლობის" პირებს შორის. ახალი კანონი თეთრებისა და ზანგების ქორწინებას სთვლის სისხლის სამართლის დანაშაულად და ამიტომ უფლებას აძლევს შტატის ხელისუფლებას აღრიცხოს შტატის ყველა მცხოვრები მათი რასიული შთამომავლობის გამორკვევის მიზნით. ამჟამად თეთრებისა და ზანგების ქორწინება სასჯელ გამომწვევ დანაშაულად ითვლება ჩ. ა. შეერთებული შტატების 29 შტატში (ადს).

გადაფრენები

სკალა გაფრინდა იაპონიიდან

ტოკიო, 12 სექტემბერი. სააგენტო „სიმბუნ რენგო" იუწყება, რომ 12 სექტემბერს დილის 9 საათსა და 10 წუთზე ჩეხო-სლოვაკიელი მფრინავი სკალა ტოკოროზავადან ხეიჯსით გამოფრინდა უკან. (ადს).

იძულებითი დაშვება

ტოკიო, 12 სექტემბერი. ჩეხო-სლოვაკიელი მფრინავი სკალა, რომელიც პრაღიდან ტოკიოში მოფრინავდა, იძულებული გახდა დაშვებულიყო ოკაიამეში. (ადს).

დედამიწის გარშემო ფრენა

ტოკიო, 12 სექტემბერი. ამერიკელი მფრინავები ბრუკე და შელი, რომლებიც დედამიწის გარშემო ახდენენ ფრენას, 12 სექტემბერს დილით გაფრინდენ ომურიდან, მაგრამ ცუდი ამინდის გამო იძულებული გახდენ უკანვე დაბრუნებულიყვენ ომურში. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს მოწოდება

ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის გამო

მოსკოვი, 13 სექტემბერი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პრეზიდიუმმა, მოისმინა რა მოხსენება გენსაბჭოს მიერ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის შესახებ, დაადგინა მოწოდებით მიმართოს ამის გამო ინგლისის და საბჭოთა კავშირის ყველა მუშებს.

„ინგლისის პროფკავშირთა უკანასკნელ კონგრესზე ედინბურგში — ნათქვამია მოწოდებაში, — გენსაბჭომ შესძლო თავისი ზრახვის — ინგლის-რუსეთის კომიტეტის აფეთქების განხორციელება. ბირჟა სიხარულით გამოეხმაურა ამ ფაქტს: ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის დღეს ინგლისის ფასიანმა ქაღალდებმა აიწია; მთელი ბურჟუაზიული და რეფორმისტული პრესა ზეიმობს. გაბატონებული კლასები გენსაბჭოელების მიერ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის ფაქტს სავსებით სწორად აფასებენ, როგორც საკუთარ გამარჯვებას.

ურთიერთობის შეწყვეტის წინ ხდევდა „საბრალმდებლო აქტი" საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს წინააღმდეგ, რომელიც თავისი ფორმითა და არსებით გამოხატავდა ინგლისის მთავრობის ულტიმატუმს საბჭოთა კავშირის მიმართ. ბურჟუაზიული პრესის ტონი და ხასიათი უკანასკნელი თვეების განმავლობაში გვაგონებდა იმავე პრესის ტონს იმ თვეების განმავლობაში, რომელიც წინ უსწრებდა დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტას ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მიმდინარე წლის აპრილსა და მაისში ბურჟუაზიული პრესა გამოხატავდა ინგლისის კონსერვატიული მთავრობის ნებისყოფას და გადაწყვეტილებას, ხოლო ივლისში და აგვისტოში მან გენერალურ საბჭოს უკარნახა ბანკირების ნებისყოფა.

„საბრალმდებლო აქტის" ჩვენი შეფასება, რომელიც გამოვაქვეყნეთ მიმდინარე წლის, 30 აგვისტოს, სავსებით გამართლდა. ეს „საბრალმდებლო აქტი" არსებითად ისახავდა იმავე ამოცანებს, რასაც ისახავდა ბანდიტური თავდასხმა არკოსზე ა.-წ. მაისში და ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან იმავე წლის მაისში. გენსაბჭო „სინდისიერად" ასრულებდა კონსერვატორული მთავრობის ლაქიების მისიას და თავის ამოცანად ისახავდა დახმარებოდა ინგლისის კაპიტალისტებს, რომ განემარტოვებინათ შრომის პირველი რესპუბლიკა, რათა ამით გაადვილებულიყო მასზე სამხედრო თავდასხმის მომზადება.

ინგლის-რუსეთის კომიტეტის აფეთქება იყო ერთ-ერთი მომენტი იმ საერთო ღონისძიებათა სისტემაში, რომელიც გენსაბჭომ გაატარა უკანასკნელ კონგრესზე ედინბურგში.

გენსაბჭომ კონგრესი გამოიყენა იმისათვის, რომ კაპიტალის მძაფრი შემოტევის წინ ექადაგა სამრეწველო მშვიდობიანობა მრეწველებთან, რომ დაეცვა ჯალათური ომი ჩინეთის წინააღმდეგ და ამავე დროს მუშები დაერწმუნებინა, რომ აუცილებელია ცხოვრებაში გატარდეს კატორღული კანონი პროფკავშირთა შესახებ, რომელიც სპობს ყოველგვარ უფლებებს და თავისუფლებებს, რომლისათვისაც მრავალი ათეული წლების განმავლობაში იბრძოდენ ინგლისის მუშები.

სწორედ იმ გენსაბჭომ, რომელმაც კონგრესს მოახვია თავზე ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლა, თავისი მფარველობის კალთა გადააფარა ხავლოკ ვილსონს და მის დამქაშებს, რომელნიც რამოდენიმე წლის განმავლობაში აშკარა შტრეიკბრეხერულ მუშაობას აწარმოებდენ.

გენერალური საბჭო დაიწყებს მითითებას, იმ „მილიონების" ნებისყოფაზე, რომელნიც, ვითომდა მხარს უჭერდენ მის პოლიტიკას, ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის პოლიტიკას. მაგრამ ეს დემოკრატიული „მასკარადი" ვერავის შეიყვანს შეცდომაში. ახეთი „მასკარადები" ახალი მოვლენა არ არის ინგლისში.

ვერავითარი მითითება „დემოკრატიაზე" ვერ შეარყევს იმ ფაქტს, რომ გენსაბჭოს ბელადებმა ედინბურგის კონგრესზე გამოაშკარავეს, რომ ისინი არიან მუშათა მოძრაობის მთლიანობის მტრები, კონსერვატორების რეაქციის აშკარა ხელის შემწყობნი.

ხიქსები და სიტრინები ვერ შესძლებენ შეამცირონ იმ ფაქტის მნიშვნელობა, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის წინააღმდეგ კომპაქტური უმრავლესობით მისცა ხმა ინგლისის რკინის გზელთა მთელმა დელეგაციამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დელეგაციას მეთაურობდენ ისეთი გამოცდილი რეაქციონერები, როგორც არიან ტომასი და კრამპი. ისინი ვერ შესძლებენ აგრეთვე შეანელონ იმ ფაქტის მნიშვნელობა, რომ იმავე კონგრესზე ედინბურგში მემაღაროეთა დელეგაციამ, რომლის სათავეშიაც იდგა, ჰერბერტ სმიტი, რომელიც ეხლა მემაღაროეთა კავშირში ატარებს ფრანკ ხოჯესის პოლიტიკას), ვერ გაბედა ხმა მიეცა ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლისათვის, ვინაიდან ეს გამოიწვევდა აღშფოთებას მემაღაროეთა შორის. ვერ შესძლებენ გენსაბჭოელები აგრეთვე იმ ფაქტის მნიშვნელობის შემცირებას, რომ ედინბურგის კონგრესზე გამოსული უმცირესობის წარმომადგენელნი, რომელთაც ჰქონდათ 1 მილიონ მუშის მანდატი, აწარმოებდენ დაუნდობელ ბრძოლას გენსაბჭოს რეაქციონური პოლიტიკის წინააღმდეგ და იცავდენ ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშებს შორის ძმური კავშირის პოლიტიკას.

ყველა ეს ფაქტები მოწმობენ იმას, რომ გენსაბჭოს ბელადები სრულიადაც არ გამოხატავენ პროლეტარული მასების ნებისყოფას და განწყობილებას, რომ ისინი ასრულებენ კაპიტალისტების სურვილებს.

ინგლის-რუსეთის კომიტეტი შეიქნა ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშების ნებისყოფით. იგი ჩაშალეს არა ინგლისის მუშებმა, და არა საბჭოთა კავშირის მუშებმა, არამედ ინგლისის პროფკავშირთა იმ კონტრ-რევოლუციონურმა მოხელეებმა, რომელნიც ინგლის-რუსეთის კომიტეტში სავსებით სამართლიანად ხედავდენ იარაღს პროლეტარული მასების გაერთიანებისათვის კაპიტალისტების კლასთან საბრძოლველად. ინგლის-რუსეთის კომიტეტი წარმოიშვა, როგორც პროლეტარული სოლიდარობის გამოძახილი და იგი აფეთქებულ იქნა იმათ მიერ, ვინც გასცა საყოველთაო გაფიცვა 1926 წლის 12 მაისში, რათა შემდეგში საბოტაჟის საშუალებით უზრუნველეყოთ კონსერვატიული მთავრობის და მაღაროს მეპატრონეთა გამარჯვება მემაღაროეებზე.

ჩვენ ვიცოდით და ვიცით, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტს ღრმის თანაგრძნობით ხვდებოდენ არა მარტო ინგლისის და საბჭოთა კავშირის პროლეტარული მასები, არამედ მთელი მსოფლიოს მუშები. მის შექმნას სიხარულით გამოეხმაურენ ევროპაში, ინდოეთში და სამხრეთ-აფრიკაში. ყველგან მუშებს სწამდათ და იმედი ქონდათ, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტი გახდებოდა ერთ-ერთი იარაღი ნამდვილად მთლიანი პროლეტარული ფრონტის შესაქმნელად იმ ამოცანებისათვის ბრძოლაში, რომელნიც გარკვეულად იყო ჩამოყალიბებული იმ კონფერენციის პირველ დეკლარაციაში, რომელზედაც შეიქნა ინგლის-რუსეთის კომიტეტი: ბრძოლა კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, ბრძოლა ომის საფრთხის წინააღმდეგ, ბრძოლა მთლიანი მებრძოლი ინტერნაციონალისათვის, რომელიც გააერთიანებს ყველა ქვეყნების და მთელი მსოფლიოს მუშებს.

პროფკავშირთა მოძრაობა კვლავ გაფანტულ და დაქსაქსულ მდგომარეობაშია. კაპიტალი ყველგან მკაცრ შეტევას აწარმოებს. ომი არის დღევანდელი დღის სისხლიანი სინამდვილე და იგი თავის გამოხატულებას ჰპოვებს იმ სამხედრო ინტერვენციაში, რომელსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები ინგლისის ხელმძღვანელობით ეწევიან ჩინეთის წინააღმდეგ. ამავე დროს მზადდება კონტრ-რევოლუციონური ომი პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის მუშების წინააღმდეგ. ამ პირობებში ინგლისის პროფკავშირთა ძველი კონტრ-რევოლუციონური მოხელეებსაც კი არ ძალუძთ ააცდინონ მუშათა კლასი, კლასიური ბრძოლის გზას და დააყენონ მშრომელთა უბოროტესი მტრების დაცვის გზაზე.

ინგლის-რუსეთის კომიტეტის მთელი ისტორია ამტკიცებს იმ ამოცანების ცხოველმყოფელობას და დიდ მნიშვნელობას, რომელთათვისაც იგი შეიქმნა. ინგლის-რუსეთის კომიტეტის ისტორია თვალსაჩინოდ ამხილებს გენერალურ საბჭოს ბელადებს, როგორც კაპიტალისტების ერთგულ მახარობლებს და როგორც მუშათა კლასის ბოროტ გამცემლებს.

ინგლისის საყოველთაო გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდებოდა და ამით ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერებოდა მუშათა მოძრაობის ისტორიაში, რომ გენსაბჭოს კონსერვატორების მთავრობასთან არ ეთანამშრომლა ამ გაფიცვის ჩაშლის საქმეში.

ყველა ქვეყნების მუშები, და პირველ რიგში საბჭოთა კავშირის მუშები მზად იყვენ დახმარებოდენ ინგლისის მუშებს მათ სამართლიან ბრძოლაში. მაგრამ ჩვენი ძმური დახმარება უხეშად უარჰყვეს გენსაბჭოელებმა. გენერალური გაფიცვის გაცემის შემდეგაც კი გახდა შესაძლო მემაღაროეთა გამარჯვების უზრუნველყოფა. მაგრამ გენსაბჭო საბოტაჟს უცხადებდა საბჭოთა დელეგაციის ყველა წინადადებებს ინგლის-რუსეთის კომიტეტში, მან ამჯობინა ამსტერდამის ბელადებთან, მაღაროს მეპატრონეებთან და ბოლდუინის მთავრობასთან მუშაობა მემაღაროეთა დამარცხების მიზნით.

საბჭოთა კავშირის და ინგლისის მუშათა ერთსულოვან მისწრაფებას, რომ მას ნამდვილად გამოხმაურებოდენ სხვა ქვეყნების მუშები, შეეძლო შეეჩერებია ინგლისის ჯალათების ხელები, რომელნიც ანადგურებენ ჩინეთის რევოლუციას. მაგრამ გენსაბჭოს წარმომადგენლებმა უარჰყვეს ჩვენი წინადადებანი საერთო ბრძოლის შესახებ ინტერვენციის წინააღმდეგ, ჩინეთში, და ამჯობინეს ისეთი რეზოლიუციებით და დეკლარაციებით აეხვიათ გვერდი ამ წინადადებისათვის, რომელნიც არსებითად ხელს უწყობდენ კონსერვატორების მთავრობას განეგრძო თავისი ყაჩაღური საქმე.

12 მაისის ღალატის შემდეგ ჩვენს წრეშიაც იყვენ ისეთი ამხანაგები, რომელნიც ფიქრობდენ, რომ ჩვენ უნდა ვიკისროთ ინგლის-რუსეთის კომიტეტის აფეთქების ინიციატივა. ჩვენ ამაზე არ დავთანხმდით. ჩვენ ვამჯობინეთ ინგლის-რუსეთის კომიტეტში დარჩენა — ჩვენი წინადადებების მტკიცედ გატარება და გენსაბჭოს წარმომადგენელთა სისტემატიური საბოტაჟისა და შავი ღალატის გამომჟღავნება. ეს ჩვენი ტაქტიკა სავსებით გამართლდა. ჩვენი წინადადებანი და ჩვენი დახმარება, სათანადოდ იქნა შეფასებული ინგლისის მუშების მიერ. ინგლისის კაპიტალისტებმა და მათი დამქაშებმა — ტომასებმა, პერსელებმა, ხიკსების და სიტრინების მთელი გაბოროტება და მძულვარება გამოწვეულია სწორედ იმ ფაქტით, რომ ჩვენი დელეგაცია ინგლის-რუსეთის კომიტეტის არსებობის ყოველ სტადიაში შეურყევლად სცდილობდა ერთგულად დაეცვა როგორც ინგლისის, ისე მთელი მსოფლიოს მუშების ინტერესები და რომ ჩვენი ამ მისწრაფებას ღრმისა თანაგრძნობით ხვდებოდენ ინგლისის მუშები.

გენსაბჭოს რეაქციონური პოლიტიკა, რომელიც ხიკსის და სიტრინის ხელმძღვანელობით ტარდება ედინბურგის კონგრესზე, ისევე ამტკიცებს რეაქციონური ბიუროკრატიის უძლურებას, როგორც ფაშისტური პოლიტიკა, რომელსაც ბოლდუინი და ჯოინსონ ჰიქსი ატარებენ, არის ინგლისის იმპერიალიზმის დაშლისა და დახავსების გამოხატულება.

როცა ინგლისის იმპერიალიზმი ძალ-ღონით იყო აღსავსე, მას შეეძლო შეეთვისებინა რეფორმებს დათმობებით. ინგლისის იმპერიალიზმს თავის დაცემის ხანებში არ ძალუძს რაიმე დათმობაზე წავიდეს მუშების მიმართ, იგი სცდილობს შეინარჩუნოს ხელისუფლება ინგლისის მუშების მკაცრი ექსპლოატაციით და კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ხალხების სასტიკი ჩაგვრით. ასეთივე ცვლილება პოლიტიკაში ჩვენ ვამჩნევთ ინგლისის იმპერიალიზმის მსახურთა — ინგლისის პროფკავშირთა მოძმეთა მოხელეებს შორის. იმ ხანაში, როცა ისინი გავლენით სარგებლობდენ, მუშებში, კაპიტალისტებისათვის სამსახურის პოლიტიკას ხერხიანად უფარავდნენ რადიკალურ ფრაზებს. ეხლა კი იძულებული არიან ჩამოიხადონ ნიღაბი და გამოვიდენ იმპერიალიზმის აშკარა ლაქიების როლში.

საბჭოთა კავშირის მუშების სახელით ჩვენ მხურვალე ძმურ სალამს უძღვნით ინგლისის მუშებს, რომელთაც 1926 წ. მაისის დღეებში გვიჩვენეს დისციპლინისა და სოლიდარობის მაგალითი და მემაღაროეთა გმირული და შეუპოვარი ბრძოლის მაგალითზე დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ ბრძოლა თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ინგლისის მუშათა კლასი განდევნის თავის წრიდან გამცემელ-კაპიტალისტებს — ტომასებს და ხიკსებს და მთელი თავისი ძალ-ღონით გაჩაღებს ბრძოლას კაპიტალისტების კლასის წინააღმდეგ.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლას მუშათა კლასის მოღალატეთა მიერ ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშები უპასუხებენ ერთმანეთს შორის ძმური კავშირის გაძლიერებით, და განმტკიცებით.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ვერც ხიკსები და ტომასები, ვერც ჩემბერლენები და ბოლდუინები ვერ შესძლებენ ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშათა ძმური კავშირის შერყევას.

გაუმარჯოს ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს ძმურ კავშირს!".

---

*) მოგვყავს სრული ტექსტი მოწოდებისა, რომელიც გუშინ შემოკლებით იყო გადმოცემული.

ლოიდ-ჯორჯის წერილი

ვენა, 12 სექტემბერი. „ნეი ფრეი პრესსე"-ში დაბეჭდილია ლოიდ ჯორჯის წერილი, რომელიც ეხება საერთაშორისო მდგომარეობას. წერილი აღნიშნავს მსოფლიო ომის შემდეგ შეიარაღების ზრდას, რაც იწვევს ომის საფრთხეს.

ლოიდ-ჯორჯი ჩამოთვლის ხუთ „შიშის გამომწვევ პრობლემას": საკითხი რეინის ოლქის შესახებ, საკითხი გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრების შესახებ, იტალია-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი, რომელიც დღემდე გრძელდება, ჩინეთის მდგომარეობა და, ბოლოს, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

წერილის ბოლოში ლოიდ-ჯორჯი ამბობს, რომ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა საკმაო საფუძველს იძლევა ყოველგვარი შიშისათვის და ამავე დროს ამტკიცებს იმ სახელმწიფო მოღვაწეების არგუმენტებს, რომლებიც მოითხოვენ საყოველთაო განიარაღებას. მიუხედავად ამისა განიარაღების სამთო კონფერენციის მარცხი და ლიგის სესიის გადადება, ლოიდ ჯორჯის აზრით, მოწმობენ იმას, რომ ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესების იმედები არაა (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტიული მასები ერთსულოვნად გმობენ ოპოზიციას

„ოპოზიცია არ ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობით გამოწვეულ მდგომარეობის სირთულეს;—ლენინური პარტია არ დაუშვებს მის დადგენილებათა უგულებელყოფას და არგატარებას;—ოპოზიციამ შესტოპა ტროცკიზმის ჭაობში, ის დაუშვებელ ცილისწამებით და მემარცხენე ფრაზების რახარუხით ცდილობს შესცვალოს ლენინიზმი ტროცკიზმით;—პარტიამ ძირშივე უნდა მოჰკვეთოს ლენინიზმის გაყალბებისაკენ მიმართული ყოველგვარი ცდა".

ქიათურა

8 სექტემბერს, ქიათურაში, მუშათა კლუბში გაიმართა კომპარტიის რაიონულ ორგანიზაციის წევრთა კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით ს. კ. პ. (ბ) და ც. საქ. კ. პლენუმის შედეგების შესახებ გამოვიდა ამხ. ფილიპე მახარაძე. კრება მქუხარე ოვაციებით შეეგება მომხსენებელს ტრიბუნასთან გამოჩენის.

მოხსენების შემდეგ, გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო შემდეგ ამხანაგებმა: იპ. მუმლაძემ, ცარციძემ, ბერძენიძემ, არტ. მინდელმა, ცაგარეიშვილმა და სხვებმა. ყველა ესენი ერთხმად მოითხოვდენ პარტიის გამთიშველთა წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღებას და პარტიის რიგების მტკიცეთ შემჭიდროებას ლენინურ ცეკას გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ყოფილ ოპოზიციონერმა ამხ. აბესაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ოპოზიციის ხაზი შემცდარია, რომ შინაპარტიული ბრძოლა ახარებს მტრების გულს და საფრთხეს უმზადებს ოქტომბრის მონაპოვარს.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ოპოზიცია არ ითვალისწინებს მდგომარეობის სირთულეს, რომელიც შეიქნა საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებით. ასეთ პირობებში პარტიის დადგენილების ცხოვრებაში გატარების მაგივრად, ოპოზიცია ილაშქრებს პარტიის წინააღმდეგ არალეგალური და ლეგალური საშუალებით. ლენინურ პარტიას არ სჩვევია პარტიის დადგენილებათა უგულებელყოფა და მათი ცხოვრებაში არ გატარება.

კრება მოითხოვს ამ დეზორგანიზატორულ მუშაობის საბოლოოდ აღკვეთას და პარტიის გამთიშველთა წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღებას, მათი პარტიიდან გარიცხვამდე.

კრება მოუწოდებს ოპოზიციის ამყოლ ადგილობრივ თითო-ოროლა ამხანაგებს, შეიგნონ თავიანთი შეცდომა და პარტიასთან ერთად გაჩაღებული სოციალისტური აღმშენებლობის დიდი და საპასუხისმგებლო საქმე".

რეზოლიუცია მიღებულია ერთხმათ, ერთის თავშეკავებით.

შორაპანი

9 სექტემბერს, შორაპნის მუშათა კლუბში შესდგა ქ. ზესტაფონის, ხარაგოულის და შორაპნის პარტორგანიზაციის წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო კომკავშირის აქტივიც. შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ფ. მახარაძემ.

მოხსენების გამო ილაპარაკეს მუშებმა. ორატორები სასტიკათ ჰგმობდენ ოპოზიციონერების უპასუხისმგებლო მუშაობას. ამხანაგები მოითხოვდენ პარტიის მთლიანობის დამრღვევთა სასტიკათ დასჯას.

რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ პარტიამ სამაგალითოთ უნდა დასაჯოს ისინი, ვინც არ ემორჩილება ყრილობის დადგენილებას და ილაშქრებს ლენინურ პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ, ერთხმად და დიდი ოვაციებით იქნა მიღებული.

დუშეთი

8 სექტემბერს, შესდგა დუშეთის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელსაც დაესწრო თემკომების მდივნებიც.

შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მარქაროვმა. მოხსენების შემდეგ პლენუმმა, რომელსაც 80 კაცი დაესწრო, ერთხმად, ორის წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის სამაზრო პარტიულ კომიტეტის გაფართოებული პლენუმი სავსებით და მთლიანად იწონებს პლენუმის გადაწყვეტილებებს.

სამაზრო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ცეკას სწორ ლენინურმა ხელმძღვანელობამ მიმდინარე საანგარიშო წელში ჩვენ მოგვცა მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიღწევები: ახალი ფაბრიკა-ქარხნების გახსნა, პურის დამზადების კამპანიის წარმატებით ჩატარება, აქტიური ბალანსი საგარეო ვაჭრობაში და სხვა.

გაფართოებული პლენუმი კატეგორიულად უარყოფს ოპოზიციის უტიფარ ცილისწამებას ცეკას თერმიდორიანული გადაგვარების, კულაკური პოლიტიკის და სხვათა შესახებ. კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციამ საბოლოოთ შესტოპა ტროცკიზმის ჭაობში და ცეკას მიმართ დაუშვებელი ცილისწამებით, მემარცხენე ფრაზების რახარუხით ცდილობს შესცვალოს ლენინიზმი ტროცკიზმით.

გაფართოებული პლენუმი აღნიშნავს გაერთიანებული ოპოზიციის 8 აგვისტოს განცხადების ორპირობას და ბუნდოვანობას, რომელიც არ იძლევა გამთიშველ ფრაქციულ მუშაობის შეწყვეტის მტკიცე გარანტიას.

პარტია ველარ მოითმენს ოპოზიციის მიერ დადებულ პირობის, ისე უხეშ დარღვევას, როგორც ეს მოიმოქმედა ოპოზიციამ 16 ოქტომბრის დადებულ პირობათა მიმართ. ამისათვის წინასწარვე ყოველგვარმა ცდამ გამთიშველ ფრაქციული მუშაობის განგრძობისა უნდა გამოიწვიოს ოპოზიციონერთა დაუყონებლივ პარტიის რიგებიდან გარიცხვა.

გაფართოებული პლენუმი აღნიშნავს იმ განსაკუთრებულ მავნებლობას, რაც მოაქვს გაერთიანებულ ოპოზიციის დროშის ქვეშ შეფარებულ საქართველოს უკლონისტების დეზორგანიზატორულ მუშაობას.

გაფართოებული პლენუმი კატეგორიულად მოითხოვს ადგილობრივ ოპოზიციისაგან შეწყვიტოს გამთიშველი მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაუყოვნებლივ გამორიცხულ უნდა იქმნენ პარტიის რიგებიდან.

გაფართოებული პლენუმი აღუთქვამს ცეკას ყოველგვარ დახმარებას ოპოზიციის ანტილენინურ გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამასთან ერთად პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა თემკომებს და უჯრედებს დაუყოვნებლივ შეუდგენ გაერთიანებული პლენუმის დადგენილებათა გულდასმით შესწავლას, რომლის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ოპოზიციის ანტილენინური გადახრის და მათი პრინციპიალურ შეცდომათა მხილებას".

დასასრულ პლენუმმა სამაზრო კონფერენციის მოწვევის შესახებ მიიღო შემდეგი დადგენილება: სამაზრო კონფერენცია მოწვეულ იქმნეს 15 ოქტომბერს, შემდეგი დღის წესრიგით:

1. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, 2) სამაზრო კომის ანგარიშის მოხსენება კომკავშირის სამკომის თანამოხსენებით, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) მაზრის მეურნეობის მდგომარეობა (სასოფლო მეურნეობა და ადგილობრივ მნიშვნელობის მრეწველობა), 5) 1926-27 წლის ბიუჯეტის შესრულების და 1927-28 წლის საბიუჯეტო მდგომარეობის შესახებ და 6) არჩევნები.

ი. ს.

ერთი „წვრილმანის" შესახებ

(უჯრედთა ბიუროების არჩევნების გამო)

საწევრო გადასახადის თავის დროზე შეტანა პარტდისციპლინის ერთ მთავარ მოთხოვნილებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ბევრ უჯრედში ყველაფერი რიგზე არ არის. პარტაღწერის დროს ყველა შეეცადა დავალიანების გასწორებას, რომ ახალი პარტიული დოკუმენტი მიეღო. მაგრამ ჩატარდა თუ არა ეს აღწერა, პარტგადასახადის თავის დროზე შეტანას ბევრ უჯრედში კვლავ აღარ ექცევა სათანადო ყურადღება.

არის ცალკე შემთხვევები, როცა ამხანაგებს საწევრო ფული გადახდილი არა აქვთ არა მარტო სამი თვის განმავლობაში, როგორც ეს ნებადართულია, როგორც დავალიანების მაქსიმალური ვადა, არამედ ხუთი და ექვსი თვითაც. უჯრედის მდივანი მოვალეა ასეთი ამხანაგების სია წარადგინოს რაიკომში, მაგრამ ამხანაგური „მორიდებით" თუ სხვა მიზეზების გამო, ეს არ ხდება.

დავალიანებული ამხანაგებიც წათამამებულნი არიან ასეთი მდგომარეობით და არ ღებულობენ ზომებს, რომ პარტიული გადასახადი დროზე შეიტანონ უჯრედში.

მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ტყუილად ფიქრობს ზოგიერთები, რომ პარტიული გადასახადის საკითხი წვრილმანი საქმეა. ეს არის დისციპლინის შეგნების ერთი განსახიერებათაგანი და, ვისაც პარტიული გადასახადი დროზე არ შეაქვს, ის არღვევს პარტიულ დისციპლინას, რაც ასე აუცილებელია განსაკუთრებით ეხლანდელ პირობებში.

უჯრედის მუშაობის შემმოწმებელ კომისიებმა საკითხის ამ მხარეს უნდა მიაქციონ ყურადღება და თავიანთ დასკვნებში უნდა აღნიშნონ, რამდენად მტკიცედ ატარებდა ბიურო პარტიულ გადასახადების თავის დროზე აკრეფას.

დ. გ—ა.

წარსული შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ

(ლენინის რაიონი)

წარსული წლის გამოცდილებამ ცხადჰყო ყველა ის დაბრკოლებანი, რომელნიც წინ ეღობებოდა პარტგანათლების ქსელის მუშაობას.

ამ ნაკლთა რიცხვს ეკუთვნის: ხელმძღვანელთა შეუფერებლობა თავიანთ დანიშნულებასთან და შეცდომები მსმენელთა შერჩევის საქმეში.

ცუდი ხელმძღვანელი დაიწყებდა მეცადინეობას ჯგუფთან. რამდენიმე ხნის შემდეგ გამომჟღავნდებოდა მისი სისუსტე, რის შემდეგაც ის მოიხსნებოდა თანამდებობიდან ჯგუფის მეცადინეობა კი ფერხდებოდა ახალი ხელმძღვანელის ძებნაში. გარდა ამისა, სკოლებში თავს იყრიდა სხვადასხვა ცოდნის მსმენელები, რომელნიც ერთი მეორეს უსწრებდენ საგნის შეთვისებაში, ამრიგათ, პოლიტგანათლების საქმეში ზოგჯერ ადგილი ჰქონდა მთელ არევ-დარევას.

ასეთი სახის დაბრკოლებათა შემდეგ—ზოგიერთი სკოლები თავიანთ მუშაობას ძალზე სუსტად ამთავრებდენ. ეს თავის დროზე აღნიშნა პოლიტსკოლის მსმენელთა თბილისის საქალაქო კონფერენციამ. ამჟამად ლენინის რაიკომი —გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს პარტგანათლების ქსელის გასაშლელად. კურსი აღებულია — ხელმძღვანელთა კადრის შესაქმნელად, რომელიც თავისი მოწოდების სიმაღლეზე იდგება. მიღებულია ზომები მსმენელთა დასანაწილებლათ პოლიტცოდნის მიხედვით. ამ მიზნით თბილისის კომიტეტმა რაიონულ კომიტეტთან მიამაგრა საკ. კომ. პარტიის ცეკასთან არსებულ პროფკურსების წევრი მოძრავ პოლიტსკოლის ხელმძღვანელი. ეს ამხანაგები უწევდენ რაიონში წინასწარ მუშაობას.

ყველა კომუჯრედებთან შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომლებიც აწარმოებენ პერსონალურ გამოკითხვას თვითეული წევრისას, —რომელიც 1927—28 სამ. წელში აპირებს პოლიტსკოლის რომელიმე საფეხურში მეცადინეობას. თვითეულის ცოდნის მიხედვით კომისია ადგენს ცალკე სიებს.

რაიკომი ამ საკითხს დიდი ყურადღებით ეპყრობა. კომუჯრედებში გამოყოფილ კომისიების მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს. მსმენელთა დახასიათების შემდეგ მოხდება მათი დანაწილება პოლიტ-სკოლების სხვადასხვა საფეხურებში.

ნ. ფურცელაძე.

სუსტი უჯრედი

(წერილი საგარეჯოდან)

ამას წინათ შესდგა პარტიის და კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული სხდომა. დღის წესრიგში სხვა საკითხებთან ერთად იდგა ა. ლ. კ. კ. უჯრ. ბიუროს საანგარიშო მოხსენება. გამოირკვა, რომ უჯრედი ამჟამად აერთიანებს 62 წევრსა და კანდიდატს. სხდომები იმართებოდა ორ კვირაში ერთხელ. წევრთა დასწრება სხდომებზე არა ნორმალურ სურათს იძლევა. პოლიტცოდნის შეძენის დარგში არავითარი ნაბიჯები არაა გადადგმული. ეს საკითხი უჯრედმა ამოწურა მხოლოდ სამი თუ ოთხი მეცადინეობის ჩატარებით. არავითარი საწრეო მუშაობა, გარდა დრამწრისა, არ სწარმოებდა. ეს უკანასკნელიც ვერ იდგა თავის მოწოდების სიმაღლეზე. მას ახასიათებდა სხვადასხვა არა ნორმალური მოვლენები, როგორიცაა: სათამაშოთ მთვრალი ახალგაზრდობის გამოსვლა სცენაზე. გარდა ამისა, ადგილი ქონდა წევრთა ნებაყოფლობით გასვლას კავშირის რიგებიდან, რაც ახსნილი უნდა იქნეს უშინაარსო მუშაობის წარმოებით.

ბიუროს სრულებით არ ქონია შეგნებული ახალ ფორმების და მეთოდების შესწავლის და მისი პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარების აუცილებლობა. არ სწარმოებდა კონფერენციების და უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილებათა შესწავლა. უჯრედს არავითარი ნაბიჯები არა აქვს გადადგმული ქალთა, მოჯამაგირეთა და პიონერთა შორის მუშაობის საწარმოებლათ, შინა-საუჯრედო და აღმზრდელობითი მუშაობაც არ სდგას სათანადო სიმაღლეზე. უჯრედის და ბიუროს სხდომებზე უმთავრესად იხილებოდა საკინკლაო და მეშჩანური საკითხები. აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ღარიბ გლეხობას და ქვრივ-ობლებს წინეთ უჯრედი დიდ დახმარებას უწევდა, ეხლა კი ასეთებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

სუსტია მუშაობა მოსახლეობის და კერძოდ ახალგაზრდობის გასამხედროების დარგში. იმ დროს, როდესაც კომკავშირის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დასმულია გასამხედროების ამოცანა.

დაარსდა ავიაქიმის წრე და ესეც ქაღალდზე. კავშირის მასა და თვით აქტივიც არაა გარკვეული კავშირის წინაშე მდგომ მორიგ ამოცანებში. პარტიასთან კავშირს მხოლოდ ფორმალური სახე აქვს, სინამდვილეში პარტუჯრედიდან გამოყოფილი ამხანაგები არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ კომკავშირში. ეს უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ თვით მიმაგრებული პარტამხანაგები ძალიან შორს სდგანან კავშირის ამოცანებთან. დისციპლინა უჯრედში ძალზე შესუსტებულია.

გარდა ამისა, სრულიად არაა გავრცელებული გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", მოდუნებული მუშაობა სწარმოებს ფიზკულტურის დარგშიც. ყველა ეს უნდა მიეწეროს ბიუროს და თვით კავშირის აქტივის მიერ ახალი ფორმების და მეთოდების შეუთვისებლობას. ეს აღნიშნული იქნა კიდეც კრებაზე კამათში გამოსულ ამხანაგების მიერ. ადგილობრივ პარტორგანიზაციამ და კომკავშირის თემკომმა მეტი უნარი და აქტივობა უნდა გამოიჩინონ.

გივა.

ამხ. პ. სუთიძის ხსოვნას

ულმობელმა სენმა კიდევ ერთი ამხანაგი გამოგვაცალა ხელიდან. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ძალ-ღონით სავსეს წაართვა სიცოცხლე ადამიანის საზიზღარმა მტერმა—ჭლექმა.

ამხ. პ. სუთიძეს ვინ არ იცნობს შორაპნის მაზრაში, როგორც ერთ-ერთ ენერგიულ მუშაკს?

ვინ იყო ამხ. კოწია? ის იყო ღარიბი გლეხის შვილი, რომელიც პატარაობიდანვე დაობლდა და უპატრონოთ, ცხოვრების ბედზე მიგდებული შეუდგა დამოუკიდებელ ცხოვრებას. ბევრი სიმწარე, ბევრი სიტიტვლე, ბევრი სიცივე და წვალება გაუვლია მას.

იგი ამ გაჭირვებამ „დააჯილდოვა" ჭლექით. დღიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და ჩადგა მშრომელ ახალგაზრდობის რიგებში და დაუღალავ ენერგიულ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა.

1921 და 1922 წლამდე ის მუშაობდა ს. ა. ლ. კ. კ. შორაპნის სამაზრო კომიტეტში. იყო ჭიათურის რაიკომის მდივანი. შემდეგ ამხ. კოწია გადაყვანილი იქნა ბორჯომის მუშათა რაიკომის მდივნათ, სადაც მან დაჰყო თითქმის ორი წელი. ყველგან მას იცნობენ, როგორც ენერგიულ და საქმისათვის თავდადებულ მუშაკს. ამის შემდეგ იგი იწყებს ავადმყოფობას, მიუხედავად ამისა, ის მაინც არ სცილდება მშრომელთა სამსახურს და ამავე პოსტზე ლევს სულს.

მშვიდობით, ძვირფასო ამხანაგო, კოწია, შენი ხსოვნა მუდამ სიწმინდით იქნება დაცული შენს ამხანაგებში.

ს. ლიბერსონი.

ვინ და რამდენი კაცი მიიღება მე-2 საფეხურის საბპარტსკოლაში

(ქუთაისი)

ქუთაისის მე-2 საფეხურის საბპარტსკოლა, ამოცანას შეადგენს კვალიფიციურ პარტიის წევრის მომზადება, რომელსაც შეეძლება პოლიტ. განმანათლებელი და საპროპაგანდო მუშაობის მოწყობა და უშუალოდ წარმოება, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ამ ამოცანასთან შეფარდებით მიიღებიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

1) კომპარტიის წევრები — პარტიულ სტაჟით არა ნაკლებ 2 წლისა და ა. ლ. კ. კ-ს წევრები აჩკომკავშირულ სტაჟით არა ნაკლებ 3 წლისა. ასაკის მიხედვით 20-დან 32 წლამდე.

მომზადების მიხედვით: წერა-კითხვის კარგად მცოდნე და პირველ საფეხურის საბჭოთა პარტსკოლის კურსის ფარგლებში საერთო პოლიტიკური ცოდნის მქონე მუშები და გლეხები, რომლებმაც გამოიჩინეს აქტივობა პარტიულ, აჩკომკავშირულ, პროფესიონალურ და საბჭოთა მუშაობაში.

პირველ საფეხურის პარტსკოლის კურს დამთავრებულნი მიიღებიან მხოლოდ პრაქტიკული მუშაობის 1 წლის სტაჟით.

კურსანტების მიღება დაიწყება 25 სექტემბერს.

1 კურსზე ახლად მიღებული იქნება 35 კურსანტი, რომელიც განაწილებულია მაზრების მიხედვით შემდეგნაირათ:

1. ქუთაისის მაზ.	6	ადგილი	მათ შორის	2	ქალი
2. შორაპნის	4	„	„	1	„
3. ლეჩხუმის	3	„	„	1	„
4. რაჭის	3	„	„	1	„
5. სვანეთის	3	„	„	1	„
6. სენაკის	5	„	„	2	„
7. ოზურგეთის	4	„	„	1	„
8. ზუგდიდის	4	„	„	1	„
9. ფოთის	3	„	„	1	„

ყოველ წარმოგზავნილ კურსანტს თან უნდა ჰქონდეს საბუთი სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ და მოკლე დახასიათება გამომგზავნის ორგანიზაციიდან.

ზემოაღნიშნულ მაზრების პარტიულ კომიტეტს შეუძლიათ გამოგზავნონ უფრო მეტი რაოდენობა კანდიდატებისა, ვიდრე მათ აქვთ დათმობილი ადგილი, რომ შესაძლებელი იყოს სკოლისათვის უფრო შესაფერისი მომზადების კურსანტთა მიღება.

ც. კ. აგიტ. პროპ. განყ. გამგის მოადგილე— მეგრელიძე.
სკოლის გამგე კაჭახიძე.

პროვოკაციული კამპანია

პარიზიდან მოდის ცნობები ახალი ანტისაბჭოთა კამპანიის შესახებ, რომელიც მოედო საფრანგეთის საზოგადოებრიობის რეაქციონურ წრეებს და რომელმაც მიიღო დღემდის გაუგონარი სახე. საფრანგეთის მემარჯვენე პრესამ ისარგებლა რაკოვსკის ხელმოწერით ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის აგვისტოს პლენუმზე ოპოზიციის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაზე და მთელი რიგი ბრალდებები წაუყენა ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენელს არალოიალურ განწყობილებაში საფრანგეთისადმი. პრესამ, დაიწყო რაკოვსკის საფრანგეთიდან გაწვევის მოთხოვნით და ათავებს აშკარა მოწოდებით საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ.

ამასთან ერთად პოლიცია სისტემატიურად სდევნის საბჭოთა კოლონიას პარიზში და მთელ საფრანგეთში, აპატიმრებს და სხვადასხვა მოგონილი მიზეზით აძევებს ხალხს საფრანგეთიდან.

ის, რაც ხდება პარიზში, ისე გავს ინგლის-საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის წინა ხანებში ინგლისში მომხდარ ამბებს, რომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს ახლანდელი ამბების ახსნა-განმარტება ვეძიოთ იმ რყევაში, რომელსაც განიცდის საფრანგეთის პოლიტიკა ინგლისის აშკარა ანტი-საბჭოთა პოლიტიკასთან დაკავშირებით.

თუმცა ერთა ლიგის საბჭოს ივნისის სესიაზე ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის ცდა, რომელიც მიზნათ ისახავდა ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნას, უშედეგოდ დასრულდა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცდა ერთნაირ წინსვლას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნის საქმეში. ექვს სახელმწიფოს წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც ჩემბერლენმა გამოაქვეყნა თავისი პროგრამა საბჭოთა კავშირის „მორალური" იზოლიაციის შესახებ, ერთნაირი ეტაპი იყო, რომელსაც მოყვებოდა ინგლისელების მიერ იმ ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის დამუშავება, რომლებსაც ნორმალური ურთიერთობა ქონდათ საბჭოთა კავშირთან ამ ურთიერთობის ჩაშლის მიზნით. მთავრობების პირდაპირი შეთანხმებისათვის გზა დახშული აღმოჩნდა, ბრიანი და შტრეზემანი და მათთან ერთად თათბირის სხვა მონაწილეთა გამოსვლებმა გამოაშკარავეს მათი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის მოუმზადებლობა ასეთი ზომების ჩატარებისათვის, ამიტომ ინგლისის შუბლმაგრებს მით უფრო უნდა გამოეყენებინათ ამ ქვეყნების რეაქციონურ წრეებში მოპოვებული კავშირი, იმისათვის, რომ სათანადო ზეგავლენა მოეხდინათ მთავრობებზე.

საფრანგეთის მემარჯვენეები, მიუხედავად იმ ისტერიულ გალაშქრებისა ინგლისის წინააღმდეგ, რომელსაც ისინი აწარმოებენ დროგამოშვებით, მაინც წარმოადგენენ ამ მხრივ ინგლისის მთავრობის უერთგულეს მოკავშირეებს.

საფრანგეთის მემარჯვენე პარტიებს, რომლებსაც ყავთ პუანკარეს „ეროვნული მთლიანობის" კაბინეტში რამდენიმე მინისტრი, სურთ თავისუფალი მოქმედება გერმანიის წინაღმდეგ დაიმედოვნებენ რომ თუ დაუთმეს ინგლისს საბჭოთა საბა გერმანიის წინააღმდეგ და იმედოვნებენ რომელსაც ქმნის ლოკარნოს ხელშეკრულება. მაგრამ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის მომხრეთა ამ პრინციპიალურ პოზიციის გარდა, იმ ანტი-საბჭოთა კამპანიაში, რომელსაც აწარმოებენ ბოლო დროს, საფრანგეთში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დეტერდინგის და ინგლისის სხვა ნავთის ვეშაპების გავლენას, რომლებმაც მიზნათ დაისახეს ხელის შეშლა ჩვენი ნავთის გასაღებისთვის საფრანგეთში. აღსანიშნავია ისიც, რომ ანტი-საბჭოთა კამპანიის გაძლიერება საფრანგეთში ხდება სწორედ ჟენევაში მიმავალი ჩემბერლენის პარიზში შეჩერების დროს. იმ გარემოებამ კი, რომ რაკოვსკის მიერ ოპოზიციის განცხადებაზე ხელის მოწერის გამო წარმოებულ კამპანიის დამწყები „მატენი", რომელიც საქმეო ურთიერთობაშია „როიალ დეტჩ შელის" ხელმძღვანელებთან, უნდა მიიქციოს ყველას ყურადღება, ვინც გულდასმით ადევნებს თვალყურს საფრანგეთში უკანასკნელ დროს მომხდარ ამბებს.

ინგლისის პროვოკაციული მუშაობა მიმართული ურთიერთობის შეწყვეტისაკენ პოულობს ამჟამად საფრანგეთის მემარჯვენე წრეებში განსაკუთრებულ თანაგრძნობას საფრანგეთის სპეციფიური შინაური მდგომარეობის გამო.

ძალა-უფლება ისეთ მთავრობის ხელშია, რომელიც შესდგება სულ სხვადასხვა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ, ელემენტებისაგან. პუანკარეს მთავრობა წარმოადგენს ბურჟუაზიული კოალიციის კაბინეტს და შესდგება ბურჟუაზიული პოლიტიკური აზროვნების სხვადასხვა წარმომადგენლებისაგან, დაწყებული მემარცხენე ბლოკის ხელმძღვანელით ერიოთი და გათავებული უკიდურესი რეაქციის ლიდერით მარენით. ამასთანავე ეს მთავრობა, რომელიც შესდგა ერიოს წვრილ-ბურჟუაზიულ მთავრობისათვის ბანკების და უცხოეთის კაპიტალის მიერ უნდობლობის გამოცხადების შემდეგ, სრულებითაც არ გამოხატავს პარლამენტის ძალთა განწყობილებას, სადაც მემარცხენე ბლოკს მოეპოვება შედარებითი ხმის უმრავლესობა. დემოკრატიული პარლამენტარიზმის სიმახინჯემ ბოლოს და ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ბურჟუაზიის მემარცხენე ელემენტები იძულებული არიან სისტემატიურად მხარი დაუჭირონ მთავრობას, რომელიც უმთავრესად ეყრდნობა პალატის მემარჯვენე სექტორს.

ასეთი არანორმალური მდგომარეობა და ასეთი დისონანსი მთავრობასა და დეპუტატთა პალატას შორის აიძულებს ყველა პარტიებს, განსაკუთრებით კი იმ პარტიებს, რომლებიც ხელმძღვანელ როლს თამაშობენ მთავრობაში, არაჩვეულებრივი ყურადღება გამოიჩინონ მომავალ საარჩევნო კამპანიისადმი. საფრანგეთში ვინაიდან, მიუხედავად ამისა, რომ პუანკარეს მხარს უჭერენ მემარცხენე ბლოკის დეპუტატები, მისი მთავრობა მაინც დამოკიდებულია იმ ხალხის ნება-სურვილზე, რომელიც თავის პოლიტიკაში წარმოადგენს პუანკარეს და მისი პოლიტიკის მოწინააღმდეგეს.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის პრემიერს რომ საკმაო არგუმენტები ჰქონდეს წვრილბურჟუაზიული მასის გასაყოლიებლად, მაშინ ის ყოველნაირად შეეცდებოდა არჩევნების დაჩქარებას და ამით მისთვის ხელსაყრელი შემადგენლობის ახალი პალატის უზრუნველყოფას.

ასეთ პირობებში არ შეიძლებოდა, რომ პუანკარეს მთავრობის წევრები და განსაკუთრებით შინაგან საქმეთა მინისტრი — საარჩევნო კრებების ეს მთავარი უსტაბაში — არ წახალისებულიყვნენ ინგლისის 1924 წ. საარჩევნო კამპანიის მაგალითით, რომელმაც ძალაუფლება არგუნა ბოლდუინის კაბინეტს. დაიწყო რა თავისი სიტყვა პრინციპიალური მხარით, პუანკარემ შემდეგ აურია ერთი მეორეში კომუნისტური მოძრაობა თვით საფრანგეთში, კომინტერნი და საბჭოთა მთავრობა, ხოლო სარრო და მისი აპარატი, რომელშიც შედის აგრეთვე ცნობილი სიურტე ჟენერალ, განაგრძობდენ საზოგადოებრივი აზრის დამუშავებას იმავე მიმართულებით. საკოსა და ვანცეტის დასჯის გამო გამართული საპროტესტო დემონსტრაციები, რომლებშიც ყველგან მთელ მსოფლიოში მონაწილეობა მიიღეს ასობით, ათასობით და მილიონობით მანიფესტანტებმა, საფრანგეთის რეაქციამ გამოიყენა გააფთრებული კამპანიის დასაწყებად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ბრუნის გაძევებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ მხოლოდ მიმართულება და ხასიათი მისცა გაზეთის კალმოსნებს.

პროვოკაციულმა ზრახვამ განსაკუთრებით ცხადათ იჩინა თავი რაკოვსკის საქმეში, თუმცა მასში არავითარი გაუგებრობა აღარ უნდა ყოფილიყო იმ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, რომელიც მოხდა ჩიჩერინისა და საფრანგეთის ელჩს შორის. ჰავასის სააგენტოს მიერ დაშვებული „გაუგებრობა", რომლისაც მთელი საფრანგეთის და მსოფლიოს გაზეთებში გაშვებულ იქნა აშკარად ყალბი ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ირჩეოდა საბჭოთა მთავრობის მიერ თავისი პარიზელი ელჩის უკან გაწვევის საკითხი, მოწმობს იმას, რომ თვით მთავრობის შემადგენლობაშივე იმყოფებიან საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის მომხრენი.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის საკითხი გადაიქცა პარტიული ბრძოლის საკითხად, მაშინ, როდესაც ის უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთის ნაციონალური ინტერესების საკითხს.

საფრანგეთის სწორად მოაზროვნე საზოგადოებრივი წრეებმა კარგათ ესმით, რომ ის კამპანია, რომელსაც ამჟამად აწარმოებენ საფრანგეთში და აწარმოებენ სხვადასხვა სახით: ხან ამერიკის ლეგიონერების პარიზში ჩამოსვლის დღისათვის შეფარდებულ პოლიციის რეპრესიების სახით, ხან კიდევ გალაშქრების სახით საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლის წინააღმდეგ, რომელიც უკიდურესი ლოიალობით ასრულებდა თავის მძიმე დიპლომატიურ მოვალეობას ყველაფერი ეს, ისახავს ერთსა იმავე მთავარ მიზანს — საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტას.

ჩვენ ხელთ გვაქვს საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარის დე-მონზის განცხადება, რომელიც აშკარავებს ყველაფერს. ლაპარაკია არა ელჩის გაწვევაზე, არამედ მთელი საელჩოს საფრანგეთიდან გამგზავრებაზე. სწორედ ამაში მდგომარეობს კამპანიის ინიციატორების ფარული სურვილი.

იმავე დე-მონზის სიტყვებით საბჭოთა მთავრობამ ყველა მისგან დამოკიდებული ზომები იხმარა საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის არსებულ ურთიერთობების გასაუმჯობესებლათ. დირექტივა, რომელიც მიცემული ჰქონდა რაკოვსკის, ავალებდა მას წინადადება მიეცა საფრანგეთის მთავრობისათვის თავდაუსხმელობის და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის ხელშეკრულების შესახებ. იმავე რაკოვსკის დავალებული ქონდა ომის წინა დროის ვალების მოსაწესრიგებლათ შეთანხმების დადება. ეს ყოველივე საუკეთესოდ მოწმობს მის განზრახვას, რომელიც მიზნათ ისახავდა საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის ინტერესთა შეთანხმებას.

საერთაშორისო ატმოსფერა მძიმდება. ახალი ომის საშიშროება ისე დიდია, როგორც არასოდეს, და ასეთ პირობებში მშვიდობიანობის მომხრეთა ყველა ძალ-ღონე უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ არ შეიქმნეს ასეთი პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ომის მოახლოვებას.

„იზვესტია" 13 სექტემბერი.

ირლანდიის პრობლემა

(წერილი ინგლისიდან)

დაწყნარების მაგივრად ირლანდიის კრიზისი თანდათან უფრო მწვავდება. სინამდვილეში დღეს მთელი ირლანდიის პრობლემა ისმის დღის წესრიგში.

მართალია, საკითხი იმაში კი არ არის, თუ ვინაა გამარჯვებული ახლად დაწყებული ბრძოლაში, — კოსგრავი თუ დევალერა. დასმულია ირლანდიის დამოუკიდებლობის საკითხი, იმ ხელშეკრულობის საკითხი, რომლის ძალითაც ინგლისი მწვანე კუნძულზე ინარჩუნებს თავის ბატონობას.

ეს ძლიერ კარგად ესმის ლონდონის მთავრობას. ამიტომ არის, რომ კულისებში იგი მთელი თავისი ძალ-ღონით, თავისი ფინანსებით, თავისი რჩევით ეხმარება კოსგრავის მთავრობას, რომელიც სავსებით ემორჩილება ინგლისის კაპიტალიზმსა და იმპერიალიზმს. კოსგრავის ყოველ მოქმედებაში ინგლისის ხელი სჩანს. ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობს მანევრებს.

იუსტიციის მინისტრის ოჰიგინსის მკვლელობამ გამომჟღავნა ფარული კრიზისის არსებობა. შეშფოთებულმა კოსგრავმა პარლამენტს საჩქაროთ მიაღებია ურჩები კანონი, რომელიც რესპუბლიკელებისა და მუშების მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული. იმავე დროს შერყეული ხელისუფლების შესანარჩუნებლათ მან აგრეთვე მიაღებია საარჩევნო კანონი, რომელიც მოითხოვდა — წინასწარ პარტიების კანდიდატებს, წერილობით ვალდებულება ეკისრნათ, რომ ერთგულების ფიცს მიიღებდნენ არჩევის შემდეგ და ფაქტიურათ ადგილს დაიჭერდნენ პარლამენტში. მაგრამ მოწინააღმდეგეებმა ცოტა არ იყოს ანგარიში აურიეს ირლანდიის მინისტრ პრეზიდენტს. ვალერისტებმა გამოიყენეს ის აღელვება, რომელიც კოსგრავის რეაქციონურმა პოლიტიკამ გამოიწვია ქვეყანაში, და შეუთანხმდნენ მუშათა პარტიას და რედმონდისტებს (ზომიერ ნაციონალისტებს), რათა კოსგრავის მთავრობა დაემხოთ. გამარჯვება თითქო უზრუნველყოფილი იყო; მაგრამ უკანასკნელ წუთში რედმონდისტმა დეპუტატმა ჯინკმა უღალატა მოკავშირეებს. იგი მოსყიდულ იქნა მთავრობის მიერ და ამ გარემოებამ რესპუბლიკელების ცდის მარცხი გამოიწვია. კოსგრავმა შეინარჩუნა ხელისუფლება, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მისთვის აბსოლუტურათ შეუძლებელი გახდა ქვეყნის მართვა და აწეწილი ფინანსიური მდგომარეობის გამოსწორება.

ოჰიგინსისა და მარკიზ მაკიევიჩის ქალის სიკვდილმა (ეს უკანასკნელი დევალერას მომხრე იყო) ორი ნაწილობრივი არჩევანის მოხდენა მოითხოვა დუბლინში. ორივეჯერ მთავრობის პარტიამ გაიმარჯვა. კოსგრავმა გადასწყვიტა დაეშალა ირლანდიის პარლამენტი და ახალი არჩევნები დაენიშნა 15 სექტემბრისათვის.

დუბლინის ნაწილობრივი არჩევნების შედეგის მიხედვით მთავრობა ფიქრობს, რომ ხალხის სულიერი განწყობილება მის სასარგებლოთ შეიცვალა; ამას გარდა, მას ეშინია, რომ 7 სინფეინელიც არ შევიდეს პარლამენტში და ამით მთავრობის პარტია უმცირესობაში არ დარჩეს; იგი იყენებს აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ ვალერისტების პარტია გათიშულია. (მრავალი ვალერისტი წინააღმდეგია ერთგულების ფიცის მიღებისა), რომ თანხმობა ვალერისტებსა, რედმონდისტებსა და მუშათა პარტიას შორის სუსტია, რომ მათი პარტიული სალაროები ღარიბია, მაშინ როცა მთავრობის პარტიას შეუძლია დახმარება მიიღოს ლონდონიდან. ამ მოსაზრებებმა კოსგრავს გაბედვა რისკი გაეწია და პარლამენტი დაეთხოვა, რათა გამარჯვების შემთხვევაში უკეთ უზრუნველეყო თავისი ბატონობა.

მიაღწევს თუ არა დუბლინის მთავრობა თავის მიზანს?

უნდა ითქვას, რომ დევალერას პოლიტიკური ნიჭი და შორსმჭვრეტელობა დიდათ საეჭვოა, ამასთანავე მან რამდენიმეჯერ დაჰკარგა ბელადის პრესტიჟი, მიტომ რომ დღემდე ვერავითარი ნათელი პროგრამა ვერ შეადგინა და მთელი ძალ-ღონე ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულობასთან ბრძოლას მოანდომა. მით უმეტეს, ირლანდიის მუშათა პარტიას არ აქვს ნათლათ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა. კიდევ მეტი: არც ერთსა და არც მეორე პარტიას კოსგრავის ანტი-მუშური კანონის წინააღმდეგ არ გაუწევია ის ოპოზიცია, რომელსაც ხალხი ელოდა. ვალერისტები და ლაბურისტები უწინარეს ყოვლისა, პირადი საკითხებით არიან დაინტერესებულნი, სახელდობრ: ვინ იქნება მთავრობის თავმჯდომარე იმ შემთხვევაში, თუ კოსგრავის სამინისტრო დაემხო, დევალერა თუ ჯონსონი? ამრიგათ, ისინი ნაადრევათ ინაწილებენ დათვის ტყავს.

რაც შეეხება რედმონდისტებს, ისინი, როგორც სჩანს, სრული გაქრობის წინაშე იმყოფებიან.

ასეთ პირობებში მეტათ ძნელია წინასწარმეტყველება უახლოესი არჩევნების შესახებ.

მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს არჩევნების შედეგი, ირლანდიის პრობლემის გადაჭრა მაინც არ არის მოსალოდნელი. ის ეკონომიური და სამრეწველო კრიზისი, რომელიც ამ ქვეყანას ღრღნის და განსაკუთრებით მუშათა კლასს სტანჯავს უეჭველათ ახალ მღელვარებასა და არეულობებს გამოიწვევს.

კ. დავიდ.

ლონდონი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ნიაღვრების შედეგები

ოზურგეთი, 12 სექტემბერი. მდ. სუფსის ნაპირებზე წყალმა წაიღო და გააფუჭა სიმინდის ყანები. მდ. ბჟუჟზე წყალმა წარეცხა ეხლახან დაწყებული ხიდის ბურჯები და წაიღო აუარებელი სამშენებლო მასალა: მორები, ფიცრები და სხ. წაღებულ მასალების ნაწილი მდინარის ნაპირზე გარიყა. სწარმოებს ადგილზე მისი მიტანა. ზარალს იკვლევენ. მდ. ბჟუჟმა მდ. აჭის-წყალთან შეერთების ადგილას შეიცვალა კალაპოტი, უფრო მიუახლოვდა ქალაქს და ამრიგად შექმნა ქალაქის საცხოვრებელი ბინების წალეკვის საფრთხე. ამ მდინარის სათავეების გამოსაკვლევად მიემგზავრება სპეციალური ტეხნიკური კომისია.

ნიაღვრებმა ძლიერ დააზიანეს თამბაქოს პლანტაციები. თამბაქოს მოსავალი საშუალოზე ნაკლები იქნება. (ადს).

გზატკეცილი

ახალციხე, 12 სექტემბერი. უდეს თემსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა სამაზრო აღმასკომის წინაშე, რათა ტეხნიკური დახმარება გაეწიოს მას სოფ. უდიდან ბორჯომ - აბასთუმანის მაგისტრალამდე გზატკეცილის გაყვანის დროს. გზატკეცილი ათ ვერსის სიგრძის იქნება. გზის გასაყვან მუშაობას თავის თავზე იღებს ადგილობრივი მოსახლეობა. (ადს).

ოქტომბრის ათი წლის თავის დღესასწაულისათვის ემზადებიან

ახალციხე, 12 სექტემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავის დღესასწაულის ჩამტარებელმა სამაზრო კომისიამ შეადგინა სათემო კომისიები, რომელშიც შედიან აღმასკომების, თემკომების, გლეხკომების, პროფორგანიზაციების, ქალთა ორგანიზაციების, პარტიულ ორგანიზაციების და მასწავლებელთა წარმომადგენლები. (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

კულტურულ დარგში მომუშავეთა ყრილობა

ცხინვალი, 12 სექტემბერი. დასრულდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის კულტურულ დარგში მომუშავეთა ყრილობა, რომელიც მოწვეული იყო კავკავში. სამხრეთ - ოსეთის დელეგაცია დაბრუნდა ცხინვალში. ყრილობამ შესაძლებლად სცნო ერთიანი ლიტერატურული ენის შექმნა ოსეთის ხალხის სამ შტოსათვის: დიგორის, ირონისა და თუალის (სამხრეთ-ოსეთის). ძირითადად აღებულია ირონის დიალექტი, რომლითაც დაწერილია ოსეთის ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი. ოსეთის დაწესებულებებში საქმების გადათარგმნის დროს დაწესებულებები გამოიყენებენ საერთო ენას.

წერილები

თბილისის მაზრა

აგარაკი ღვთაება

თბილისიდან დაახლოებით 28 კილომ. მანძილზე მდებარეობს მარტყოფის მონასტერი „ღვთაება". იგი გაშენებულია ტყით დაბურულ მთის კალთებზე, რომელიც მშვენიერ საგარაკო ადგილს წარმოადგენს. „ღვთაების" მშვენიერი და ჩრდილოვანი ტყეები თავის სუფთა ჰაერით მართლაც საუკეთესო დასასვენებელ ადგილად ითვლება. ამიტომ ზაფხულობით დასასვენებლად მეტ ნაწილად მოდიან მცირე ხელფასიანი მუშა-მოსამსახურენი.

მოაგარაკეთათვის აშენებულია სახლები, დაახლოებით 60-დე ოთახით. უნდა ითქვას, რომ აგარაკ „ღვთაებას" არ ექცევა სათანადო ყურადღება, რკინის გზა არ უდგება, რის გამო მთელი მანძილი აგარაკზე წამსვლელმა ფეხით უნდა გაიაროს. ფეხით სავალი გზა კი 4—5 კილომ. მანძილზე, რომელიც სულ ღრმა ხევებიან აღმართზე მიჰყვება, იმდენად გაფუჭებულია, რომ ეტლით და ურმით მგზავრობა შეუძლებელია.

სახლები, მართალია შედარებით სხვა აგარაკებთან იაფია, მაგრამ ოთახების მეტი ნაწილი საცხოვრებლად უვარგისია. შენობები აგებულია სრულიად უგემოვნოდ; ისინი დიდი ხნის შეუკეთებელია. უსუფთაო და ზოგი მათგანი მეტად ნესტიანი, არ არის დაცული არავითარი სანიტარული წესები. ამას ზედ ერთვის კიდევ კარგი სასმელი წყლის ნაკლებობა, რაც მეტად უხერხულ პირობებს ქმნის.

ყოველ წლის 28 აგვისტოს (მარიამობას) ღვთაებაში იმართება დიდი დღეობა. თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიან აუარებელი „მლოცავები". იმართება ქეიფი, რაც სამ ოთხ დღეს და ხშირად მთელი კვირაც გრძელდება. იკვლება აუარებელი „სამღვთო", ცხვარი, ძროხა, ხარი და სხვ. ეზიდებიან დიდძალ ღვინოს და ნაძვურდება აუარებელი სანოვაგე. აქვე თავს იყრიან თბილისელი ვაჭრები და აგებენ „ფულის მახეს".

მთელი „ღვთაების" ტყეები სავსეა მლოცავებით, რომლებიც დაბანაკებულან ხის ძირას. ჩხუბი, კაცის დაჭრა, საპატარძლოს „გასინჯვა", სიცილ - ხარხარი, წივილ - კივილი ყველაფერი ერთმანეთშია არეული. ტყეებში მწვანე ბალახი ითელება, ამის მაგივრად მტვრის კორიანტელი დგება, ისე რომ ოთახიდან გარეთ გამოსვლა შეუძლებელია. ამის გამო დასასვენებლად მოსულ მოაგარაკეებს ძალიან ცუდ პირობებში უხდებათ ცხოვრება.

საჭიროა „ღვთაებას" მიექცეს მეტი ყურადღება უნდა შეკეთდეს სახლები გამოყვანილ იქნეს სასმელი წყალი და საერთოდ „ღვთაებაში" მოისპოს საეკლესიო დღესასწაულების გამართვა და მიეცეს მას აგარაკის სახე. მიღებულ იქნეს აგრეთვე ზომები გზის შესაკეთებლად.

ინ—ჯან.

სენაკის მაზრა

ნაფოშტარის ხიდის საზეიმო გახსნა

მდ. ტეხური ზემო სამეგრელოს შუაზე ყოფს. ამიტომ ორივე მხარის ზემო სამეგრელოს მცხოვრები, ურთიერთშორის მისავალი გზის უქონლობის გამო გაჭირვებას განიცდიდენ.

გლეხებს დიდი ხანია განზრახული ჰქონდათ ნაფოშტართან ხიდის აგება, მაგრამ მაშინდელ ხელისუფლების უყურადღებობის გამო, ეს განზრახვა ვერ მოიყვანეს სისრულეში.

გასულ წელს ამ საქმის დაწყება ითავა ამხ. **მამულიამ** და გაუწია ხელმძღვანელობა გლეხებს ხიდის აგებაში. ინჟ. **ბიჭიშვილის** მიერ შედგენილ პროექტით დამტკიცდა ხარჯთ-აღრიცხვა, რომლიდანაც ექვსი ათასი მანეთი გლეხებმა მოაგროვა თვით დაბეგვრის საშუალებით. დანარჩენი კი გაიღო სამაზრო აღმასკომმა.

ექვსი თვის მუშაობის შემდეგ ნაფოშტართან გაშენდა ამერიკული სისტემის რკინის ხიდი, რომლის მგზავსი არ არის მთელს საქართველოში.

ამასწინად მოხდა საზეიმო გახსნა. მოსახლეობა დიდ მზადებაში იყო. ხიდი ლენტებით და გირლიანდებით ლამაზათ იყო მორთული.

ამხ. **დ. ქურულორია** ხსნის საზეიმო მიტინგს. ის მოკლე შესავალი სიტყვებით ესალმება მშრომელ მოსახლეობას და ულოცავს ხიდის აგებას. ხიდის გახსნას დაესწრო აგრეთვე ამხ. **საშა გეგეჭკორი,** რომელიც მთავრობის სახელით მიესალმა რა მიტინგს, კიდევ უსურვა ახალი გამარჯვება აღმშენებლობის, ფრონტზე ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მამულიამ.

სიტყვებით გამოდიოდენ აგრეთვე ზუგდიდის და ქუთაისის მაზრაღმასკომების წარმომადგენლები.

დასასრულ ადგილობრივმა გლეხებმა თავიანთ სიტყვებში მადლობა გადაუხადის მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას გლეხობის კეთილდღეობაზე მზრუნველობისათვის.

მიტინგი დაიშალა საღამოს 5 საათზე, რის შემდეგ ფიზკულტურთა წრემ შეასრულა რამოდენიმე ნომერი.

გ. უჩანეიშვილი.

წერილებიდან

ტელეფონების მოწყობა

შორაპნის მაზრა მთაგორიანი მაზრაა. მისი ტერიტორია შეიცავს 2.500 ოთხკუთხ ვერსს. მაზრაში შედის 30 თემისა და ერთი ქალაქის აღმასკომი.

ასეთ ვრცელ მთაგორიან ტერიტორიაზე ტელეფონის ქსელის გაყვანას უამრავი ხარჯები სჭირდება. მიუხედავად ამისა, სამაზრო აღმასკომი ამ საქმის შესრულებას შეუდგა ჯერ კიდევ 1926—27 საბიუჯეტო წელში.

დღეს შორაპნის მაზრის 23 თემაღმასკომში გაყვანილია ტელეფონის ქსელი, რომლის გაყვანაში ადგილობრივმა მოსახლეობამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო თვითდაბეგვრის საშუალებით.

მაზრის დანარჩენ თემებში კი ტელეფონის ქსელის გაყვანისათვის სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. ახლო მომავალში ქსელის გასაყვანი მუშაობა დამთავრდება და მთელ მაზრის თემაღმასკომებში ურთიერთშორის ტელეფონით იქნებიან დაკავშირებული.

მ. გამყრელიძე.

სოფლის ქრონიკა

— **სკოლის აგება.** კირცხის (ზუგდიდისმაზრა) თემის გლეხობამ 400 მანეთად დაიბეგრა თავის სკოლის შენობის ასაგებად.

— **მოძრავი კინო.** გურჯაანის თემის აღმასკომი იძენს მოძრავ კინო-აპარატს.

— **ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა** სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა მაზრაში 6 საკრედიტო ამხ-ბის გახსნის შესახებ.

— **სვანეთის გზის გასაყვანად** სვანეთის აღმასკომმა გადასდო 11.000 მანეთი.

— **მელიორაციული ამხ-ბა.** ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი მაზრაში აარსებს მელიორაციულ ამხანაგობას.

— **ზუგდიდის აღმასკომმა.** ხეთის შრომის სკოლის ასაგებად გლეხებს უფასოთ დაუთმო 2.400 ფუტი საამშენებლო მასალა.

— **გურიანთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დასამთავრებლად** ოზურგეთის აღმასკომმა გადასდო ათასი მანეთი.

მუშათა ცხოვრება

ოთხშაბათს, 14 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება.

ბიუროს წევრები უნდა გამოცხადდენ 5 საათზე.

დაუშვებელი მოპყრობა გაზეთის გავრცელებისადმი

8 სექტემბერს, ხუთშაბათს, სადგ. ლანჩხუთში დავხვდი ფოსტის მატარებელს გაზეთების მისაღებად და კიდეც მივიღე ყველა გაზეთი, გარდა „კომუნისტი"-სა. ჩემ შეკითხვაზე, თუ რატომ არ არის „კომუნისტი", მებარგე კონდუქტორმა მიპასუხა, რომ ის წამოუღებელი დარჩა. მეორე დღეს, პარასკევს, იმავე მატარებელმა, რომელიც ბათომიდან დაბრუნდა, მოიტანა „კომუნისტი". მაგრამ გაზეთებს აკლდა ექვსი ცალი და გარდა ამისა შემოსახვევი ქაღალდი შემოგლეჯილი. მებარგე კონდუქტორს მოვსთხოვე მისი სახელი და გვარი, მაგრამ მან არ მითხრა, უფროს კონდუქტორსაც ვსთხოვე ეთქვა, მან მიპასუხა: „რა ვიცი". გაზეთების დაგვიანებით და დაკლებულად მიღება მოხდა იმიტომ, რომ ზოგიერთი კონდუქტორები თავქვეშ დასადებათ ხმარობენ გაზეთებს. ამას ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომ გაზეთები მათ საწოლ განყოფილებიდან გამოიტანეს.

ასეთი შემთხვევა კი ხშირია. მაგ. ასეთი შემთხვევა იყო 25 აგვისტოს, როდესაც მებარგე კონდუქტორებათ იყვენ კობრეიძე და პაატაშვილი. ამას წინედაც, 5 აგვისტოს, იყო ასეთივე შემთხვევა, როცა მორიგეობდა კონდუქტორი მაჭავარია. ხშირად პასუხის ღირსსაც არ გაგხდიან და, რაც უნდა დიდი ტალახი იყოს, პირდაპირ დაყრიან გაზეთებს.

საჭიროა ეს მდგომარეობა გამოსწორებულ იქნას.

შ. ღლონტი.

ამხ. ღლონტის კორესპონდენციის გამო

ამხ. შ. ღლონტის ზემოთმოთავსებული კორესპონდენცია მრავალმხრივ არის საყურადღებო. გაზეთის გავრცელების საქმეს პარტია და ხელისუფლება თავისთავად გასაგებ მიზეზების გამო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. გავრცელების ერთ მთავარ პირობას კი შეადგენს მკითხველთათვის გაზეთის თავის დროზე და დაუზიანებლათ მიწოდება.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა რკინისგზაზე, გაზეთის გადამზიდავ ამ მთავარ არხზე? ამის საუკეთესო პასუხს იძლევა ამხ. ღლონტის კორესპონდენცია. რკინისგზის ზოგიერთი აგენტები, რომელთაც ევალებათ გაზეთის გადაგზავნა - ჩაბარება, ვერ გრძნობენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ ამ შემთხვევაში ეკისრებათ, როგორც ბეჭდვითი სიტყვის გამავრცელებელ მუშაკებს.

ამიტომაა, რომ გაზეთი, სანამ მკითხველთამდე მივა და მორიგ ახალ ამბავს მიიტანს ჩემბერლენის ან ერთა ლიგის შესახებ, რკინისგზაზე ბალიშის როლსაც თამაშობს, ქვეშსაგებისაც, პაპიროსის ქაღალდისასაც და ვინ იცის კიდევ რისას არა. ზოგჯერ მებარგე კონდუქტორების, ქეტი რომ არა ვსთქვათ, ნებივრობა იქამდეც კი მიდის, რომ ოღონდ საკუთარი სიამოვნება არ მოიკლონ, და გაზეთს ორჯერ აატარ - ჩამოატარებენ დანიშნულების სადგურთან. ასეთი მოპყრობა დაუშვებელია ჩვეულებრივ საქონლისადმიც კი, და მით უფრო გაზეთისადმი, რომელიც როგორც უმთავრესად საინფორმაციო ლიტერატურა, საათობით ჰკარგავს თავის ფასს.

ამას ბევრათ არ დაგიდევს კობრეიძე-პაატაშვილ - მაჭავარიას მგზავსი მებარგე კონდუქტორები. თუ ინებეს და ჩაგაბარეს გაზეთები, ისე გადმოგიყრიან ვაგონიდან, თითქოს ნეხვიდან ინთავისუფლებდენ თავს.

ვფიქრობთ, რომ რკ.-გზის ადმინისტრაცია მიაქცევს ამ უმზგავსოებას ყურადღებას და ასწავლის რკინისგზის ზემოხსენებულ ტიპის აგენტებს ბეჭდვითი სიტყვისადმი მეტ პატივისცემას და თავის მოვალეობისადმი პასუხისმგებლობას.

დ. ზ-ა.

ნოქრებს ანგარიში ასწავლეთ

ბევრგან კიდევ ვერ მოხერხდა ჩვენი კოოპერატივების სათანადო დონეზე დაყენება. კოოპერატივის მუშაობაში, სხვა ნაკლოვანებათა შორის, აღსანიშნავია ზოგიერთი ნოქრის უვარგისობაც, რაც გამოიხატება დაუდევრობაში, ანგარიშის არ ცოდნაში, და სხვ. მოვიყვან ერთ მაგალითს: სადგურის ქუჩაზე № 12 კოოპერატივში 31 აგვისტოს ვივაჭრე, რაც მესაჭიროებოდა. ნოქარმა დამიწერა ჩეკი. ფული ჩავაბარე 9 მან. 80 კაპ. სალაროში, მივდივარ კონტროლთან ფართლის მისაღებათ, კონტროლი ანგარიშობს ფართალზე გადახდილ ფულს, უსვამს გადახდილ ციფრებს ხაზს და მეუბნება: მიბრძანდით ამხანაგო სალაროში და მიიღეთ უკან 2 მან. და 70 კაპ., — მეტი გადაგიხდიათო. სალაროდან მივიღე ზედმეტი გადახდილი ფული და მოვიტანე ჩეკი უკან კონტროლიორთან. მეორე ანგარიშის დროსა აღმოჩნდა კიდევ ზედმეტი გადახდილი. ამ დღეს ასეთი შემთხვევა იყო 5—6.

კოოპერატივის გამგეობამ ამ მოვლენას უნდა მიაქციოს საჭირო ყურადღება.

ჯ.ჯვარამაძე.

ბათომის თამბაქოს ქარხანა და მისი რევიზიის შედეგები

აჭარპრომის მთავარი მმართველის ამხ. ი. გრეგაძის ინიციატივით ამას წინეთ შედგენილ იქნა სარევიზიო კომისია, რომელმაც თამბაქოს ქარხანას გაუკეთა გენერალური რევიზია.

პირველ დღიდანვე კომისიამ გადასინჯა ფოთლოვან თამბაქოს საწყობი და აღმოჩნდა დაუშვებელი ნაკლი. წინა წლებში შეძენილი თამბაქო გადაეხარისხებიათ მეორეში და მეორედან პირველში. ასე, რომ ადმინისტრაციას ხელოვნურად აეწია ფასები, რამაც მოგვცა განსხვავება 7.600 მან. გაცემულია ნისიათ მთელი ნაწარმის 70 პროც. კერძო პირებზე და 30 პროც. კი კოოპერატივებზე. გასულ საოპერაციო წლიდან დღემდე გაცემულია ნისიათ — 41.000 მან. და აქედან შემოსულია მხოლოდ 44 მან. ნისიად გაცემულია უგარანტიოთ. ქარხანას არა აქვს განსაზღვრული საწარმოო პროგრამა, მუშაობს იგი, როგორც მოხვდება. ყავს გაბერილი შტატი, მუშა - მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 11ა კაცს. წარმოებისათვის კი სრულიად საკმარისია 80. საოპერაციო წლის განმავლობაში ადმინისტრაციის ნაჩვენები აქვს მოგება 6.000 მანეთი, ნამდვილად კი აღმოჩნდა ზარალი 36.000 მან. ამასთანავე აღმოჩნდა მოლარის დანაკლისი 300 მან., რომელსაც მალავდა და არ ამჟღავნებდა ადმინისტრაცია. საერთოდ ქარხანა ჩაყენებულია ცუდ პირობებში და ძველ ადმინისტრაციის ხელში მას მოელის ლიკვიდაცია.

სარევიზიო კომისიამ შეადგინა სათანადო აქტი ყოველივე დეფექტების აღნიშვნით. მისი აზრით ასეთი, საქმის არ მცოდნე ადმინისტრაცია გადაყენებულ და შეცვლილ უნდა იქნას.

ვნახოთ, რით გაიმართლებენ თავს.

რაჭველი ვამო.

ამ დაუდევრობას ზიანი მოაქვს

ამა თვის ათში მატარებელ № 7-ის წასვლას აკლდა ნახევარ საათზე მეტი, რომ მგზავრები დარბოდენ და ვერ შოულობდენ ბილეთებს, ვინაიდან მატარებლის ბილეთები, როგორც რბილ, აგრეთვე მაგარ რონოდებში ყოფილიყო გაყიდული. ამის გამო დარჩა წაუსვლელი რამოდენიმე მგზავრი. ამავე მიზეზით არ გაუყიდნათ ბილეთები ნავთლუღის სადგურზედაც და იქაც დარჩა ათიოდე მგზავრი. მატარებლის რევიზიის დროს კი აღმოჩნდა თავისუფალი ადგილი რბილ რონოდაში 5, მაგარში კი ორმოცამდე.

რით აიხსნება ასეთი მდგომარეობა, რომ მატარებელი მიჰქრის ცარიელი და მგზავრებს კი ბილეთებს არ აძლევენ? ეს აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი დაწესებულებები და ხშირად ნაცნობებიც უკვეთავენ ბილეთებს ტელეფონით და ბარათებით, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებით ველარ მიდიან, ამაზე სადგურს ცნობას არ აძლევენ და დაკვეთილ ადგილებზე სადგური ბილეთებს ველარ ყიდის.

ამ დაუდევრობას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, თორემ რკინის გზის დეფიციტი ღებულობს ქრონიკულ ხასიათს.

პ. სოლომონიშვილი.

მუშათა ქრონიკა

— **საქალაქო კონფერენცია.** ხუთშაბათს, აგვისტოს 15-ს, მუშათა ცენტრ. კლუბში (პლეხანოვის გამზ. 123) საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო განყოფილება ყველა კავშირების ც. გ. ერთად და ფაბქარხადგილკომების თავმჯდომარეების თანდასწრებით იწვევს სატარიფო - საქალაქო კონფერენციას. დღის წესრიგში სდგას: „დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების შესახებ".

— **მუშათა დაწინაურება.** მაღალ თანამდებობაზე მუშების წამოყენების საკითხის შესასწავლად საქართველოს წყლოსანთა კავშირის რაიონულ კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოჰყო სპეციალური კომისია.

— **2.000 მანეთის დახმარება.** საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო მრეწველობის ტრესტის მმართველობამ გაიღო ჟურნალ „ტეხნიკა და ცხოვრება"-ს გამომცემლობის ფონდის გასაძლიერებლად 2.000 მანეთი.

— **ყრილობის მოწვევა.** აღმშენებელთა კავშირის აფხაზეთის საოლქო განყოფილების ყრილობა მოწვეულია ა.-წლის 24 სექტემბრისათვის.

— **ზედმეტ მუშაობის საწინააღმდეგოთ** წყლოსანთა კავშირის საქართველოს რაიონული კომიტეტი შეუდგა მცურავ შემადგენლობის შტატების გადასინჯვას.

— **კლუბის ასაშენებლად.** აღმშენებელთა კავშირის ც. გ. აფხაზეთის საოლქო განყ. ადგილობრივ მუშათა კლუბის ასაშენებლად გამოითხოვა დოტაციის სახით აღმშენებელთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტიდან 5.000 მანეთი.

— **თელავის პროფბიუროში.** თელავის პროფბიუროს თავმჯდომარეთ გამოყოფილია ამხ. ჭურღულაშვილი და ამავე პროფბიუროს პ.-მგ. მდივნათ ამხ. ს. ხუციძე.

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში

მომავალ აკადემიურ წელს ამიერ-კავკასიის კომ. უნივერსიტეტ. განზრახულია მთელი რიგი ცვლილებების შეტანა. იხსნება მეოთხე კურსი, რის გამო გაფართოვდება როგორც პროგრამა, ისე ლაბორატორიული გეგმა. შემოღებული იქნება საგნები: პარტმშენებლობა, სტატისტიკა და კავკასიის მცოდნეობა. გარდა ამისა მოწყობილი იქნება პარტკაბინეტი, რომლითაც ისარგებლებენ უნივერსიტეტის გარეთ მცხოვრები სტუდენტები. პარტკაბინეტს დაევალება სტუდენტ-პრაქტიკანტების მიერ შეგროვილ მასალების დამუშავება.

მეცადინეობა ამიერ-კავკასიის კომ. უნივერ- [illegible] კომუნარის დახვრეტის დღის აღსანიშნავად.

14 სექტემბერს დაიწყება მისაღები გამოცდები. მიღებული იქნება 80 კაცი, აქედან 25 კაცი—საქართველოს კომ. პარ. ცეკას მივლინებით, 25—აზერბ. კომ. პარტ. ცეკას მივლინებით, 15—სომხ. კომპარ. ცეკ. და დანარჩენნი კი სხვადასხვა პარტორგანიზაციების მივლინებით.

კოოპერატიული კურსები

ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტთან არსებული ერთწლიანი კოოპერატიული კურსები მომავალ სამოსწავლო წლისათვის გადაკეთდება წლინახევრიანად. მისი პროგრამა შეიცავს სპეციალურად სასოფლო და მომხმარებელ კოოპერაციას. კურსებზე მიღებული იქნება 50 კაცი, კოოპერატიული მუშაკები, რომლებსაც გამოგზავნიან რესპუბლიკანური კოოპერატიული ორგანიზაციები.

სამეცნიერო მივლინებები გერმანიაში

დღეს ბერლინში მიემგზავრება პროფესიონალურ სნეულებათა ინსტიტუტის დირექტორი ექ. **მახვილაძე,** რომელიც მივლინებულია 6 თვის ვადით ჯანსახკომისა და სახ. უნივერსიტეტის მიერ პროფესიონალურ სნეულებათა მკურნალობის ახალ მეთოდების შესწავლის მიზნით.

ამასთანავე ექ. მახვილაძეს დავალებული აქვს სპეციალურათ შეისწავლოს გულის დაავადებანი და სისხლის ავადმყოფობანი. ამ მიზნით იგი იმუშავებს ბერლინის კლინიკებში და შემდეგ ქალაქ კილში. თავის მომავალი სამეცნიერო მუშაობის შესახებ ექ. მახვილაძემ განაცხადა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით ინტერესებს ე. წ. გელმენტოლოგია, ანუ ნაწლავების დაავადება პარაზიტებით. ნაწლავებში გაჩენილი პარაზიტები იწვევენ მრავალნაირ სხვა პარაზიტებს, როგორიცაა ანკილოსტომოზები, სისხლის ნაკლულობა და სხვ. ანკილოსტომოზებით დაავადების შემთხვევა პირველათ აღმოჩენილ იქნა საქართველოში 1923 წელს. მანამდე ექიმები ანკილოსტომოზებით დაავადებას ეპყრობოდენ ისე, როგორც მალარიას, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ეს სულ სხვა ხასიათის სნეულებებია.

ნაწლავების პარაზიტებით დაავადმყოფება განსაკუთრებით გახშირებულია დასავლეთ საქართველოში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ასეთმა დაავადმყოფებამ თავი იჩინა აგრეთვე ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნებშიაც. აღნიშნული დაავადმყოფობის საფუძვლიან შესწავლას შეუდგა გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი, ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორი—**ფიულებორნი.**

ექ. მახვილაძეს განზრახული აქვს პროფ. ფიულებორნთან იმუშაოს რამოდენიმე თვე.

საერთაშორისო სასანიტარო კურსები

19 სექტემბერს ბერლინში იხსნება მე-6 საერთაშორისო სანიტარულ - ეპიდემიოლოგიური კურსები, რომელიც ყოველწლიურათ ეწყობა სხვადასხვა ქვეყნებში.

კურსებზე სამეცადინოთ მიწვეული არიან სხვადასხვა სახელმწიფოთა ჯანმრთელობის ორგანოების წარმომადგენლები.

საქართველოდან კურსებზე დასასწრებლად გაგზავნილია ჯანსახკომის მიერ ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის გამგის მოადგილე ექ. **მარუაშვილი,** რომელიც კურსების დასრულების შემდეგ დაესწრება საერთაშორისო ეპიდემიოლოგიურ კონგრესს ჟენევაში.

ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე დასრულდა კამათი უფროსი ინსტრუქტორების, **ალ. კახელაძის** და **გ. კანდელაკის** მოხსენებების გარშემო.

კამათში მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ძირითად სამომხმარებლო კოოპერატიულ ქსელის სამეურნეო ზრდას და ინსტრუქტორების მუშაობის გაუმჯობესებას წინა პერიოდთან შედარებით. ამავე დროს აღნიშნულ იქნა ძირითად ქსელში საორგანიზაციო მუშაობის სისუსტე; სახელდობრ, ის, რომ სუსტია კავშირი რაიონულ ინსტრუქტორებსა და ცენტრს შორის და ინსტრუქტორები მეტად არიან გადატვირთული დავალებებით.

საბოლოო სიტყვების მოსმენის შემდეგ ყრილობამ აირჩია შვიდი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა მოხსენებების შესახებ რეზოლიუციების შემუშავება.

საორგანიზაციო მუშაობის მორიგი ამოცანები

(მ. ჩილინგირიძის მოხსენება)

შემდეგ მოსმენილ იქნა ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილების გამგის **მ. ჩილინგირიძის** მოხსენება, საორგანიზაციო მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითად ქსელის სამეურნეო ტემპის ზრდას და დასძენს, რომ მას საორგანიზაციო მუშაობის ტემპი ჩამორჩება, რისთვისაც საჭიროდ მიაჩნია ასეთი ერთმანეთთან დაკავშირება. ამ მხრივ უკვე გამონახულია სათანადო საშუალებები, რომელთაც პრინციპად უძევს თვითეული საინსტრუქტორო საკითხის სპეციალიზაცია.

ამასთანავე ეხლა განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული კულტურულ მუშაობას, კოოპერატივებში, რისთვისაც ცეკავშირთან დაარსებულია სპეციალური ქვე-განყოფილება.

ეხება რა კოოპერატივებში ანგარიშ - წარმოების საქმეს და სარევიზიო კომისიების მუშაობას, მომხსენებელი ამბობს, რომ ანგარიშწარმოების მხრივ დიდ მიღწევებს აქვს ადგილი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი ჯერ კიდევ სამაგალითოდ ვერ ჩაითვლება. ჯერ კიდევ არ არის მიღწეული კავშირი ცენტრსა და პერიფერიას ანგარიშ - წარმოებას შორის. რაც შეეხება სარევიზიო კომისიების მუშაობას, საჭიროა სარევიზიო კომისიების საზოგადოებრივ ორგანოებათ გარდაქცევა, მათი უფრო ალოდ აქტიურად ჩაბმა კოოპერატივების რევიზიის საქმეში და რაიმე ზევიდან მოხვეულ რევიზიების ჩატარების აღმოფხვრა.

ეხება რა რაიონულ ინსტრუქტაჟს, მომხსენებელი აცხადებს, რომ ეს საქმე მოითხოვს რაიონულ ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ დარგში მიღებული ზომები გამოიხატება ინსტრუქტორების განტვირთვაში დავალებებისაგან და მათი მუშაობის ისე განაწილებაში, რომ მათ ყოველ თვიურად რაიონში უხდებათ მუშაობა მხოლოდ ოც დღეს, ხუთ დღეს იმყოფებიან ცენტრში სათანადო დირექტივების მისაღებად და ხუთ დღეს ისვენებენ. ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭიროდ არის ცნობილი კარგად მოწყობილი ბიბლიოთეკის შექმნა და მათი დაგზავნა ცენტრალურ კავშირებში ორი - სამი თვით.

დასასრულ, მომხსენებელი საჭიროდ სთვლის, რომ ყურადღება მიექცეს: კოოპერატივებში საზოგადოებრიობის განვითარებას, შინა და სამეურნეო ინსტრუქტაჟის გაუმჯობესებას, საინსტრუქტორო მუშაობის სპეციალიზაციის გატარებას, კოოპერატიულ ქსელის შენებლობის შესწავლას და სხვა.

ერთ - ერთ მთავარ მიზნად დასახული უნდა იქნეს მუშაობა ფასების დაკლების საქმეში.

შრომის სკოლების ინსტრუქტორთა კონფერენცია

8 სექტემბერს კონფერენციის მიერ სკოლებში საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის საზაფხულო დავალებების და სახნობრივი მეთოდების საკითხების დასამუშავებლად არჩეულმა კომისიებმა მუშაობა დაამთავრეს 11 სექტემბერს და მორიგ სხდომაზე კონფერენცია შეუდგა კომისიების დასკვნათა განხილვას.

კონფერენციამ უკვე განიხილა და მიიღო თეზისები საზოგადოებრივ მეცნიერული სწავლების მეთოდების საკითხზე.

განხილულ და მიღებულ იქნა აგრეთვე თეზისები: ქართული და რუსული ენის, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, წერა-კითხვის სწავლების მეთოდების და სოფლის სკოლებში საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის სახეების შესახებ.

დეპეშა ამხ. მარია ორახელაშვილს

განათლების სახ. კომისრის მოადგილე ამხ. მარიამ ორახელაშვილი ამჟამად ავად არის.

ამის გამო შრომის სკოლების ინსტრუქტორთა კონფერენციამ მას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ამხ. მარიამს საშუალება არ აქვს მიიღოს მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში და უხელმძღვანელოს მას.

სახკომსაბჭოში

სარეზერვო ფონდის განაწილება

საქართველოს და ავტონომიურ ერთეულების სახკომსაბჭოების 1926—27 წლის მე-4-ე კვარტალის სარეზერვო ფონდი 29.791 მან. 79 კაპ. რაოდენობით სახკომსაბჭომ განაწილა შემდეგნაირათ: საქართველოს სახკომსაბჭოს — 22.289 მან. 79 კაპ., აფხაზეთის სახკომსაბჭოს — 3.168 მან., აჭარისტანის სახკომსაბჭოს — 3.000 მან. და სამხრეთ - ოსეთის ცაკს — 1.334 მან.

ფარმაცევტიული განყოფილება სამკურნალო ფაკულტეტთან

სახკომსაბჭოს დადგენილებით, ნება მიეცა განათლების სახალხო კომისარიატს — სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან ფარმაცევტიულ განყოფილების მოსაწყობათ საჭირო თანხა შეიტანოს 1927 28 წლის ბიუჯეტში და მოათავსოს იგი მისთვის დაწესებულ საკონტროლო ციფრის ფარგლებში.

შამგონი - ჯვარის რკინისგზა

სახკომსაბჭომ ნება დართო ს. მ. უ. ს-ს დაამთავროს შამგონი - ჯვარის რკინისგზის შტოს გაყვანის გამოკვლევა თავისი სახსრიდან.

შეშის დამზადება

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო — მიეცეს საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტს მიზნობრივი სესხი — 200.000 მან. რაოდენობით. ვაჭრობის კომისარს დაევალა შეუთანხმდეს ამ საკითხში ბანკებს.

ცვლილება საგეგმო კომისიის შემადგენლობაში

სახკომსაბჭოს დადგენილებით ს. დევდარიანი განთავისუფლებულია საგეგმო კომისიის სოც. კულტურული სექციის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. აღნიშნულ სექციის თავმჯდომარეთ დაინიშნა საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ა. კვირიკაძე.

მზადება ოქტომბრის დღესასწაულისათვის

წრეების ხელმძღვანელთა თათბირი

გუშინ საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა თბილისის მუშათა და წითელარმიელთა კლუბებთან არსებული სხვადასხვა წრეების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც მოწვეული იყო საქართველოს პროფსაბჭოს თაოსნობით.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. **ფირალიშვილი,** რომელმაც განმარტა წრეების როლი მომავალ დღესასწაულებში. მომხსენებლის აზრით საიუბილეო დღესასწაულების ღირსეულად ჩატარება თითქმის მთლიანად დამოკიდებულია წრეების უნარიანობაზე.

5 ნოემბერს, მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი სქემატიური გეგმის თანახმად, წრეებმა უნდა გამართონ საღამო-წარმოდგენები და დადგან ისეთი პიესები, რომლებშიც განსახიერებული იქნება ოქტომბრის რევოლიუციის სხვადასხვა მომენტები. 6 ნოემბერს წრეებმა თავიანთ კლუბებში უნდა მოაწყონ ჩატარებული საქმიანობის და საკუთარი მიღწევების აღსანიშნავი საღამოები.

7 ნოემბერს კი ქალაქში გაიმართება დიდი მასიური დემონსტრაციები, რისთვისაც წრეებმა უნდა იზრუნონ, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი გაიყვანონ ქუჩაში.

მოხსენების დასრულების შემდეგ გაიმართა კამათი, რის შემდეგ თათბირმა დაადგინა გამოყოს სხვადასხვა სექციები დღესასწაულების პროგრამის გამოსამუშავებლად.

ახალი სამკურნალო დაწესებულებების მოწყობა

ამიერ - კავკასიის სახკომსაბჭოს მიერ ა.-წ. 21 ივლისს, საქართველოს სამრეწველო რაიონებში საავადმყოფოების აღმშენებლობისათვის გადადებული იყო 111.000 მანეთი. აღნიშნული თანხა საქართველოს სახკომსაბჭომ გაანაწილა შემდეგნაირათ: მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანასთან ამბულატორიის აშენებლათ — 4.000 მან.; ბორჯომში „შავ მდინარესთან" ახალი ამბულატორიის ასაშენებლათ — 15.000 მან., ოზურგეთის ამბულატორიის ასაშენებლათ 5.000 მან., თელავის აბრეშუმსახვევ ქარხანასთან ახალ ამბულატორიის მოსაწყობად 3.000 მან., ფოთის საავადმყოფოს ასაგებათ — 3.000 მან., ახალი ამბულატორიების ასაშენებლათ თბილისში, თბილისის მაზრაში და მცხეთის ხე-ტყის სახერხ ქარხანასთან — 25.000 მან.; აფხაზეთს — 8.000 მან.,; აჭარისტანს — 10.000 მან. და სამხრეთოსეთს — 3.000 მან. სულ განაწილებულია 76;0000 მან. დანარჩენი 35.000 მან. გადადებულია ტყიბულის რაიონის საჭიროებისათვის

სახკომსაბჭოს დადგენილებით წინადადება მიეცა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს შეუთანხმდეს ქუთაისის სამაზრო აღმასკომს და შეიმუშაონ აღნიშნულ თანხის გამოყენების გეგმა.

სამკურნალო შენებლობისთვის გადადებული ზემოხსენებული თანხები დაიხარჯება ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის კონტროლის ქვეშ.

ტრაქტორები

მიწად-მოქმედების კომისარიატის სასოფლო-მეურნეობის განყოფილება ამჟამად აწარმოებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის გამოკვლევას და შესწავლას. გამოკვლევის უმთავრესი მიზანია გამორკვევა იმისა, თუ რამდენად რაციონალურად იქნა გამოყენებული ტრაქტორები სოფლის მეურნეობაში ან რა მდგომარეობაშია მათი მოვლის საქმე. უკვე გამორკვეული იქნა გორის და თელავის მანქანები. ამჟამად გამოკვლევა სწარმოებს სიღნაღის მაზრაში. გამოკვლეულ მანქანებში ტრაქტორები კარგ მდგომარეობაშია, თითქმის არც ერთის შეკეთება არ სჭირდება. მათი მდგომარეობაც დამაკმაყოფილებლად სწარმოებს. გამომკვლევი კომისიასთან ერთად გაგზავნილია ტრაქტორების შემკეთებელი სახელოსნო, რომელიც უფასოდ აწარმოებს დაზიანებულ ტრაქტორების შეკეთებას. ზოგ ადგილას გლეხებს განზრახული აქვთ ზამთრის განმავლობაში ტრაქტორი გამოიყენონ ადგილობრივ თეატრის, აღმასკომის, სამკითხველოს და სკოლის გასანათებლად. ზოგ ადგილას კი უნდათ ტრაქტორის საშუალებით აამუშაონ და მოაწყონ წისქვილები. ამ მიზნით გლეხები ცენტრიდან თხოულობენ შესაფერ დახმარებას გაწევას.

პარკის დამზადება

საზოგადოება „აბრეშუმი" წელს აბრეშუმის პარკის დამზადებას აწარმოებდა უმთავრესად საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით. საზოგადოება „აბრეშუმმა" მთელ საქართველოში წელს სულ დაამზადა 105 ათასი ფუთი ხედლი პარკი.

მოსავლის რაოდენობის გამოსარკვევად საჭიროა აღინიშნოს, რომ პარკის მოსავლის 15 პროცენტი დაიტოვეს თვითონ მეაბრეშუმე გლეხებმა შინაურ საჭიროებისათვის დასამუშავებლად.

საზოგადოება „აბრეშუმის" მიერ დამზადებული პარკი განაწილებულია გადასამუშავებლად თელავის, ხონის, სამტრედიის და ოზურგეთის აბრეშუმის სახვევ ფაბრიკებს შორის. რათა ამ ფაბრიკებმა შესძლონ დამზადებულ პარკის გადამუშავება, შემოღებულია მუშების ორი წყებით მუშაობა, ამრიგად, ფაბრიკები განუწყვეტლივ მუშაობენ 16 საათის განმავლობაში. საზღვარგარეთ და შინაურ ბაზარზე გადატანილი იქნება დამზადებულ პარკის მხოლოდ ის ნაწილი, რომლის დამუშავებასაც ვერ მოასწრებენ აღნიშნული ფაბრიკები.

ხორცი

ამიერ - კავკასიის საგეგმო კომისიამ დაამტკიცა მომავალ 1927—28 წელში ამიერ - კავკასიის ქალაქებისათვის ხორცის მიწოდების გეგმა. რომლის მიხედვით, მომავალ წელში ა.-კ. ქალაქებისათვის საჭირო იქნება 2.300.000 ფუთი ხორცი.

ხორცის დამზადების საქმე მინდობილი აქვთ ა.-კ. სააქციო საზ-ბას „მიასოტორგს", საზ-ბა „მწყემსს" და საზ-ბა სკოტპრომტორგს".

საგეგმო კომისიის დასკვნით 2.300.000 ფ. ხორცის დასამზადებლად საჭირო იქნება 2.167 ათასი მანეთი, რადგანაც ხსენებულ ორგანიზაციებს არ ეყოფათ საკუთარი თანხები ხორცის დასამზადებლად, მათ მიეცემათ სესხი 1.200.000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან კერძოდ „ზაკმიასტორგს" მიეცემა 900.000 მან.; „მწყემსს" — 200 ათასი მანეთი და „სკოტპრომტორგს" — 100.000 მანეთი. ადგილობრივ ორგანიზაციების გარდა, დასაკლავი საქონელი შეძენილი იქნება ჩრდილოეთ კავკასიაში და სპარსეთში.

სას.-სამ. მანქანები

ამიერ - კავკასიის საგეგმო კომისიის მიერ დამტკიცებულ გეგმით მომავალ 1927 — 28 საოპერაციო წელში ამიერ - კავკასიაში შემოტანილი იქნება 5.825.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღ - მანქანები სააქციო საზოგადოების „ზაკსელმაშის" საშუალებით. აღნიშნულ თანხიდან 2.220.000 მანეთის იარაღ-მანქანები შეძენილი იქნება საბჭოთა კავშირის საწარმოო ცენტრში, ხოლო დანარჩენ თანხით მანქანები შემოზიდული იქნება საზღვარგარეთიდან. ამასთან დაკავშირებით, „ზაკსელმაშს" დაევალა შეიმუშაოს იარაღ - მანქანების განაწილებისა და გასაღების გეგმა.

ნათესების დაზიანება

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში მიღებული ცნობებით, წელს მოსავალი სამეგრელოში ძლიერ დაზარალებულია მუდმივი წვიმებისა და ნიაღვრების გამო.

განსაკუთრებით ნათესები და ბაღები დააზარალა 27 ივლისს, 12 და 18 აგვისტოს მოსულმა ძლიერმა ნიაღვრებმა. ამჟამად ნათესების სამი მეოთხედი დალუპულია. ამას გარდა წაღებულია ხიდები, ბოგირები, ბორნები, გაფუჭებულია გზები და სხვ. განსაკუთრებით დაზარალებულია ზუგდიდის მაზრა და ის ადგილები, სადაც სიმინდის კარგი მოსავალი იცის.

მიწადმოქ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა, ამ თვიდანვე შეუდგეს სათესლე სიმინდის დამზადების საქმეს წყალდიდობისაგან დაზარალებულ გლეხებისათვის სესხად დასარიგებლად.

სტატისტიკურ ცენტრალურ სამმართველოში

სახლთმფლობელობის შერჩევითი აღწერა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ მიმდინარე წლის აგვისტოში ჩაატარა სახლთმფლობელობის ეკონომიური შერჩევითი აღწერა. აღწერა ჩატარდა თბილისში, ქუთაისში, ბათომში და ჭიათურაში და შეეხო 980 სახლთმფლობელობას (თბილისში—400, ბათომში—250, ქუთაისში—250 და ჭიათურაში —80). გამოკვლეულია სამი კატეგორიის სახლთმფლობელობა: 1) კერძო სახლთმფლობელობა, 2) სახლები რომლებიც იმყოფება უშუალოთ კომუნალურ განყოფილების ექსპლოატაციაში და 3) საბინაო-საიჯარო სახლთმფლობელობა.

ასეთი გამოკვლევა პირველად ჩატარდა საქართველოში. აღწერის მიზანს შეადგენდა გამორკვევა იმისა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება სახლთმფლობელობა; შეუძლია მას თუ არა თავის შენახვა; ეთანაბრება თუ არა შემოსავალი გასავალს; სახლის შემოსავალი მთლიანად ხმარდება სახლს, თუ სხვა მიზნებზედაც იხარჯება; სწარმოებს თუ არა როგორც მიმდინარე, აგრეთვე კაპიტალური შეკეთება.

აღწერით ირკვევა აგრეთვე მობინადრეების მიერ ბინის დაქირავების პირობები და როგორ იხდიან სახლის ქირას.

აღნიშნული აღწერა ჩატარებულია საბინაო კრიზისთან ბრძოლის მიზნებით.

ქ. ფოთი

ფოთში გაცხოველებული მუშაობაა ქალაქის კეთილმოსაწყობად.

დამთავრდა კავკასიის ქუჩის კაპიტალური შეკეთება; ქალაქის ცენტრალური ბაღი ახლად შეკავებულ იქნა ახალი რკინა-ტინობის ღობით.

დაჩქარებითი წესით სწარმოებს მდინარე რიონის სამხრეთ ტოტზე ხის ხიდის შეკეთება; სწარმოებს მუშაობა მდინარე რიონის მარცხენა ნაპირის გამაგრებისათვის დიდ კუნძულის რაიონში.

დამთავრდა ქალაქის აღმოსავლეთ მხარეზე მდინარე კაპარჭინის გასწვრივ დამბის გაკეთება; ახლად გაშენებულ იქნა ქალაქის ცენტრალური ოთხწლედი შრომის სკოლისათვის ქვის შენობა.

ახლად შენდება მუშკოოპისათვის ახალი ქვის შენობა ქალაქის ცენტრში; გაიხსნა ქალაქში სამალარიო სადგური; სწარმოებს კაპიტალური შეკეთება ახალი საავადმყოფოს მოსაწყობათ ერთი სამსართულიანი და მეორე ორ სართულიანი შენობისა.

იხსნება ქალაქში ვენერიული დისპანსერი, რომლის გამგეთ დანიშნულია ექიმი **თურქიანი.**

დაჩქარებითი წესით სწარმოებს უმწეო პირთა და ინვალიდთა თავშესაფარი სახლის მოსაწყობათ ორსართულიანი ქვის შენობის კაპიტალური შეკეთება.

შეკეთებული და მოწყობილია ქალაქის ელსადგური, შენდება აბაშიდან ელენერგიის მიმღები და განმანაწილებელი ტრანსფორმატორი და მიმდინარეობს არსებული ელქსელის გადაკეთება და გაფართოება აბაშის ელენერგიის მისაღებათ.

ოქტომბრისაკენ

კორნილოვი დააპატიმრეს, „კორნილოვშჩინა" დარჩა

მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე კერენსკი იმუქრებოდა: „დეე იცოდეს ყველამ, ვინც უკვე ერთხელ სცადა აღემართა შეიარაღებული ხელი ხალხის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომ ამგვარი ცდები აღკვეთილი იქნება რკინითა და სისხლით"-ო.

ეს იყო მუქარა მარცხნივ, ბოლშევიკების მიმართ, რომლებსაც კერენსკი აბრალებდა პეტროგრადის პროლეტარიატის 3-4 ივლისის აჯანყების მოწყობას, რომ ამით გაემართლებია პოლიტიკური რეპრესიები ბოლშევიკური პარტიისა და რევოლიუციონური მუშების მიმართ.

„დეე კიდევ უფრო ფრთხილად იყონ ისინი, ვინც ფიქრობს, რომ დადგა დრო ხიშტების საშუალებით რევოლიუციონური ხელისუფლების დასამხობათ".

ეს იყო მუქარა მარჯვნივ. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფრაზა. მემარჯვენეები არ აღუშფოთებია ამ „მუქარას". ისინი კარგად ხედავდენ, რომ ეს იყო მხოლოდ მანევრი. „დემოკრატიის" წარმომადგენლისათვის [illegible] იყო იერიში მხოლოდ მემარცხენეთა წინააღმდეგ. კადეტები სავსებით უწყევდენ ანგარიშს კერენსკის ასეთ მდგომარეობას და მის მუქარას მემარჯვენეთა მიმართ აფასებდენ ისე, როგორც უნდა შეეფასებინათ: „დემოკრატიის" თვალისასახვევათ ნასროლ ფრაზათ.

და მართლაც კერენსკის არასოდეს არ დავიწყნია თავისი მუქარის შესრულება მხოლოდ მემარცხენეთა მიმართ. ივლისის ამბების შემდეგ ციხეები აივსო რევოლიუციონური მუშებით, ლენინი, და ბოლშევიკური პარტიის სხვა ლიდერები იძულებული შეიქნენ გადასულიყვნენ არალეგალურ მდგომარეობაზე, პეტროგრადიდან და მოსკოვიდან გაიყვანეს რევოლიუციონური ჯარის ნაწილები, რომლებიც ნაწილობრივ ფრონტზე გაგზავნეს, ნაწილობრივ განაიარაღეს, ბოლშევიკური პრესა სასტიკ რეპრესიებს განიცდიდა.

ამავე დროს კონტრ-რევოლიუციას მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული, არსებოდა ათასგვარი შავრაზმული კავშირები, სახელმწიფო სათათბირო, სახ. სათათბიროს დროებითი კომიტეტი, სახელმწიფო სენატი და სხვა.

გასაკვირი არ არის, რომ ასეთ ნოყიერ ნიადაგზე გაიფურჩქნა კონტრ-რევოლიუციის ის ყვავილი, რომელსაც „კორნილოვშჩინა" ეწოდება.

როგორც ვიცით, კერენსკიმ, რომელიც სავინკოვთან ერთად მონაწილეობას ღებდა კორნილოვის შეთქმულებაში, გადამწყვეტ წუთში უღალატა თავის მოკავშირეებს. უღალატა არა იმიტომ, რომ თითქო მიუღებლად მიაჩნდა შავრაზმელ გენერალთან ერთად რევოლიუციის წინააღმდეგ გალაშქრება, არამედ იმიტომ, რომ გაიგო (ნ. ლვოვისაგან), თუ რა მოელოდა მას შეთქმულების გამარჯვების შემდეგ:—სიკვდილი, რადგან მას შესრულებული ექნებოდა თავისი როლი და გამარჯვებული კონტრ-რევოლიუციისათვის ის აღარ იქნებოდა საჭირო.

და როცა კორნილოვის მოკავშირიდან კერენსკი თავის და უნებურად გადაიქცა მის „მტრად", მან გადასწყვიტა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ გენ. კორნილოვის და მისი ახლობლების დაპატიმრებით. თითქო კორნილოვის გამოსვლა არ ყოფილიყოს კონტრ-რევოლიუციის საერთო შემოტევა, თითქო კორნილოვს არ ჰყოლებოდეს მრავალრიცხოვანი მოკავშირეები მოსკოვში, პეტროგრადში და სხვაგან.

სწორეთ იმ დროს, როცა კონტრ-რევოლიუცია პეტროგრადის ასაღებათ ემზადებოდა, კერენსკის პირადი ბრძანებით ციხიდან გაანთავისუფლეს ა. ი. გუჩკოვი და შავრაზმულ „ნოვოე ვრემია"-ს თანამშრომლები ეგორიოვ და ბულატოვი, რომლებიც კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულებაში იღებდენ მონაწილეობას.

ამავე დროს, კორნილოვის სხვა მოკავშირეები —მილიუკოვები, შულგინები დასხ. თავისუფლად დასეირნობდენ—თითქო არაფერი მომხდარა—და კისრულობდენ შუამავლობას „დემოკრატიის" მთავრობასა და კონტრ-რევოლიუციონერ გენერალს შორის.

და ვინ იცის, იქნებ კერენსკი კიდეც დასთანხმებულიყო „კონფლიქტის" ლიკვიდაციაზე შერიგებით, რომ იმის მოთმინების მქონე ესერულ მენშევიკურ საბჭოებსაც არ ამოეღო ხმა და ამ შემთხვევაში არ მოეთხოვა „სასტიკი ბრძოლა" კორნილოვთან. და მართლაც დრო იყო: მუშებს და რევოლიუციონურ ჯარისკაცებს და მეზღვაურებს სერიოზულათ ეპარებოდათ ეჭვი იმაში, რომ ესერ-მენშევიკურ საბჭოებს სურთ რევოლიუციის დაცვა. ამიტომ მათ, თავისი ინიციატივით დაიწყეს მზადება თავ-აღებულ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა. პეტროგრადში მოსკოვის მუშები შეიარაღდენ, როგორც ერთი კაცი გენ. კრიმოვის ჯარების შესახვედრათ, სამხედრო კომიტეტები კი ფრონტზე შეუდგენ ყველა შავრაზმელ ოფიცრების დაპატიმრებას. ბალტიის ფლოტში კი მეზღვაურთა აღშფოთებამ იმ ზომას მიაღწია, რომ სამხედრო გემ „პეტროპავლოვსკზე" დახვრიტეს ოთხი ოფიცერი, რომლებმაც თანაგრძნობა განაცხადეს კორნილოვის გამოსვლისადმი.

ასეთ პირობებში კერენსკის უნდა დაენახვებია „დემოკრატიისათვის", რომ იგი „ებრძვის" კონტრ-რევოლიუციას.

და მართლაც ეს იყო „ბრძოლა" და არა ბრძოლა.

კორნილოვის და მისი ახლობლების დასაპატიმრებლად და კონტრ-რევოლიუციონური ცენტრის სალიკვიდაციოთ მთავარ შტაბში დანიშნულ იქნა კორნილოვის მოკავშირე გენ. ალექსეევი, შავრაზმულ ოფიცერთა კავშირის ორგანიზატორი, რომელიც ურჩევდა გენ. კორნილოვს ეკისრა საბჭოების გარეკა, რადგან ეს „მისთვის, როგორც მთავარ-სარდლისათვის" უფრო ადვილი იქნებოდა.

უკანასკნელ წუთამდე გენ. ალექსეევი ცდილობდა შეერიგებია ყოფილი მოკავშირეები: კერენსკი და კორნილოვი. მაგრამ შექმნილ პირობებში ეს იყო განუხორციელებელი ამოცანა.

1 (14) სექტემბერს კერენსკიმ გენ. ალექსეევს პირდაპირი მავთულით საუბარის დროს განუცხადა, რომ „თუ ორი საათის განმავლობაში არ იქნება შესრულებული ბრძანება კორნილოვისა და ლუკომსკის დაპატიმრების შესახებ, იგი გენ. ალექსეევს ჩასთვლის მთავარ-შტაბის ტყვეთ და მიიღებს ყველა ზომებს ბანაკის გასაწმენდათ კონტრ-რევოლიუციონური ელემენტებისაგან".

აღნიშნული ორი საათი გავიდა და ალექსეევი არ ჩქარობდა „მინისტრ-პრეზიდენტის" და „მთავარ-სარდლის" ბრძანების შესასრულებლად. საღამოთი კერენსკის სამხედრო კაბინეტის უფროსმა ბარანოვსკიმ შემდეგი, ცრემლებითა და მუდარით აღსავსე დეპეშა გაუგზავნა ბანაკში:

„ა. ფ. კერენსკიმ ორი საათის ვადა დაუნიშნა გენ. ალექსეევს და ვადა გავიდა 17 ს. 10 წუთზე. ჯერ კიდევ პასუხი არ არის. მთავარ-სარდალი მოითხოვს, რომ გენერალი კორნილოვი და მისი თანამონაწილეები დაპატიმრებულ იქნან დაუყოვნებლივ. რადგან შემდგომში დაყოვნება აურაცხელ უბედურებას გვიქადის. დემოკრატია აღელვებულია უზომოთ, ყოველ წუთში მოსალოდნელია აფეთქება, რომლის შედეგების გათვალისწინება შეუძლებელია... საერთო მდგომარეობა ისეთია, რომ დაყოვნება არ შეიძლება... ა. ფ. კერენსკი მოელის, რომ სახელმწიფოებრივი შეგნება უკარნახებს გენ. ალექსეევს გადაწყვეტილებას და იგი მას დაუყოვნებლივ მიიღებს: დააპატიმრეთ კორნილოვი და მისი თანამონაწილეები..."

ამ მუდარით სავსე დეპეშის მიღებისა და განსაკუთრებით იმის შემდეგ, რომ მთავარ-ბანაკში სამხედრო ნაწილების თანხლებით მოემგზავრება სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი, რომელმაც დაჰკარგა რა იმედი იმისა, რომ ალექსეევი შეასრულებდა მთავრობის ბრძანებას, გადასწყვიტა პირადათ დაეპატიმრებია კორნილოვი და მისი მეგობრები, გენ. ალექსეევმა ამჯობინა ბრძანების შესრულება. გვიან ღამით მან აცნობა დრ. მთავრობას, რომ დაპატიმრებულია კორნილოვი და ლუკომსკი.

იმავე დღეს მოგილიოვში ჩავიდა საგანგებო საგამომძიებლო კომისია, რომელმაც დააპატიმრა კორნილოვის კიდევ 25 თანამონაწილე და ოფიცერთა კავშირის ც. კ. მთელი შემადგენლობა.

თუ როგორ ეპყრობოდენ დროებითი მთავრობის წარმომადგენლები ამ კონტრ-რევოლიუციონერებს, ეს მჭერმეტყველურად არის აწერილი გაზ. „ნოვაია ჟიზნ"-ის 11 სექტემბრის ნომერში.

„ღამის სამ საათზე კორნილოვი და სხვა დაპატიმრებულები ჩასხეს ავტომობილებში და გაგზავნეს სადგურში. სადგურზე დაპატიმრებულებს არავინ იცავდა,—ისინი გაერივენ ოფიცრებში, რომლებიც დანიშნული იყვენ მათ გასაცილებლად.... დაპატიმრებულებს თან მიჰქონდათ დიდძალი ნივთები დაპატიმრების ახალ ადგილზე შესაფერი კომფორტით მოსაწყობათ. იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქო აქ არიან არა სამშობლოს მოღალატეები, არამედ ძვირფასი მეგობრები, რომლებიც სცილდებიან ერთმანეთს ახლო ხანში კვლავ შეხვედრამდე. მოღალატეები და გამცილებლები თავისუფლად დასეირნობენ. გადადიან ვაგონიდან ვაგონში, სანამ კარგად არ ეწყობიან ერთ ვაგონში.

კორნილოვის გარშემო იქმნება ბოროტმოქმედთა წრე, რომელსაც თავხედურათ უჭირავთ თავი. იცინიან, მხიარულობენ, თითქო მიდიან სასიამოვნო მოგზაურობაში და არა საშინელ რევოლიუციონურ სამსჯავროს წინაშე წარსადგომათ.

...მატარებელი ღამით მივიდა ბიხოვში, სადაც სრულიად უდარაჯოთ, რამდენიმე წუთით, დაპატიმრებულები მათი ბარგით ავტომობილებით გადაიყვანეს ქალთა გიმნაზიის შენობაში. მოღალატეები მოეწყვენ სრული კომფორტით, სრული თავისუფლებით სარგებლობენ. ბანაკიდან მათთვის ავტომობილით მიაქვთ კვერცხი. რძე. კარაქი. არ დაივიწყეს არც საუკეთესო მზარეული მოგილიოვიდან, რომელიც სასტუმრო „ბრისტოლიდან" წაიყვანეს".

* * *

ასე ახდენდენ „კონტრ-რევოლიუციის ლიკვიდაციას" მთავარ-შტაბში გენ. ალექსეევი და კერენსკის მიერ დანიშნული საგანგებო საგამომძიებლო კომისია.

პეტროგრადში კი დროებითი მთავრობა ყოველმხრივ უშლიდა ხელს მუშების შეიარაღებას კორნილოვის ბანდების წინააღმდეგ. მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოების ცაკთან არსებულმა კონტრ-რევოლიუციასთან მებრძოლმა კომისიამ მიიღო დადგენილება მუშების შეიარაღების შესახებ, დროებითი მთავრობის განკარგულებით სამხედრო უწყება იარაღს არ აძლევდა მუშებს, პუტილოვის ქარხნის 80.000 მუშამ შესძლო მიეღო მხოლოდ 300 თოფი.

კონტრ-რევოლიუციასთან ასეთი „ენერგიული" ბრძოლის შესახებ მოსკოვის ბოლშევიკური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი" სწერდა:

„... შეთქმულების ლიკვიდაცია მიმდინარეობს სავსებით განსაზღვრული მიმართულებით: კორნილოვი მოიცილონ, მაგრამ „კორნილოვშჩინა" დასტოვონ. ამიტომ ბრძოლა კონტრ - რევოლიუციასთან შეუძლებელია დროებითი მთავრობასთან ბრძოლის გარეშე. უკანასკნელი ყოველმხრივ დაიცავს და ფარავს პირველს. კორნილოვშჩინა ახლა უნდა ვეძიოთ არა მოსკოვში, არამედ პეტერბურგში და მისი მეთაური ატარებს საყოველთაოდ ცნობილ სახელს—კერენსკი".

ამ ამონაწერში ერთი სიტყვაც არ არის გადაჭარბებული, „კორნილოვშჩინა"—ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა, რევოლიუციონურ ორგანიზაციების ლიკვიდაცია,—ეს იყო კერენსკის უმთავრესი მიზანი მთავრობაში შესვლის პირველივე დღიდან, მიზანი, რომელსაც იგი გადაუხრელად და თანამიმდევრობით ანხორციელებდა და რაშიც მას ყოველმხრივ ეხმარებოდენ ესერ-მენშევიკები.

სწორეთ პირველ (14) სექტემბერს, როცა კორნილოვი და მისი მეგობრები ჯერ კიდევ არხეინად დასეირნობდენ შტაბში, კერენსკიმ პეტროგრადში გამოიწვია მესამე ცხენოსანი კორპუსი, რომლის უფროსად დანიშნა ცნობილი შავრაზმელი გენერალი კრასნოვი. ეს კორპუსი დანიშნული იყო „ბოლშევიკური გამოსვლების აღსაკვეთად". ბოლშევიკების, რევოლიუციონური მუშების გამოსვლა უფრო საშიში იყო „დემოკრატ" კერენსკისათვის, ვიდრე კონტრ-რევოლიუციის მუქარა.

„ხუთის" მთავრობა.—კერენსკი დიქტატორი

იმ დროს, როცა კორნილოვის ბანდები ჯერ კიდევ პეტროგრადს ემუქრებოდენ, კერენსკიმ მოლაპარაკება გამართა კადეტებთან კაბინეტის „გაფართოების" შესახებ მასში ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლების შეყვანით. კადეტები კორნილოვშჩინის სულის ჩამდგმელები იყვენ.

მთავრობის გავსება კორნილოვის მომხრეებით,—აი, რითი უპასუხა კერენსკიმ კონტრ-რევოლიუციის გამოსვლაზე. უკვე დასახელებული იყვენ მომავალი მინისტრები.

მაგრამ აქ მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც სრულიად არივ-დარია კერენსკის გეგმები.

პეტროგრადის საბჭომ 31 აგვისტოს (13 სექტემბრის) სხდომაზე 279 ხმით 115 წინააღმდეგ (51 თავი შეიკავა) მიიღო ბოლშევიკების წინადადება ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ. ამ რეზოლიუციის პირველ მუხლში აშკარათ იყო ნათქვამი:

„გენერალ კორნილოვის კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულების წინაშე, რომელიც მოამზადეს და რომელსაც მხარს უჭერდენ დროებითი მთავრობაში შემავალი პარტიები და ჯგუფები კადეტების მეთაურობით, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო მოვალეობად თვლის განაცხადოს, რომ ამიერიდან ბოლო უნდა მოეღოს ყოველგვარ მერყეობას ხელისუფლების ორგანიზაციის საქმეში. მთავრობიდან განდევნილი უნდა იქნან არა მარტო კადეტები, კორნილოვის შეთქმულების აშკარა მონაწილეები,—და საერთოდ ცენზიან ელემენტების წარმომადგენლები, არამედ ძირიან-ფესვიანად უნდა იქნას აღმოფხვრილი შეთანხმებლობის და უპასუხისმგებლობის ის პოლიტიკა, რომელმაც შექმნა შესაძლებლობა, რომ უმაღლესი სარდლობა და სახელმწიფო ხელისუფლების აპარატი გადაქცეულიყვნენ რევოლიუციის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულების იარაღად და კერად".

ეს რეზოლიუცია იყო არა მარტო რეზოლიუცია მომავალი ხელისუფლების ორგანიზაციის საფუძვლების შესახებ, არამედ, ამავე დროს უნდობლობის ვოტუმი ესერ-მენშევიკური ხელმძღვანელობისადმი საბჭოებში.

იგრძნეს რა, რომ გავლენასა და ნდობას კარგავენ არა მარტო მუშათა ფართე მასებში, არამედ ყურ-მოჭრილ საბჭოებიც, ესერ-მენშევიკები დაფაცურდენ. იმავე დღეს პეტროგრადის საბჭოს ესერ-მენშევიკების ფრაქციებმა მიიღეს დადგენილება კადეტებთან კოალიციის დაუშვებლობის შესახებ.

მეორე დღეს ეს დადგენილება გოცმა, დანმა და წერეთელმა აცნობეს კერენსკის, რომელმაც განაცხადა, რომ ასეთ პირობებში იგი შეუძლებლად თვლის მთავრობის ორგანიზაციას.

მაგრამ ამავე დროს კერენსკის მინისტრ-პრეზიდენტობის გამოთხოვებაც არ სურდა. არც ესერ-მენშევიკებს ჰქონდათ განზრახული ხელის აღება ბურჟუაზიასთან თანამშრომლობაზე.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ჰპოვეს გამოსავალი.

გადადგა ყველა მინისტრები და ძალა-უფლება გადაეცა ხუთი კაცისაგან შემდგარ „დირექტორიას": **კერენსკი, ნიკიტინი, ტერეშჩენკო, ვერდერევსკი*), ვერხოვსკი.**

წერეთელი, სკობელევი და სხვები კი გაეშურენ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომ „გონს მოეყვანათ" უკანასკნელი. წერეთელმა მოახერხა თავისი მისიის შესრულება. მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: 1) დაყოვნებლივ იქნეს მოწვეული მთელი შეკავშირებული დემოკრატიის და ადგილობრივი დემოკრატიული თვითმართველობების ყრილობა, რომელიც გადასწყვეტს საკითხს ისეთი ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ, რომელსაც შესწევს უნარი მიიყვანოს ხალხი დამფუძნებელ კრებამდე, 2) ყრილობამდე ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს მთავრობას შეინარჩუნოს თავისი ახლანდელი შემადგენლობა და მოუწოდებს დემოკრატიას ენერგიული დახმარება აღმოუჩინოს მას.

მილიუკოვი პირდაპირ აღტაცებული ამ დადგენილებით, სწერდა:

„გადაწყვეტილება ყოველმხრივ მოხერხებული იყო, იგი ყველაფერს წინანდელი სახით სტოვებდა და არაფერს სთხოვდა „დემოკრატიის" მოთხოვნილებებიდან. მთავარი დაბრკოლების გადაჭრას იგი სდებდა მომავლისათვის, რომელიც საკმაოთ შორეული იყო იმისათვის, რომ გაეადვილებია გადაწყვეტილების გამოტანა ლეგალური მომენტისათვის, მაგრამ საკმაოთ ახლობელი იმისათვის, რომ არ დაეშინებია „დემოკრატია". წერეთელს შესწევდა უნარი გვერდი აევლო სხვადასხვა დაბრკოლებებისათვის. სწორეთ ასეთი იყო, არსებითად, კერენსკის ტაქტიკაც ამჟამად".

„...კერენსკიმ მიიღო თავისი დირექტორია, მაგრამ დროებითი და ამავე დროს ოდნავადაც არ უთქვამს უარი კოალიციის პრინციპზე და არ ცენზიან ელემენტების შეყვანაზე მთავრობაში... დაბოლოს, საკითხი, რომელიც ყველაზე უფრო აინტერესებდა „დემოკრატიას"—მომავალ „დემოკრატიული თათბირის" უფლების შესახებ დამოუკიდებლად შეექმნა ახალი ხელისუფლება—პირველ მომენტში განზრახ იქნა მიჩქმალული, „დემოკრატიას" შეეძლო ეფიქრა, რომ მას აქვს ამისი უფლება. მთავრობა კი განაგრძობდა ფიქრს, რომ მთავრობის შევსება მხოლოდ გადადებულია „იმ დრომდე, სანამ შეიქმნება შესაძლებლობა კვლავ დაიწყოს დროებითი მთავრობის შემადგენლობის შედგენის განახლება წინანდელ კოალიციურ საფუძვლებზე".

კერენსკი ზეიმობდა, იგი გადაიქცა ფაქტიურ დიქტატორათ, რადგან ერთად-ერთი კაცი, რომელსაც საკუთარი შეხედულება და „მე" ჰქონდა, დირექტორიაში, იყო ტერეშჩენკო. დანარჩენები იყვენ სრულიად უნიჭონი და მტკიცე ნებისყოფას მოკლებული პიროვნებები.

კერენსკი გადაიქცა ფაქტიურ დიქტატორათ. ასე უნებლიეთ განხორციელდა წერეთელ-გოცის „მოხერხების" წყალობით კერენსკის დიდი ხნის ოცნება.

საბჭოების ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტისაგან ნდობის ვოტუმის მიღების შემდეგ, კერენსკიმ ჩასთვალა, რომ „ყველაფერი რიგზეა" მეგობრებმა გააკეთეს „რაც საჭირო იყო". „დემოკრატიას" წაუგდეს ძვალი და ისიც დაკმაყოფილდა.

ცენზიანმა ელემენტებმაც დაინახეს, რომ კერენსკიმ მხოლოდ სტრატეგიული მოსაზრებით აიღო ხელი კოალიციაზე და რომ პირველსავე ხელსაყრელ მომენტში ის მათ დაუძახებს და დიდი განგაში არ აუტეხავთ „დემოკრატიის" გამარჯვების გამო.

„ვეჩერნეე ვრემია"-ს 1917 წ. 4 (17) სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია საუბარი ბურიშკინთან (მოსკოველ მრეწველების კანდიდატი დროებითი მთავრობაში, რომელსაც, მილიუკოვის თქმით, დირექტორიის შექმნის შემდეგ, მართალია „მინისტრობა არ მიუღია, მაგრამ კანდიდატობის უფლება" არ დაუკარგავს), რომელშიც ამჟღავნებდა კერენსკის „დათმობის" ნამდვილ აზრს:

„...ამჟამად ბოლშევიკები იერიში იმდენათ ძლიერია, რომ კერენსკიმ წმინდა პოლიტიკური მოსაზრებებით გადასდვა მთავრობის შედგენა".

კადეტები და ვაჭარ-მრეწველები დარწმუნებული იყვენ, რომ კერენსკი თავის მეგობრების წერეთელ-გოც-ლიბერ-დანის საშუალებით იმდენათ შესძლებს საბჭოების „მოჭკვიანებას", რომ **რამდენიმე დღის შემდეგ** მათ ისევ მიიპატიჟებენ მთავრობაში.

შემდეგმა ამბებმა დაამტკიცეს, რომ მათი იმედები გადაჭარბებული არ იყო.

ერთად ერთი პარტია, რომელიც ამჟღავნებდა კერენსკის თვალთმაქცობას და წერეთელ-დანების „რევოლიუციონური" ფრაზეოლოგიის ნამდვილ ფასს, ეს იყო ბოლშევიკური პარტია.

ამხ. **სტალინი** მოსკოვის „სოციალ-დემოკრატი"-ს 3 (16) სექტემბრის ნომერში სწერდა*).

„კორნილოვის შეთქმულებისა და ხელისუფლების დაშლის შემდეგ. შეთქმულების მარცხისა და კერენსკი-კიშკინის სამინისტროს შექმნის შემდეგ, „ახალი" კრიზისისა და წერეთელ-გოცის „ახალი" მოლაპარაკების შემდეგ იმავე კერენსკისთან,—ჩვენ დაბოლოს გვაქვს „ახალი" (სრულიად ახალი!) „ხუთის მთავრობა"

კერენსკი, ტერეშჩენკო, ვერხოვსკი, ვერდერევსკი და ნიკიტინი, „დირექტორია" ხუთი კაციდან—ასეთია „ახალი" მთავრობა, „არჩეული" კერენსკის მიერ, დამტკიცებული კერენსკის მიერ, პასუხისმგებელი კერენსკის წინაშე და დამოუკიდებელი მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცებისაგან.

ლაპარაკობენ ამ ხელისუფლების ასეთივე დამოუკიდებლობაზე კადეტებისაგან, მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, ვინაიდან კადეტების ოფიციალური წარმომადგენლების არ ყოფნა მთავრობაში მხოლოდ ფარავს სრულ დამოკიდებულებას კადეტებისაგან.

თვალის ასახვევად—ესერი კერენსკი მთავარ-სარდალია, ნამდვილად კი—კადეტების წარმომადგენელმა გენ. ალექსეევმა ხელში ჩაიგდო შტაბი, ე. ი. ფრონტის ყველა ძაფები.

გარეგნულად—„მშვიდობიანი" დირექტორია, ნამდვილად—დამოკიდებულია (არ ეხუმროთ!) კადეტებისაგან. ნამდვილად—კადეტების წარმომადგენლები სამინისტროების სათავეში ფაქტიურად განაგებენ სახელმწიფოს ყველა საქმეებს.

სიტყვით—კავშირის გაწყვეტა კადეტებთან, საქმით—შეთანხმება კადეტების წარმომადგენლებთან ზურგში და ფრონტზე.

დირექტორია, როგორც შირმა, რომლის უკან იმალება კავშირი კადეტებთან; კერენსკის დიქტატურა, როგორც ნიღაბი, რომელიც ფარავს ხალხის აღშფოთებისაგან მემამულეებისა და კაპიტალისტების დიქტატურას,—აი, როგორია ახლა სურათი.

წინ კი—ახალი თათბირი „ცოცხალი ძალების" მონაწილეობით, სადაც წერეთლები და აქსენტიევები,—ეს ნამდვილი შეთანხმებლები, შეეცდებიან გუშინ მოწყობილი ფარული შეთანხმება კადეტებთან გადააქციონ აშკარა და გარკვეულ შეთანხმებად მუშების და გლეხების მტრების გულის გასახარებლად".

ბოლშევიკური პარტია მოუწოდებდა მასებს ზურგი ექციათ ესერ-მენშევიკების შეთანხმებლურ პოლიტიკისათვის.

ბოლშევიკების მოწოდებები უკვე მეტ გამოხმაურებას პოულობდენ მუშებში.

დაიწყო მშრომელი მასების ფართე ფენების გამოფხიზლების პერიოდი.

ვ. რ—ლი.

---

*) ბალტიის ფლოტის უფროსი 1917 წ., დროებითი მთავრობის ბრძანებების შეუსრულებლობისათვის ის სამხედრო-საველე სასამართლოში იყო მიცემული. 12 სექტემბერს მისი საქმე მოისპეს, ორი დღის შემდეგ კი კერენსკიმ იგი საზღვაო მინისტრად დანიშნა.

*) წერილი მოთავსებულია მეთაურად, ხელმოუწერლად.

აბრეშუმი და თაფლი

თბილისის საბრეშუმო სადგურზე

პარკის მოსავალი წელს შარშანდელთან შედარებით, ნაკლებია, განსაკუთრებით ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრებში. უმთავრესად ეს კლიმატიური მიზეზებით აიხსნება.

მოუსავლობის მიზეზების ზედმიწევნით გამოსარკვევად აღნიშნულ მაზრებში გაემგზავრა თბილისის საბრეშუმო სადგურის დირექტორი ამხ. **ივანოვი,** რომელმაც მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს წარუდგინა ვრცელი მოხსენება თავისი დაკვირვებების შედეგების შესახებ.

კერძო გრენიორებთან ხანგრძლივი ბრძოლა სახელმწიფო გრენაჟის სრული გამარჯვებით თავდება. სახელმწიფო გრენაჟის საქმეს ანხორციელებს საზ-ბა „აბრეშუმი" და საბრეშუმო სადგური. წარსულ წელს მუშაობდა 7 კერძო საგრენაჟო დაწესებულება, ამჟამად კი მხოლოდ 4 დარჩა. შარშან მეაბრეშუმეებს საქართველოში დაურიგდა 109.045 კოლოფი აბრეშუმის თესლი; ამ საერთო რიცხვიდან კერძო გრენიორების მიერ დამზადებული იყო 55.657 კოლოფი. წელს კი მარტო „აბრეშუმი" ამზადებს 80.000-დე კოლოფს, ამას გარდა, აბრეშუმის თესლის საკმაო რაოდენობას დაამზადებს კიდევ საბრეშუმო სადგური.

ამასთანავე, მნიშვნელოვნად მცირდება უცხოეთიდან აბრეშუმის თესლის შემოზიდვა. უცხოეთიდან შემოტანილი თესლი საჭიროა მხოლოდ როგორც დამხმარე მასალა ქართული ჯიშის აბრეშუმის პარკის გასაუმჯობესებლად.

ამჟამად მთელ საქართველოში დაიგზავნენ საბრეშუმო სადგურის ინსტრუქტორები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ცელიულიარული თესლის დამზადებას, რომელიც გარანტიას იძლევა პებრინით დაავადების წინააღმდეგ. თესლის ცელიულიარული წესით დამზადება აღმოჩენილია პასტერის მიერ და სპეციალისტების გამოანგარიშებით, თესლის ამ წესით დამზადებამ საშუალება მისცა საფრანგეთს გადაეხადა გერმანიისათვის მთელი კონტრიბუცია 1871—72 წ. ომის შემდეგ. ცელიულიარული მეთოდი დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ სამაგიეროდ ის მეტად საიმედოა. საჭიროა თვითეული ცალკე პეპლის ჯანმრთელობის გამორკვევა კვერცხების დადებამდე წინ. თუ პეპელა ავადმყოფია, მაშინ მისი თესლიც ავადმყოფი იქნება.

აქამდე ასეთი შემოწმება საქართველოში თუ სწარმოებდა, ყოველ შემთხვევაში არა ფართო მასშტაბით. ეხლა კი პეპლების შემოწმება სწარმოებს ყველგან, ხოლო დეკემბრიდან ზედმიწევნით შემოწმებული ახალი თესლი გაიგზავნება საბრეშუმო სადგურზე დამატებით შესამოწმებლად.

ეს წესი სრულ გარანტიას აძლევს მეაბრეშუმეებს.

საბრეშუმო სადგურთან არსებობს სანიმუშო საფუტკრე. ამჟამად ის სამთაბაროდ გადატანილია ალბულაღში. თბილისში დატოვებულია მხოლოდ რამდენიმე სკა.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან მიღებული შეკვეთები მთის ფუტკარზე შესრულებულია. ამ დარგშიაც, ისე როგორც საგრენაჟო საქმეში, ჩვენ ვსჯობნით კერძო მეურნეებს. სპეციალური ჟურნალი «Российск. и иностранное пчеловодство» (№ 27), აღნიშნავს, რომ თბილისის საბრეშუმო სადგურმა თავის დროზე შეასრულა ყველა შეკვეთები მთის ფუტკარზე, ხოლო კერძო მეფუტკრეებმა კი 1925 წ. შეკვეთების ერთი მესამედიც ვერ შეასრულეს. მეორე ჟურნალი „პჩელოვოდნოე დელო" აღნიშნავს, რომ თბილისიდან გამოწერილი მთის დედა ფუტკრები უდეფექტოა. კერძო მეურნეებიდან მიღებული კი არაა წმინდაო.

მომავალი წლიდან თბილისის სადგურზე განზრახულია დედა ფუტკრების მეტი რაოდენობით მოშენება და ჯიშის გაუმჯობესება სვანეთის საჯიშეებით წმინდა სახის მთის ფუტკრით.

ქრონიკა

ზ. მირ-ალი-ხან-ზახირი ამხ. დავთიანთან და ბ. მდივანთან

გუშინ, სპარსეთის გენერალური კონსული თბილისში ზ. მირ-ალი-ხან-ზახირი, საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოვალეობის აღმასრ. ამხ. ბ. კვინტაშვილის თანხლებით ესტუმრა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს სპარსეთში ამხ. დავთიანს.

მირ-ალი-ხან-ზახირი ესტუმრა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელს სპარსეთში ამხ. ბ. მდივანს.

ზ. მირ-ალი-ხან-ზახირი ამხ. ბ. მდივანს წარუდგინა საბჭ. კავშ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის მოვალეობის აღმასრულებელმა ამხ. კვიტაშვილმა.

შეშისდამზადება

სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით, საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტს წინადადება მიეცა დაამზადოს შეშის საკმაო რაოდენობა სახ. დაწესებულებათათვის. შეშის დასამზადებლად ბანკებს წინადადება აქვთ მიცემული გადასცენ ტრესტს 200.000 მანეთი.

ქუთაისის მაუდი

მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში ქუთაისის მაუდის ფაბრიკის პროდუქცია გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 100 პროცენტით.

1925—26 საანგარიშო წლის განმავლობაში ფაბრიკამ გამოუშვა ბაზარზე 31.516 მეტრი მაუდი, ხოლო მიმდინარე წლის მარტო პირველ ნახევარში უკვე გამოშვებულია 64.744 მეტრი მაუდი. ქუთაისის მაუდი ბაზარზე ჩქარა საღდება.

მისალმება სახკომსაბჭოს

საქართველოს სახკომსაბჭომ შორაპნის მაზრის აღმასკომის მესამე მოწვევის პლენუმის პრეზიდიუმიდან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

— შორაპნის მაზრის აღმასკომის მესამე მოწვევის პლენუმი ქალაქ ჭიათურაში ჭიათურის პროლეტარიატთან ერთად მხურვალეთ გესალმებათ თქვენ, საქართველოს მუშების და გლეხების ხელმძღვანელთ. პლენუმი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ხელმძღვანელობით საქართველოს მუშები და გლეხები მიაღწევენ სრულ გამარჯვებას ეკონომიურ და კულტურულ ფრონტებზე, რაც უზრუნველყოფს მუშების და გლეხების საბოლოო გამარჯვებას.

საქალაქო სატარიფო კონფერენცია

ხუთშაბათს, 15 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი № 123) მოწვეულია საქალაქო სატარიფო კონფერეცია.

დღის წესრიგშია **თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების მოხსენება დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების გაწევის შესახებ.**

კავშირების ცენტრალურ გამგეობათა სატარიფო განყოფილების გამგეებისა და ფაბქარხ-ადგილკომების წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის აღმასკომში

◆ **ახალი წყალსადენები.** კეთილმოწყობის განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს გეგმა და ხარჯთაღრიცხვა მაზრის უწყლო სოფლებში წყალსადენების გასაყვანად.

◆ **საექიმო პუნქტები.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა თბ. მაზრის მოზრდილ თემებში არსებულ საექიმო პუნქტებთან მოაწყოს საწოლები.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** ამ დღეებში შეუდგებიან სახ. უნივერსიტეტიდან ყოფ. სემინარიამდე ტრამვაის ხაზის გაყვანას.

◆ **სახლების შეკეთება.** აღმასკომის დადგენილებით, იმ სახლის მეპატრონეებს, რომლებიც დაზამთრებამდე არ შეაკეთებენ სახლებს საფუძვლიანად, ჩამოერთმევათ სახლები და გადაეცემა საიჯარო - საბინაო ამხ-ბებს.

◆ **კანალიზაცია.** კეთილმოწყობის განყოფილება ამჟამად აწარმოებს გარე - უბნების დაგეგმვას, სადაც გაყვანილი იქნება კანალიზაცია.

◆ **არხის გაყვანა.** თბ. აღმასკომმა დაადგინა მომავალ წელში შეუდგეს ალგეთის არხის გაყვანას.

◆ **ფიზიო - თერაპევტიული ინსტიტუტი.** განაახლა მუშაობა ჯანმრთელობის განყოფილების ფიზიო - თერაპევტიულმა ინსტიტუტმა.

თამბაქო

◆ **დამზადება.** „სოფლის კავშირი“ წელს თამბაქოს ტრესტისათვის დაამზადებს 92.000 ფ. თამბაქოს.

◆ **საწყობები.** აფხაზეთის მეთამბაქოეობის 5 უმთავრეს პუნქტში მოეწყო თამბაქოს ახალი საწყობები.

◆ **მოსავალი.** უკანასკნელი ცნობებით, წელს აფხაზეთში თამბაქოს მოსავალი უდრის 400.000 ფუთს. წელს მოსავალი შარშანდელთან შედარებით 25 პროც. ნაკლებია.

მიწსახკომში

◆ **მუხის ტყე.** მიწსახკომმა გადასწყვიტა გურიის სატყეო რაიონებში გააშენოს სალდუტლად მუხის ტყე.

◆ **თუთის ხეები.** მიწსახკომი შეუდგა მეაბრეშუმეობის ადგილებში თუთის სანერგეების გაშენებას. ამ სანერგეებიდან გლეხებს უფასოდ მიეცემათ ნერგები.

სახ. უნივერსიტეტში

◆ **ნორმალური მეცადინეობა.** 1 ოქტომბერს სახ. უნივერსიტეტში დაიწყება ნორმალური მეცადინეობა.

◆ **შემოდგომის სესიები** უკვე დაიწყო. სესიები დამთავრდება 10 ოქტომბერს.

◆ **საკონკურსო მისაღები გამოცდები** დამთავრდება 18 სექტემბერს.

სხვა და სხვა

◆ **სტადიონი.** ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე ვაკეში გაიხსნება სტადიონი, რომელიც ერთად - ერთი სტადიონი იქნება თბილისში თავის სიდიდით და მოწყობილობით.

◆ **სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ** აფხაზეთში 184 მეურნისათვის სტიქიურ უბედურებისაგან მიყენებულ ზარალის ასანაზღაურებლად გადასდო 60.000 მანეთი.

◆ **ინჟ. ვ. კაკაბაძის ახალი წიგნი.** გამოვიდა ინჟ. ვ. კაკაბაძის ახალი წიგნი „ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები საქართველოში“, 2 ნაწილი, საქართვ. ტეხნიკური საზოგადოების გამოცემა; წიგნი შეიცავს 293 გვ. და ღირს 1 მან.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** სტეფანავანიდან — მეიბომს, ლენინგრადიდან — დოლონაძეს, ტერმეზიდან — ვულიბეგოვს, გროზნოდან —კუჩურენკოს, დნეპროპეტროვსკ. არუთინოვს, როსტოვიდან—ფარონიანცს, ერევნიდან —კაკალოვს, ფოთიდან — მიხაილაშვილს, ახალციხიდან — ალიბაშვილს, სამტრედიიდან— სულთანოვს, ქობულეთიდან — ტურიშვილს და როსტოვიდან — ბატრაკოვს.

ხელოვნება

— **ნაძალადევის მუსიკალურ მუშფაკში** მისაღები გამოცდები დაიწყება 22 სექტემბერს.

— **ნაძალადევის მუშათა თეატრში** წარმოდგენების გამართვა დაიწყება 15 ოქტომბრიდან.

— **სტოლერმანის კონცერტი.** დღეს მედსანშრომის კლუბში გაიმართება სტოლერმანის კონცერტი.

— **ავლაბრის მუსიკალურ მუშფაკში** განცხადებათა მიღება იწარმოებს 15—25 სექტემბრამდე. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

— **ვერის სამუსიკო ტეხნიკუმში** (გრიბოედოვის ქ. 8, კონსერვატორიის შენობაში) განცხადებების მიღება გაგრძელებულია 19 სექტემბრამდე; გამოცდები როიალის კლ. 17, 20 სექტ. დილის 10 საათიდან, ვიოლინოს და ვიოლონჩელის კლ. 19 სექტ. და სიმღერის—21 სექტემბერს.

სწავლა დაიწყება 26 სექტემბერს.

— **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** ხუთშაბათს, 15 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ ბინაზე შესდგება კომკავშირელ მწერალთა წრის ბიუროს სხდომა. უნდა გამოცხადდენ ამხ. ზ. ჟუჟიძე, ვ. ლუარსამიძე, დ. რონდელი, ცქვიტინიძე, კ. ბობოხიძე და ს. წვერავა.

◆ **დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ „ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილვა“** ვარლამ ხუროძისა. განათლების კომისარიატის მეთოდორგანოს მიერ წიგნი მიღებულია დამხმარე სახელმძღვანელოთ შრომის სკოლის მეორე საფეხურისათვის.

შემთხვევები

თავის მოწამვლა

გუშინ საღამოს ნიშადურის სპირტით თავი მოიწამლა მეხუთე უბნის მილიციის თანამშრომელმა ივ. ნადირაძემ, რომელიც გადაიგზავნა რესპ. მთავარ საავადმყოფოში.

ნადირაძეს თავი მოუწამლავს რომანიულ ნიადაგზე.

◆ **ხარების მოპარვა.** შეიპყრეს სადიხ ყურბან-ოღლი, რომელმაც მამუდ ალასკარ - ოღლის მოპარა უღელი ხარი.

◆ **სადგურ ფოილოში** 30 აპრილს რონოდიდან ორი შეკვრა ფართლის მოპარვისათვის 12 სექტემბერს დააპატიმრეს გიორგი სოლოღაშვილი და გიგუცა მღებრიშვილი.

◆ **დაჭრა.** დააპატიმრეს ოგანეზ ოგანეზოვი. რომელმაც დანით დასჭრა გიორგი კერმოიანცი.

◆ **მცირეწლოვანი დამნაშავე.** ქურდობისათვის შეიპყრეს და მცირეწლოვანთა კომისიაში გადაგზავნეს დავით მიხეილის ძე ციმაკურიძე.

◆ **რკ. გზის სადგურში** ქურდობის ჩადენისათვის დააპატიმრეს მიხეილ ლაკუაჩევი.

◆ **ავტომობილის ქვეშ.** მუშათა სახლის წინ ავტომობილი № 414, რომელსაც მართავდა შოფერი გიორგი ბლიუზინსკი დაეჯახა შიოზეილ სოლომონის ძე ბეზარაშვილს და მძიმედ დააშავა.

◆ **ცეცხლი.** 12 სექტ. სურფ - კარაპეტის ქ. 9 გეურქ საკიანცის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა. ზარალი უდრის 250 მანეთს.

◆ **მტკვარში ბანაობის დროს დაიღრჩო** ეგიშ არამის ძე საფარიანცი.

წიგნის ბაზარზე

სააქციო საზ-ბა „ზაკკნიგას“ დირექტორი ამხ. კორნეევი ახლახან დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც წასული იყო წიგნების მოსამარაგებლად უკვე დაწყებულ სასწავლო წლისათვის. ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. კორნეევმა წიგნის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ განაცხადა შემდეგი.

სასწავლო წიგნები

რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამთან ჩვენ დავდეთ ხელშეკრულება, რომლის თანახმად ამ. - კავკასიის სახელმძღვანელოებით მომარაგება მთელი საქმე დაევალა „ზაკკნიგას“.

წელს სასწავლებლები კოოპერატიული წესით იქნებიან მომარაგებული სახელმძღვანელოებით. ამ საქმის თაოსნობა ეკუთვნის მუშკოოპს, რომელმაც უკვე დასდო გენერალური ხელშეკრულება „ზაკკნიგასთან“.

ეროვნული ლიტერატურა

რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამი შეუდგა ეროვნულ საბჭოთა ნაწარმოებების თარგმნას. უკვე გამოვიდა **მიხ. ჯავახიშვილის** წიგნი; მზადდება ქართულიდან, სომხურიდან და სხვა ენებიდან თარგმნილ ნაწარმოებთა გამოცემა.

ეროვნული კულტურის განვითარებისათვის „ზაკკნიგას“ დაეთმო მოსკოვში ერთ - ერთი წიგნის მაღაზია, რომელიც წინად ლენინგრადის სახელგამს ეკუთვნოდა.

სასწავლო ნივთები

უკანასკნელ ხანებში ძალიან განვითარდა სასწავლო ნივთების დამზადება. ამ მხრივ უკვე სრულიად დამოუკიდებელი ვართ საზღვარგარეთისაგან. მაგ. „მოსპოლიგრაფის“ ან „ჰამერის“ მიერ დამზადებული ფანქრები თავისი ღირსებით არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთულს. იქედან შემოგვაქვს მხოლოდ სახაზი იარაღები და სპეციალური სახაზი ფანქრები. დასავლეთთან კულტურულ კავშირის განმტკიცებას მოწმობს ხელისმოწერის განვითარება უცხოეთის გამოცემებზე.

რკინისგზებზე

მოძრაობა გაიხსნა

გუშინ, დილის 6 საათზე თბილის - ბათომის შორის გაიხსნა საქონლის მატარებლების პირდაპირი მიმოსვლა.

400.000 მანეთი

გზათა სახალხო კომისარიატმა, ამ.-კავკ. რკინის გზების საშემოდგომო გადაზიდვების მოსამზადებლად გადასდო 400.000 მანეთი.

ზაჰესის დენზე გადასვლა

თბილისის მთავარ სახელოსნოების ზაჰესის დენზე გადაყვანის სამუშაოები თავდება. აჟამად მთავრდება ელექტრო - გაყვანილობათა მოწყობა და ტრანსფორმატორების დადგმა.

ზაჰესის ენერგიაზე გადასვლის დასაჩქარებლად, ამ.-კავკ. რკ. გზ. გამგეობამ ქარხანა „თომკა“-საგან შეიძინა 13 ახალი საზღვარგარეთული ელექტრომოტორები.

ცხელი ორთქლმავლების რეცხვა

დიდი ხანი არ არის, რაც სად. თბილისის დეპოში შემოღებულ იქნა ცხელი ორთქლმავლების რეცხვის წესი. ამ წესის შემოღებამ შეამცირა ორთქლმავლების გარეცხვის ხარჯები და ამასთანავე შეამცირა მათი უწარმოოდ გაჩერების დრო.

ახლო მომავალში გადაწყვეტილია ამ წესის შემოღება: ბაქოს, განჯის და სამტრედიის დეპოებში.

გზის გამგეობა იძენს ამისათვის საჭირო მოწყობილობებს, რისთვისაც გადადებულია 7.800 მანეთი.

134.508 მანეთის ზარალი

შემთხვევებთან ბრძოლის საგზაო კომისიამ განიხილა საქმე, 18 ივლისს ყარაბუჯახ - ქიურდაშირის შუა მიმავალ სამარშრუტო მატ. № 104-ს დამტვრევის შესახებ.

ამ შემთხვევის დროს დაზიანდა 44 ცისტერნა. გზისთვის მიყენებული ზარალი უდრის —134.508 მანეთს.

საქმის განხილვიდან გამოირკვა, რომ როგორც ორთქლმავალზე, ისე ცისტერნებზე მომუშავეებმა მიიღეს მათგან დამოკიდებული ყველა ზომები მაგრამ მიუხედავად ამისა, მატარებელი მაინც დაიმტვრა.

შემთხვევებთან მებრძოლმა კომისიამ გამოარკვია, რომ გატეხილი ღერძი, რომელმაც გამოიწვია მარცხი, წინადვე გაბზარული ყოფილა. კომისიამ წინადადება მისცა წევის დარგს, გამოარკვიოს, თუ ვინ დასტოვა გამოუცვლელი ღერძი ცისტერნის ქვეშ.

„შჩ“ სერიის ორთქლმავლებმა ვერ გაამართლეს იმედები

როგორც ვწერდით, ამ.-კავკ. რკ. გზამ ამას წინად მიიღო „შჩ“ სერიის ორთქლმავლები. მათი, საუღელტეხილო უბანზე მუშაობის გამოსაცდელად დანიშნული იყო სპეც. კომისია, რომელმაც უკვე დაამთავრა ორთქლმავლების გამოცდა ამ უბანზე.

ორთქლმავლების გამოცდამ დაამტკიცა, რომ საუღელტეხილო უბანზე ისინი გამოუსადეგარნი არიან. საერთოდ გამოცდამ ვერ მისცა გზას დამაკმაყოფილებელი შედეგები.

სასამართლო

მფლანგველები „ემში“

აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში განახლდა „ემს“-ის თანამშრომელთა პროცესი. პირველ დღეს მოსმენილ იქნა საბრალდებულო ოქმი, რომელიც შეიცავს მთელ რიგ ახალ ფაქტებს, რომელნიც საკმაოდ ნათლად ასურათებენ 1925 წელს „ემს“-ში გამეფებულ უწესრიგობას და დაუდევრობას.

ბრალდებულნი აუღელვებლად, სრული სიმშვიდით ისმენდენ მათდამი წაყენებულ ბრალდების შინაარსს, ალბათ იმ იმედით, რომ მათ მშრალზე გამოიყვანს „ემს“-ის 1925 წლის არეული ბუღალტერია. საბრალდებლო ოქმის მოსმენის შემდეგ, პირველ რიგში სასამართლოს წინაშე წარსდგა ამ პროცესის ძველი „გმირი“ გ. მელიავა, რომელიც თავის თავს უდანაშაულოდ არ სცნობს, მაგრამ უარყოფს „ემს“-ის ფულების გაფლანგვას იმ რაოდენობით, რომელიც ბრალდებაშია აღნიშნული.

— დაგუნოვს („ელმაშტრესტი“-ს სავაჭრო განყოფილების გამგე) მე გადავეცი 1200 მანეთი და ჩემი ბრალი არ არის, თუ მან ეს თანხა არ დაუბრუნა „ემსს“,—აცხადებს ბრალდებული მელიავა, უნაფქოშვილსაც მიჰქონდა ჩემგან ფულები ხელწერილის ქვეშ, რომელიც დამეკარგა ასეთი საქმე მიყო აგრეთვე მაშკოვმა, რომელმაც წაღებული თანხა არ დააბრუნა. თუ ასეთი საშუალებით გატანილ თანხებს გამოვაკლებთ იმ ჯამს, აცხადებს დასასრულ ბრალდებული, რომლის გაფლანგვაც მე ბრალმდება, დარჩება უმნიშვნელო თანხა, რომლის დახარჯვა არც ისე მძიმე დანაშაულია, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩემი ოჯახის მაშინდელ მძიმე მატერიალურ მდგომარეობასო.

ბრალდებულ მელიავას დაკითხვა გრძელდება რამდენიმე სათის განმავლობაში. მხარეებს აინტერესებთ ამ საქმის ყოველი წვრილმანი. ბრალდებული ცდილობს გამოარკვიოს 1925 წლამდე ემსში გამეფებული თვითნებობა, დაუდევრობა. მომჭირნეობა, რომელსაც მოჰყვა სახალხო ქონების დაუზოგველი ფლანგვა და განიავება.

დამცველნი კი სცდილობენ შეკითხვების საშუალებით ისე დაახასიათონ მელიავა, როგორც ადამიანი, რომელიც უნებურად გახდა დაგუნოვისა, უნაფქოშვილისა და სხვებისადმი გადაჭარბებული ნდობისა და გულუბრყვილობის მსხვერპლი.

ამავე სხდომაზე დაიწყო ბრალდებულ უნაფქოშვილის დაკითხვა.

გამფლანგველ დ. ჭეიშვილის საქმე

დამთავრდა მოქ. დავით ჭეიშვილის საქმის გამოძიება. დ. ჭეიშვილი 1926—27 წლის განმავლობაში იყო თბილისის მუშკოოპის მეოთხე მაღაზიის გამგეთ. უკანასკნელმა რევიზიამ მაღაზიაში აღმოაჩინა 2554 მანეთის დანაკლისი, ჭეიშვილს ბრალდება ამ თანხის გაფლანგვა და მითვისება.

ამ დღეებში ჭეიშვილის საქმეს გაარჩევს აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლო.

მკვლელობა სოფ. ომარაულში (დუშ. მაზრა)

ოთხი წელიწადი ისე გავიდა, რომ არ დარღვეულა კვირიკე ზურაბაულის ოჯახის მყუდროება. კვირიკე გლეხური გულმოდგინეობით ეწეოდა სასოფლო მუშაობას და ცოლიც—თამარიც მხარში უდგა ქმარს. გავიდა ხანი. ოჯახი გადიდდა: ოთხი წლის განმავლობაში ახალგაზრდა ცოლ-ქმარს გაუჩნდა ორი ბავშვი. როცა პირველ შვილის სამი წელიწადი შეუსრულდა, ხოლო მეორეს წელიწად ნახევარი, ზურაბაულის ცოლმა—თამარმა რატომღაც გული აიცრუა ოჯახზე. მუშაობაზე ხელი აიღო და ოჯახს გარეთ დაიწყო მზერა. ქმარს უკვირდა ცოლის ასეთი ცვლილება, მაგრამ საყვედურებს და ოჯახურ უსიამოვნებას ერიდებოდა. შემდეგ ქალმა გააბზირა სიარული—თავის ძმასთან (როგორც თვითონ ამბობდა), კვირიკეს იმდენად იჭვი არ აწუხებდა თავისი ცოლის ირთგულებაში, რამდენადაც მთელი დღის განმავლობაში უდედოთ მიტოვებულ უსუსური ბავშვების მოუვლელობა.

ბოლოს, ვეღარ მოითმინა და აუკრძალა ცოლს ძმასთან უდროო დროს სიარული.

ქალმა თავისი არ დაიშალა და ერთ დღეს სრულიად მიატოვა თავისი ქმარ-შვილი და ძმის ოჯახს შეაფარა თავი. კვირიკე შეურიგდა თავის ბედს და რის ვაი-ვაგლახით ჰპატრონობდა უდედოთ დარჩენილ ბავშვებს. განშორების შემდეგ მხოლოდ ერთხელ მიაკითხა ქალმა თავისი ყოფილი ქმრის ოჯახს, მიაკითხა იმ განზრახვით, რომ ძმის ოჯახში გადაეყვანა თავის ბავშვები. კვირიკესაც დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია იმ იმედით, რომ დედა მოუვლიდა ბავშვებს და არც მას მოუსპობდა შვილების ნახვის საშუალებას, მაგრამ არ გაუმართლდა კვირიკეს ეს უკანასკნელი იმედი. მის პირველ სტუმრობას და-ძმა მეტად მწყრალად შეხვდა. მეორედ მისვლისას ცოლი-ძმამ—ღვთისო გურგენაშვილმა აღუკრძალა ყოფილ სიძეს თავის ოჯახის ახლო გაკარება. კვირიკემ თავის არ დაიშალა და განაგრძობდა სიარულს ცოლ-შვილის სანახავად. ერთხელ მცირე წალაპარაკების შემდეგ გაბრაზებულმა ცოლი-ძმამ გურგენაშვილმა წაავლო თოფს ხელი და ერთი გასროლით მოჰკლა ყოფილი სიძე კვირიკე ზურაბაული. გურგენაშვილი დააპატიმრეს. საქმის გამოძიება უკვე დასრულდა და ამ დღეებში ბრალდებული უკვე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

მეცნიერება და ტეხნიკა

აეროპლანის დამშვები აპარატი

კონსტრუქტორების ყურადღებას კვლავ იპყრობს პრობლემა აეროპლანის დაშვებისა სპეციალურ გემებზე (რომლებიც საავიაციო სადგურების როლს ასრულებენ), რომლებიც, როგორც ჩანს, მოწოდებული არიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ მომავალ ომში. ერთმა ამერიკელმა კონსტრუქტორმა შეიმუშავა ორიგინალური პროექტი აეროპლანების დაშვებისა ასეთ გემებზე. დაშვების დროს აეროპლანი თავსდება სპეციალურ მოძრავ პლატფორმაზე, რომელიც აეროპლანის ინერციის ზეგავლენით განაგრძობს სრიალს რელსებზე, სანამ არ გაჩერდება სპეციალური აპარატის საშუალებით. ამრიგად, გზა, რომელსაც აეროპლანი გაივლის დაშვების დროს. მნიშვნელოვნად მოკლდება.

ტრამვაის ვაგონები ალიუმინიდან

ქ. კლივლენდის (შეერთებულ შტატებშია) ქალაქის თვითმმართველობამ განახორციელა ერთი ახალგაზრდა ინჟინერის პროექტი და ვაგონების სამშენებლო ქარხანას დაუკვეთა ვაგონები, რომლის ფოლადის ჩარჩო და სხვა ლითონის ნაწილები დამზადებულია ალიუმინიდან. გავიდა უკვე ექვს თვეზე მეტი, რაც ალიუმინის ვაგონებმა დაიწყეს თავისი სამსახურის სტაჟი. ამ ხნის პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ისინი გაცილებით ნაკლებ ხმაურობას წარმოშობენ, ვიდრე ფოლადის ვაგონები, (რადგან ალიუმინი უფრო ცუდათ ატარებს ხმას, ვიდრე ფოლადის) და მოითხოვენ 20 პროცენტით ნაკლებ ელექტრონის ენერგიას. ალიუმინის ვაგონები იწონიან 15 ტონას, ფოლადის ვაგონები კი იწონიდენ 21 ტონას. ქ. კლივლენდის თვითმართველობას განზრახული აქვს ფოლადის ტრამვაის ვაგონები თანდათანობით შესცვალოს ალიუმინის ვაგონებით.

რეგულიარული მიმოსვლა ატლანტის ოკეანეზე

ამერიკაში მუშავდება ატლანტის ოკეანეთი რეგულიარული მიმოსვლის მოწყობის პროექტი. მარშრუტი იქნება: **ლოს-ანჟელოს** —(კალიფორნია)—**ნიუ-იორკი — ლონდონი — პარიზი და უკან** სპეციალური აეროპლანით, რომლის მოდელი უკვე დამზადებულია. ეს იქნება უზარმაზარი მონოპლანი, რომლის ფრთების სიგრძე იქნება 110 ფუტი (16 საჟენი), კორპუსის კი— 70 ფუტი (10 საჟენი). მონოპლანზე დადგმული იქნება ხუთი (თითო) სამასძალიანი მოტორი. სამი მოტორის ერთდროულად მუშაობის დროს, მონოპლანი შესძლებს საათში 135 კილომეტრის გავლას. ორი მოტორი იქნება მარაგში. აეროპლანი მოწყობილია თანამედროვე საავიაციო ტეხნიკის მიხედვით. ხმელეთზე ფრენის დროს აეროპლანს შეუძლია 40 კაცის წაყვანა, ოკეანეზე გადაფრენის დროს კი—10-ს. სულ აეროპლანს შეუძლია 360 ფ. ტვირთის წაღება.

გერმანიაში ამავე ამოცანის გადაჭრაზე მუშაობენ პროფ. **იუნკერსი,** და დ—რი **დორნიე.** დორნიეს ფაბრიკაში უკვე დამზადებულია უზარმაზარი აეროპლანი, რომელზედაც დადგმულია ორი (თითო) ათასძალიანი მოტორი და რომელიც იტევს 60 მგზავრს.

ორივე აეროპლანის ფრენის რადიუსი უდრის 6.000 კილომეტრს.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 14 სექტემბერს, შრომის ბირჟა საბუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშაკთა 1-ლი სექცია: ოგანეზიან ხარიკ, ჩხიკვიშვილი, ვართანოვ გუშაკ, გრიგორიან ალექს, ტერენტიან ოგანეზ.

გონებრივ მუშაკთა მე-2-რე სექცია: ჭავჭავაძე ანდრო.

მედსანშრომის სექცია: მასხულია ნიკოლოზ, უზნაძე თინათინ, გრილაშვილი თამარა, რუხაძე ლიუბა.

რკინისგზელთა მე-7-დე სექცია: სერგიეუშვანე, ხვედელიძე შალვა, პაპიაშვილი დავით, ბარამიძე კ., კიტრიაშვილი გ., გურჯაძე ბესარიონ, აბაშიძე გიორგი.

სპორტი

კალათბურთის სეზონი ქუთაისში

მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან ქუთაისის პროფკავშირების კალათ - ბურთის გუნდების შორის ჩატარდა ზაფხულის სეზონის შეჯიბრი. სულ შეჯიბრში მონაწილეობას ღებულობდა 18 გუნდი, მათ შორის 4 ქალთა და 14 ვაჟთა გუნდი.

გუნდები დაყოფილი იყო ორ კატეგორიათ; პირველ კატეგორიაში შედიოდა 6 გუნდი, მათ შორის, პირველი ადგილი დაიჭირა შინა-მრეწველთა გუნდმა; მეორე კატეგორიაში მონაწილეობდა 8 გუნდი, მათ შორის პირველობა აიღო პროფბიუროს მეორე გუნდმა.

ქალებში კი პირველობა აიღო საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის გუნდმა.

ყველა მატჩები ჩატარდა მწყობრათ და წესიერათ. არავითარ გაუგებრობას და უხეშ თამაშს ადგილი არ ჰქონია, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს ქუთაისის ფიზკულტურის სამაზრო საბჭოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისში ამ ბოლო ხანებში კალათ - ბურთის კლასმა საკმაოთ აიწია.

ბ.

—:—

საქ. ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია საქ. სახკომ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ლ. ქართველიშვილი.** ხოლო მის თანაშემწედ ამხ. **გიორგი ქავთარაძე.**

მოტოციკლეტების გადარბენა

თბილისის ავტო - კლუბი სექტემბრის შუა რიცხვებში აწყობს მოტოციკლეტების დიდ გადარბენას შემდეგი მარშრუტით: თბილისი — კავკავი — გეორგიევსკი — კისლოვოდსკი და უკან ამავე მარშრუტით — თბილისი.

მოტო-რბენის სეზონი

ხუთშაბათს, 15 სექტემბერს, თბილისის სარბიელით მინდორზე გაიხსნება მოტო - რბენის საშემოდგომო სეზონი. შეჯიბრში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საუკეთესო მოტორისტები.

შეჯიბრი დაიწყება საღამოს 5 საათზე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 83, 187^2 და 211 მუხლის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის ათის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მეორე მუხლის წესისამებრ—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 83, 187^2 და 211 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად;

„მუხ. 83. მოსარჩლეს შეუძლიან გადაწყვეტილების გამოტანამდე, რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს საქმე, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფა.

შენიშვნა: არ შეიძლება უზრუნველყოფა ისეთი სარჩელისა, საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობის სარჩელის გარდა, რაც აღიძვრის ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულებისა და სახელმწიფო საწარმოს წინააღმდეგ“.

„მუხ. 187^2 არ შეიძლება სახელმწიფო ორგანოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულება, გარდა ისეთი გადაწყვეტილებისა, რაც გამოტანილ იქნება სამუშაო ხელფასის სარჩელის გამო, აგრეთვე საკრედიტო-კოოპერატიულ ორგანიზაციის სარჩელისა და პროტესტქმნილ თამასუქზე დამყარებული სარჩელის გამო“.

„მუხ. 211. სასამართლო ბრძანება არ გაიცემა.

ა) უკეთუ მოთხოვნა მიმართულია სახელმწიფო დაწესებულების ან სახელმწიფო საწარმოს წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

ჭათ წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნა წარდგენილია საკრედიტო კოოპერატიული ორგანიზაციის მიერ.

ბ) უკეთუ მოთხოვნის ვადის დადგომის დღიდან ორ თვეზე მეტია გასული;

გ) უკეთუ იმის გამოსარკვევად.—აქვს თუ არა მოთხოვნელს მოთხოვნის წარდგენის უფლება, საჭიროა დამატებითი დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა;

დ) უკეთუ მოვალის პასუხისმგებლობა ცხადად არა სჩანს თვით წარდგენილი დოკუმენტების ტექსტიდან;

ე) უკეთუ იმ ვალდებულების შესრულება, რაზედაც მოთხოვნა დამყარებულია თვით დოკუმენტით დამოკიდებულია ისეთ პირობებზე, რომელთა დადგომაც წინასწარ უნდა იქნეს დამტკიცებული.

შენიშვნა. სასამართლო ბრძანება სახელმწიფო ბანკის ოპერაციებიდან გამომდინარე სარჩელის გამო გაიცემა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. ი. სტურუა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წლ. აგვისტოს 25.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქ. ახ. ლ. კ. კ. ქალაქის რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება** წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ რაიკომში.

მგალობლიშვილი, მშვენიერაძე, ჩიხლაძე, ჩუცუბიძე, ჩალაძე, გორგიშვილი, ზაგალოვი, დავიდოვი, ვეისმანი, სანოვიჩი, მეგოვორიანი, დუსოვინისა, არუტინოვი, კობახიძე, გურგენიძე, კბილაძე, ჩიქოვანი, ხუციშვილი, დიდიძე, ხუციშვილი, სვანიძე, კორჩილიძე, გოლუბევი, გევორქიანი, კარპოვიჩი, ბოგოროდსკი, კალაშევი, შლემოვისა, მელიქიანი, გაზაევი, პოლოსიანი, და გაბრიელიანი.

— **საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მუშა - გლეხ ქალთა განყოფილება** იუწყება, რომ ხუთშაბათს, 15 სექტემბერს, დილის 10 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მუშა-გლეხ ქალთა განყოფილებაში შესდგება თათბირი.

სავალდებულოა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: შავერდოვა (ამ.-კავ. საოლქო კომიტ.), ბელიაევსკი (თბილისის კომიტ.), იაგნეტინსკი (თავდაც. - ავიაქიმის ხელის შემწყობი საზ.), იაკობაშვილი, ძელაგია (წითელი ჯვარი).

— **ს. კ. პ. ცენტრ. საკ. კომისია** წინადადებას აძლევს გერმანე მათითაიშვილს გამოცხადდეს საქ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველი, 24, მესამე სართული, ოთახი 6).

— **ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2-ე ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტგანყოფილება** წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ცვალებად პოლიტშემადგენლობას გამოცხადდეს ა.-წ. 20 სექტემბერს, დილის 10 საათზე, დასახელებულ პოლიტ განყოფილებაში (ელბაქიძის აღმართი 12) დივიზიის ზურგის ნაწილების საერთო ტერიტორიალურ შეკრებაზე სამსახურის მოსახდელად.

გიორგი სიმონის ძე ბახტაძე, კლიმენტი თადეოზის ძე სულავა, დიმიტრი მიხეილის ძე გოგნაშვილი, პიმენ არსენის ძე ხობუა, ქაჯი როსაინოზის ძე ჩიხლაძე, ერემია რევაზის ძე იმნაიშვილი, აკაკი პავლეს ძე გორდელაძე, ერისტო ანტონის ძე ტაბატაძე, გრიგოლ მღებრიშვილი, გარეგინ წყალობის ძე დემუროვი.

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი,** დღეს, 14 სექტემბერს, დილის 10 საათისათვის, საარიცხვო განყოფილებაში იწვევს შემდეგ ამხანაგებს: [illegible]

— **სახ. უნივერსიტეტის ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის მუშათა ფაკულტეტის კ. პ. (ბ) ბიურო კოლექტივი** ამით აცხადებს, ამავე ფაკულტეტის კ. პ. (ბ) წევრ - კანდიდატების საყურადღებოდ, რომ დღეის რიცხვიდან იწყება **ხელახალი აღრიცხვა.** შვებულებაში მყოფ და თბილისში დარჩენილ ყველა წევრ - კანდიდატებს ევალებათ გამოცხადდენ ცენტრალურ მუშფაკში ამხ. თალაკვაძესთან აღრიცხვაზე ასაყვანად. აღრიცხვა იწარმოებს ბიურო კოლექტივში საღამოს 5 საათიდან 9 საათამდე — ყოველდღე.

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საარიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება** სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს დღეს, 14 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე გამოცხადდენ მიმღებ კომისიის სხდომაზე, რაიკომის საორგანიზაციო გან-ბის შენობაში (ოთახი 43): არამ მინასიანი, პლატონ საბარაძე, გიორგი სამადაშვილი, ნიკოლოზ ფილიპოვი, მიხეილ ხერგიანი, ალექსანდრე მჭედლიშვილი, დიმიტრი დავიდოვი, ალექსანდრე გიგიბაძე, სურენ ბაბასიანი, ეს. კალანდაძე, აგოძოგესიანი, ივანე კუზნეცოვი, ისკანდარ აკბულინი, სურენ როსტომოვი, ავეტის გასპარიანი, სარქის ავდალიანი, ივან ასატუროვი, ბორის პოდგორსკი; კომპარტიის წევრად მიღებისათვის: საფაროვი, რუბენ ოსიპოვი, მამიკონ იგიტოვი, ისაკ ნადარეიშვილი, მარტი პოლოსოვი, მიხეილ ილიევი, ივანე სპიცინი, პეტრე გრაფოვი, ნიკოლოზ მელიქოვი, გრიგოლ კრაინოვი, გიორგი კაკაბაძე, ანნა ბიკოვისა, პიმენ მშვენიერიძე, ნიკოლოზ უშნაროვი, ნიკოლოზ ხოჯაშვილი, კლემენტი კახაძე, მისაკ გრიგორიანი, პაველ შმიდტი, ლეონიდ ჩხიკვიშვილი, გრიგოლ ბაიანდუროვი, კახასიანი, ვაგარშაკ ვოსკანიანი.

კომპარტიის კანდიდატად მიღებისათვის.

— **ამხ. ლ. ა. გეგეჭკორს ცეკას აგიტპროპგანყოფილება** სთხოვს შემოიაროს დღეს, დილის 11 საათზე განყოფილებაში.

---

11 სექტემბერს ქობულეთში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გამოესალმა წუთი სოფელს

კონსტანტინე (კოწია) სუთიძე

რასაც აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს სამუდამოდ გულ-მოკლული მეუღლე ნინიჩკა, შვილები კარლო, ნორია სუთიძეები, სიდედრი ნინო, სიმამრი ანთიმოზ, ცოლი-დები: თამარა და ქეთო გაჩეჩილაძეები. დაკრძალვა მოხდება 15 სექტემბერს საღამოს 5 საათზე, ზესტაფონში. ბ. 1653

შორაპნის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი მწუხარებას გამოსთქვამს სამაზრო აღმასკომის წევრის

კოწია სუთიძის

გარდაცვალების გამო. ბ. 1653

საქ. კ. პ. (ბ) შორაპნის საძაზრო პარტიული კომიტეტი ღრმა მწუხარებით აღნიშნავს, რომ ამ | წ. 10 სექტემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობით—ჰლექით ქობულეთში გარდაიცვალა დაუღალავა პარტიული მუშაკი, შორაპნის სამაზრო პარტ-კომიტეტის წევრი

ამხ. კოწია ნესტორის-ძე სუთიძე

ბ. 1653

გულ დათუთქულნი: მეუღლე საშა პეტრეს ასული გრიგოლიასი, შვილი ნაპოლეონი ნაპოლეონის-ძე გრიგოლია, დები: ივლიტა კარტოზიასი, ნარო ხვინგიასი და ნინა მერაბის ასული, სიძეები: თემურაზ კარტოზია და არსენა ხვინგია და დისწულნი: კოლა, ხუტა, ბაბუცა და ნათელა კარტოზიები და ძაგუშა ხვინგია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ყველა ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მათთვის ძვირფასი

ნაპოლეონ (ნაპო) მერაბის-ძე გრიგოლია

ხანმოკლე ავადმყოფოპის შემდეგ გარდაიცვალა ა. წ. 7 სექტემბერს.

მხატვრული კინო-სურათის
ЖЕНЩИНА ГОСТИННЫХ
ჩვენების უკანასკნელი დღე
(მთავ. როლში კონრად ვეიდტი და ემილ იანინგსი.)
პირველად თბილისში, ისტორიული კინო-დრამა 8 ნაწ.
„ვოლგის მეამბოხენი“
მთ. როლ. იონა ტალანოვი და გოდლევსკაია
ანონსი: ამ დღეებში „აბრეკ ზაურ“.
სეზონის საუკეთესო ამერიკული სურათი
„მეორე ახალგაზრდობა“
ყველგან არაჩვეულებრივი წარმატება.
ანონსი: —ამ დღეებში „ქარი“

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)
დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლლო (არტოს ბაღში).
0—11 ბ. 1388

მალე რემონტის შემდეგ გაიხსნება კინო „სოლეი“,—წავა სურათი, რომელსაც დიდი ინტერესით მოელოდენ—„სამი ეპოქა“—ბესტერ კიტონის მონაწ.

განათლების კომისარიატი
საბუღალტრო კურსები № 2
ამით აცხადებს, რომ მეცადინეობა იწყება 1-ლ ოქტომბერს ბესიკის (ყოფ. დავითის) ქ. № 25 განცხადებების მიღება და ყოველგვარ ცნობების გაცემა სწარმოებს ყოველდღე ნიკოლაძის (ყოფ. დუშეთის) ქ. № 19, 5—6 საათ.
კურსების გამგე: ი. ავალიშვილი
3—2 3829

ავლაბრის მუსიკალურ მუშფაკში
(როიალი, ვიოლინო, ვიოლონჩელი)
განცხადებათა მიღება იწარმოებს 15-დან 25 სექტემბრამდე საღ. 5—7 ნახ. საათ.
სწავლა იწყება 1 ოქტომბერს
დაწვრილებითი ცნობები კანცელარიაში (შემახის ქ. № 25, მე-19 შრომ. სკოლ. შენობაში).
3832. გამგე გ. თაქთაქიშვილი.

საჭიროა გამოცდილი
აგენტები
ხელის მოწერის მისაღებად
რუსთაველის გამზირი № 34
„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა
0—1

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა თბილისში.
ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ) № 7. ტელ. 14—56. 13-1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

ექიმი **ქ. ს. ფონ-ირტელი**
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი. ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედნის ახლო, (ყოფ. გორონცოვის)
3645—18—1

თბილისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილება ამით აცხადებს
კონკურსს
მდინარე მტკვარზე ქალაქის ხიდის გეგმის შედგენაზე. ქალაქ თბილისში სადგურის ქუჩის პირდაპირ
სამ უკეთეს გეგმისათვის დაწესებულია პრემიები

1	2.500 მან.
2	1.500 მან.
3	1.000 მან.

ავტორს იმ გეგმისა, რომელიც მიღებულ იქნება ასაგებად, მის თანხმობით, აღმასკომის მიერ ეძლევა უპირატესობა გეგმის დეტალური დამუშავების გადაცემაში, დამატებითი გასამრჯელოთი—1.000 მან. გეგმა წარმოდგენილ უნდა იქნეს თბილისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის კეთილ-მომწყობ ქ | განყოფილებაში (თბილისი, თავისუფლების მოედანი) **არა უგვიანეს 1928 წ. პირველ თებერვლისა.** კონკურსის ყოველივე ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ თბილისის აღმასკომის კეთილ-მომწყობ ქ | განყოფილებას (თბილისი, თავისუფლების მოედანი აღმასკომის შენობა, ოთახი № 338).
კომუნალურ მეურნეობის გამგე—
ბ. 1654. **სიხარულიძე**

ამხ. „ქართული წიგნი“
აუწყებს ამხანაგობის წევრთ და ხელის მომწერლებს, რომ გამოვიდა
ილია ჭავჭავაძის
თხზულებათა მეექვსე ტომი
გამგეობა სთხოვს ყველა ხელის მომწერთ და ამხანაგობის წევრებს გამოისყიდონ წიგნი **სექტემბრის დამლევამდი.** წიგნების მიღება შეიძლება ამხანაგობის კანტორაში (ჯორჯაძის ქ. № 1), დილის 9 საათ. ნაშუადღევის 4 ს. **მეხუთე ტომის გამოსვლა დაბრკოლდა ტეხნიკური მიზეზებით. წიგნი იბეჭდება და გამოვა ოქტომბრის პირველ რიცხვებში.** ბ. 1648

პირველ სახელმწიფო
საბუღალტრო კურსებზე
სწავლა დაიწყება ა. წ. 19 სექტემბერს. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დღისით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—7 ს-დე, კეცხოველის ქუჩა (ყოფ. ლორის-მელიქოვისა) № 12, პირველი სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმის ბინა.
3831 2—1. კურსების გამგე მ. თაქთაქიშვილი.

საპატენტო გამოსაღები
საქართველოს ფინსახკომი აუწყებს ხელმძღვანელთ და მფლობელთ სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო სავაჭრო-სამრეწველო საწარმოოთა, შინამრეწველთა და ხელოსანთ, აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც სავაჭრო ოპერაციებს კანტორის შეუნახველად აწარმოებენ, რომ სახელმწიფო სარეწავ გადასახადის მომქმედ დებულების თანახმად ისინი ვალდებული არიან მიმდინარე თვის ენკენისთვეში აიღონ საწარმოოსათვის, პირად სარეწავ საქმიანობისათვის და საწყობ-სადგომისათვის ფასიანი სარეწავი მოწმობა (პატენტი) მომავალ 1927—28 საბიუჯეტო წლისათვის. ამავე ვადაში აიღება უფასო სარეგისტრაციო ბილეთი იმ საწარმოოსა და საქმიანობისათვის, რომელიც თავისუფალია საპატენტო გამოსაღებისაგან. ფასიან პატენტისა და უფასო ბილეთის მოცემის შესახებ განცხადებებს უსათუოდ უნდა ექნეს წარწერა პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორისა. პატენტი და ბილეთი გაიცემა ფინსახკომის ყველა შემოსავალ-გასავლის სალაროებში, ხოლო ქ. თბილისში, გარდა მთავარ სალაროსი—ხაზინის ქუჩაზე, აგრეთვე მიწერილ სალაროშიდაც—სიონის ქ. № 1, ამ დღეებში ქ. თბილისში გაიხსნება კიდევ მეორე მიწერილი სალარო, რომლის მისამართი ცალკე იქნება გამოცხადებული. პატენტის ან ბილეთის აუღებლობისა ან დაგვიანებით აღებისათვის დამნაშავეთ დაედება ჯარიმა უმაღლესი რაოდენობით და უპატენტო საწარმოოები დაიხურება.
საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი **მგალობლიშვილი.**
გადასახადთა განყოფილების
ბ. 1655. მმართველი **ბეჟირგანიშვილი.**

საბჭ. და სავ. მუშ. პროფკავშირის მე-2-ე
საანგარიშო მეცნ-თა (საბუღალტრო) კურსებზე
მსმენელთა მიღება დაიწყო. მსმენელები მიიღებიან **ზოგად** და სპეციალ. განყოფ-ზე. ცნობების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე, პლეხანოვის გამზ. **№ 166 მე-5 პროფ.** სკოლის შენობაში. 10—2 ბ. 1637

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის უწყებაში მყოფი
ადმინისტრატიულ ტეხნიკის სახელმწიფო
= კურსები =
მომზადება და გადამზადება მოანგარიშე მუშაკთა ქართულ და რუსულ **საბუღალტრო სექტორის** განყოფილებებზე დაიწყო მსმენელთა მიღება.
საგნები: 1) საერთო და 2) სპეციალური-მეურნეობის და მმართველობის უმთავრესი დარგების მიხედვით. ანგარიშთ წარმოების რაციონალური ორგანიზაცია უკანასკნელი დროის სისტემები და ფორმები ანგარიშისა.
დაწვრილებით (ცნობების მიღება და აგრეთვე მსმენელთა ჩაწერა სწარმოებს ყოველდღიურად საღ. 7—9 საათამდე, ა.-კ. ორგმშენის შენობაში აღმასკომის ქუჩა № 2 (ყოფილ სოლოლაკის). ბ. 1640 3—1

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 17 სექტემბერს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 1 სიმონოვის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ყოფილ ამხ. „სოფლის“ მოძრავ ქონებას: ბიტონები, ცინკის ქვაბები, ლედნიკს, ბოჭკებს, ჭურჭლებს და სხვ. შეფასებულს 128 მანეთად, 50 კ. მოქ. კარასევის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 4 მარტის 1927 წ. თარიღით, № 744 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ბ. 1651

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 24 სექტემბერს 1927 წ. დღის 12 საათზე ადგილობრივ, ქ. ქუთაისში ზდანოვიჩის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა;** გაიყიდება იოსებ ალექსანდრესძე მორჩას ხის სახლი № 49, რომელიც შეიცავს ოთხ საცხოვრებელ ოთახს დახურულს ყავრით, აგებული საეზოვე ნაკვეთ ადგილზე, ზომით 100 კვად. საჟენი თბილისის კომუნალური ბანკის ქუთაისის განყოფილების, საქ. მ. უ. ს. ტრესტების სავაჭრო კანტორის და სხ. ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 200 მან. საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა, სახლი დაგირავებული აქვს ბანკს ზევით კალისტრატე ბუცხრიკიძეს 740 მანეთში. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ბ. 1652

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“ პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

ექიმი **მეგრაბიანცი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ძლეკის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 13—1

ექიმი
გ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი
მიღება დილის 8—10
ორჯონიკიძის (ყ. ანდრეევის) ქ., № 74

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
[illegible] დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ. 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. ბა. ჰიპნოზი.
კამის (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—1

დაჰკარგა პირადობის მოწმობა გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გიორგი ანეპოდიოტეს ძე წერეთლის სახელზე, ჩ. გ. 3838

დაჰკარგა კავშირის წიგნაკი, პირადობის მოწმობა და წლიური სამგზავრო ბილეთი, გაცემული რკინის გზის სამმართველოს მიერ ალექსი დავლიანიძის სახელზე, ჩ. გ. 3835

დაჰკარგა ლომბარდის ქვითარი № 026129 შაფათა ენუქაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3800

დაჰკარგა ლომბარდის ქვითარი № 10840 კირილე პავლესძე რუხაძის სახელზე, ჩ. გ. 3836

დაჰკარგა ს. კ. პ. (ბ) კანდიდატობის ბარათი № 12362 სევერიან მიხეილისძე ჩავლეშვილის სახელზე, ჩ. გ. ბ. 1650

დაჰკარგა მე-12 ტეხნიკუმის დამთავრების მოწმობა № 474, გაცემული 1924 წ., სიდონია ჭანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3833

დაჰკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1169 ვასო გიორგის ასული ბოროშვილის სახელზე, ჩ. გ. 3834

დაჰკარგა პროფ-კავშირის საწევრო წიგნაკი № 11413 გაცემული ლეჩხუმის მაზრის მიწატყის კავშირის მიერ კარაპეტ ხაბულიანის სახელზე, ჩ. გ. 3839

დაჰკარგა რკინის გზის პროფ-კავშირის წიგნაკი № 103, გაცემული შავი ზღვის რკინის გზის 1-ლი უბნის ადგილკომის მიერ, და სამსახურის სტაჟის მოწმობა № 3, მე-8-ს სამექანიკო უბნის უფროსის მიერ გაცემული, ალექსანდრე დარციმელიას სახელზე, ჩ. გ. 3837

დაჰკარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული ქ. ქუთაისის მმაჩიდან № 816 № 890 გივი პავლესძე გრძელიძის სახელზე, ჩ. გ. ბ. 1652

დაჰკარგა ქუთაისის „მუშკოპი“-ს პროტესტქმნილი თამასუქი 27 მან. ს. ყორღოლაძის, ს.მ.უ.ს. ტრესტების სავაჭრო კანტორის დ. ს. სიმტკიცის სიგელი ერისტო ქაცარავას ქონებაზე, შესრულებული ქუთაისის 2-რე სანოტარო კანტორაში 3 სექტემბერს 1927 წ. № 7, აღმასრულებელი ფურცლები: გალაქტიონ ყეფიანის № 4909, აბრამ ფიზიცის № 8788, მიხა ჭყონიას № 5042 და ლუარსაბ ქემაძის №—, სავაჭრო ფურცელი ქ. ქუთაისის 2-რე უბნის სასამართლოს აღმასრულებლის მიერ შალვა კილუაშვილის ქონებაზე და ცვლათა კოლ. წევრი გრიგოლ კანდელაკის სახელზე, ჩ. გ. ბ. 1652

დაჰკარგა კომკავშირის წიგნაკი და პირადობის მოწმობა № 34320 გიორგი ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 3842

დაჰკარგა კომკავშირის მანდატი № 51114, სიღარიბის მოწმობა მოცემული ჩიბათის თემაღმასკომის მიერ და გლეხკომის საწევრო წიგნაკი ილია ნესტორისძე ქვახაძის სახელზე, ჩ. გ. 3849

აღმასკომის სტამბა კაპიის ქ. №